

სოციალური დავები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2023, № 12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2023, № 12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2023, № 12

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2023, № 12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქიჯბელი

1. საარსებო შემწეობა

მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურება	4
საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის შენარჩუნების წინაპირობები	19
საარსებო შემწეობისა და ლტოლვილის შემწეობის თანხათა შორის სხვაობის დაანგარიშების დაუშვებლობა	62

2. დევნილებისა და ეკომიგრანტების უფლებების დაცვა

დევნილის საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი	96
სახელმწიფოსგან დევნილთა კომპენსირებულად მიჩნევის თაობაზე აქტის კანონიერება	114
დევნილის სტატუსის მინიჭების საფუძველი	136; 146
დევნილი ოჯახის საცხოვრებელი პირობების ხელახლა განხილვაზე უარის თქმის კანონიერება	167
დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წინაპირობები	183

1. საარსებო შემწეობა

მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1205(2კ-22)

20 თებერვალი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ლ-მა 2020 წლის 9 ივლისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სერვის-ცენტრის მიმართ და სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შედეგად მოითხოვა ლ. ლ-ის ოჯახისთვის 71720 სარეიტინგო ქულის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების, 2020 წლის 5 თებერვალს შევსებული დეკლარაციის (რომელიც 71720 სარეიტინგო ქულის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას დაედო საფუძვლად), თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2020 წლის 6 მაისის №04-00/11290 შეტყობინების (რომლითაც ლ. ლ-ის უარი ეთქვა ქულათა რაოდენობის შემცირებაზე), სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 15 ივნისის №04/12746 გადაწყვეტილების, ლ. ლ-ის ოჯახისთვის 76700 სარეიტინგო ქულის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებისა და 2020 წლის 5 ივლისს შევსებული დეკლარაციის (რომელიც 76720 სარეიტინგო ქულის მინიჭებას დაედო საფუძვლად) ბათილად ცნობა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა: მოპასუხის დავალდებულება, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ლ. ლ-ის ოჯახს მიენიჭება 39210 სარეიტინგო ქულა, მისი რეალური, ცოცხალი ოჯახის წევრების გათვალისწინებით; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს

დავალდებულება, აუნაზღაუროს მოსარჩელის ოჯახს ზიანი (ზ. ა-ეის ჩათვლით) ორ წევრზე 2020 წლის თებერვლიდან 2021 წლის ნოემბრის თვის ჩათვლით (ანუ დღეის მდგომარეობით სარჩელის სასამართლოში ყოფნის დრო), 1610 (ათას ექვსას ათი) ლარის ოდენობით; ასევე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დავალდებულება, აუნაზღაუროს მოსარჩელის ოჯახს ზიანი 2021 წლის დეკემბრიდან მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდის ჩათვლით, ოჯახის შესაბამისი წევრების გათვალისწინებით, გაუცემელი ფულადი შემწეობის სახით.

სარჩელის თანახმად, ლ. ლ-ის ოჯახი 2011 წლიდან რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. წლების მიხედვით ოჯახის სარეიტინგო ქულა იცვლებოდა ოჯახის მდგომარეობის შესაბამისად. ყველაზე დაბალი – 39210 სარეიტინგო ქულა ოჯახს მინიჭებული ჰქონდა 2016 წლის 25 ოქტომბერს ოჯახის შემდეგი შემადგენლობით: დედა – ქ. ლ-ი, ძმა – მ. კ-ი და თავად მოსარჩელე – ლ. ლ-ი. 2018 წლის 28 აგვისტოს შემონმების შედეგად (ოჯახის შემადგენლობა: ლ. ლ-ი, ძმა – მ. კ-ი და მეუღლე – ზ. ა-ეე) ოჯახის სარეიტინგო ქულა გაიზარდა 59680-მდე. მოსარჩელის მითითებით, ვინაიდან ოჯახის მდგომარეობა უკეთესობისკენ არ შეცვლილა, უფრო მეტიც, იყო დამძიმებული, იძულებული გახდა გაესაჩივრებინა 59680 სარეიტინგო ქულა და მოეთხოვა მისი ოჯახისთვის კვლავ 39210 ქულის მინიჭება. აღნიშნული საქმე წარიმართა სასამართლოში და სასარჩელო მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა, რომლითაც სააგენტოს დაევალა ოჯახისთვის კვლავ 39210 ქულის მინიჭება და შესაბამისი ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ გარკვეული დროის შემდეგ მისი ოჯახის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, გარდაეცვალა 20 წლის შვილი – ზ. ზ-ს ძე ა-ე, ასევე 2019 წლის დეკემბრის თვეში გარდაეცვალა ძმა – მ. კ-ი, რომელიც მისი ოჯახის წევრი იყო. აღნიშნულის შესახებ მან პირადად აცნობა სოციალურ სამსახურს, რის საფუძველზეც 2020 წლის 5 თებერვალს შეამონმეს მისი ოჯახი ხელახლა. 2020 წლის 6 მარტს კი მიანიჭეს 71720 სარეიტინგო ქულა. მოსარჩელის მოსაზრებით, სოციალურმა სამსახურმა არ გათვალისწინა მისი ოჯახის კიდევ უფრო დამძიმებული მდგომარეობა და არ შეუმცირა ქულათა ოდენობა, ასევე არ აღასრულა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. ადმინისტრაციულმა ორგანომ ამონაწერში მიუთითა ლ. ლ-ის გარდაცვლილი ოჯახის წევრები და სრულყოფილად არ დააფიქსირა ოჯახის ცოცხალი წევრები. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტები გამოცემული იყო კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც მოითხოვა მათი ბა-

თილად ცნობა და მიუღებელი სოციალური გასაცემლის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ლ. ლ-ის ოჯახისათვის 71720 სარეიტინგო ქულის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება, 2020 წლის 5 თებერვალს შევსებული დეკლარაცია, რომელიც 71720 სარეიტინგო ქულის მინიჭებას დაედო საფუძველად, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2020 წლის 6 მაისის №04-00/11290 შეტყობინება, რომელითაც უარი ეთქვა ლ. ლ-ის ქულათა რაოდენობის შემცირებაზე, 2020 წლის 15 ივნისის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მიღებული №04/12746 გადაწყვეტილება, ლ. ლ-ის ოჯახისათვის 76700 სარეიტინგო ქულის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება და 2020 წლის 5 ივლისს შევსებული დეკლარაცია, რომელიც 76720 სარეიტინგო ქულის მინიჭებას დაედო საფუძველად; მოპასუხეებს დაევალათ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ლ. ლ-ის ოჯახს მიენიჭება 39210 სარეიტინგო ქულა, დღეის მდგომარეობით მისი რეალური ცოცხალი ოჯახის წევრების გათვალისწინებით (ლ. ლ-ი და მისი მეუღლე – ზ. ა-ეე); მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მოსარჩელის ოჯახისთვის (ზ. ა-ეის ჩათვლით) ორ წევრზე ზიანის ანაზღაურება, 2020 წლის თებერვლიდან 2021 წლის ნოემბრის ჩათვლით, 1610 ლარის ოდენობით. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ლ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 8 ივნისის ოჯახის დეკლარაცია და მის საფუძველზე სარეიტინგო ქულის (61730) მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2018 წლის 14 აგვისტოს №2330/ო-ვ ბრძანება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ლ. ლ-ის ოჯახის დეკლარაციაში მონაცემთა კორექტირების თაობაზე“ და მის საფუძველზე სარეიტინგო ქულის (59680) მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, „ლ. ლ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ სოციალური მომსახურების

რების სააგენტოს 2018 წლის 6 აგვისტოს №04/43905 გადაწყვეტილება; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა, კანონით დადგენილი წესით, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მოსარჩელის ლ. ლ-ისთვის 39210 სარეიტინგო ქულის მინიჭებისა და მისთვის შესაბამისი სოციალური შემწეობის დანიშვნის თაობაზე, ასევე დაევალა მოსარჩელე ლ. ლ-ის სასარგებლოდ, ზიანის სახით, სოციალური შემწეობის შემცირების დღიდან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, შემცირების შედეგად მიღებული სხვაობის ანაზღაურება.

– სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 9 ოქტომბრის №04-465/ო ბრძანებით აღსრულდა ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად, ლ. ლ-ის ოჯახი აღდგენილ იქნა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, გააქტიურდა 2016 წლის 24 სექტემბრის ოჯახის დეკლარაცია და ძალაში შევიდა 39210 სარეიტინგო ქულა. ამავე ბრძანებით განისაზღვრა სოციალური დახმარების სხვაობის ანაზღაურების მიზნით სათანადო ღონისძიებები.

– საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლ. ლ-ის ოჯახი 2011 წლიდან რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებდა საარსებო შემწეობას.

– მოსარჩელის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გადამოწმდა 2020 წლის 5 თებერვალს. ოჯახის მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე შეივსო დეკლარაცია და ოჯახს მიენიჭა 71720 სარეიტინგო ქულა, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 6 მარტს.

– 2020 წლის 20 მაისს ლ. ლ-მა საჩივრით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომლითაც მოითხოვა 2020 წლის 5 თებერვალს შევსებული დეკლარაციისა და მის საფუძველზე 2020 წლის 6 მარტს ოჯახისათვის 71720 ერთეული სარეიტინგო ქულის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ამავე განცხადებით ასევე მოითხოვა 2016 წლის 25 ოქტომბერს ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის 39210 ერთეულის აღდგენა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 15 ივნისის №04/12746 გადაწყვეტილებით ლ. ლ-ის ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ლ. ლ-ის უარი ეთქვა 2020 წლის 5 თებერვალს შევსებული დეკლარაციისა და მის საფუძველზე იმავე წლის 6 მარტს ოჯახისთვის 71720 ერთეული სარეიტინგო ქულის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე, ასევე 2016 წლის 25 ოქტომბერს ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის 39210 ერთეულის აღ-

დგენაზე და წინა პერიოდის ზიანის სახით მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურებაზე; ამავე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის თანახმად, სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრს დაევალა უზრუნველყო ლ. ლ-ის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი შესწავლა.

– ლ. ლ-ის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ გადამოწმდა 2020 წლის 5 ივლისს და შეივსო დეკლარაცია ოჯახის მიერ მონოდებული მონაცემების საფუძველზე. გადამოწმების შედეგად ლ. ლ-ის ოჯახს მიენიჭა სარეიტინგო ქულა – 76720 ერთეული.

საქმეში წარმოდგენილი საქველმოქმედო ფონდ „ა...ის“ 2020 წლის 18 მაისის №216/20 ცნობის თანახმად, დასტურდება, რომ ლ. ლ-ის ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდ „ა...ს“ 2019 წლის ივლისში 257.15 ლარი ხელზე არ გაუცია, არ ჩაურიცხავს მოსარჩელის პირად საბანკო ანგარიშზე, არამედ დაეხმარა მედიკამენტებით. საქველმოქმედო ფონდ „ა...ის“ 2020 წლის 18 მაისის №215/20 ცნობის თანახმად კი, ლ. ლ-ის ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდმა „ა...მა“ 2019 წლის ივნისში 175.83 ლარი არ გასცა ხელზე, არ ჩაურიცხა მას პირად საბანკო ანგარიშზე, არამედ დაეხმარა მედიკამენტებით. სს „ვ...-ის“ №0309058 ცნობის თანახმად, ასევე დასტურდება, რომ ლ. ლ-ი არის შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირი, უვადოდ. ამასთანავე, ლ. ლ-ის შვილი – ზ. ა-ეე გარდაიცვალა 2019 წლის 16 თებერვალს.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ პაქტი, ევროპის სოციალური ქარტია, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ასევე სხვა კანონქვემდებარე აქტები და მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ არსებითი ხასიათის შეცდომებით შეავსო მოსარჩელე ლ. ლ-ის სადავო ოჯახის დეკლარაცია, რამაც განაპირობა სადავო ქულის მინიჭება და საარსებო შემწეობის შეწყვეტა. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი საქველმოქმედო ფონდ „ა...ის“ 2020 წლის 18 მაისის №216/20 და №215/20 ცნობებით დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ ლ. ლ-ის ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „ა...ი“ 2019 წლის ივლისში 257.15 ლარით, ხოლო 2019 წლის ივნისში 175.83 ლარით დაეხმარა მედიკამენტების შეძენაში, შესაბამისად, მოსარჩელის დეკლარაციაში „სხვა არა-

რეგულარული შემოსავლებთან დაკავშირებით“ იკვეთებოდა უზუს-
ტობები, რაც დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი მტკიცე-
ბულებებით. სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორ-
განო ვალდებული იყო, აქტი გამოეცა საქმის სრულყოფილად შეს-
ნავლის საფუძველზე, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდე-
ბოდა, რადგან მოპასუხის მიერ არ იქნა გამოთხოვილი შესაბამისი
ორგანოებიდან ინფორმაცია მოსარჩელის სხვა არარეგულარული
შემოსავლებთან დაკავშირებით. აღნიშნული გარემოებების გათ-
ვალისწინებით, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სადავო
აქტების ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელი საფუძვლიანი იყო და
ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას, ვინაიდან სადავო ადმინის-
ტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას ადგილი ჰქონ-
და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის არ-
სებით დარღვევას.

რაც შეეხება ლ. ლ-ის მოთხოვნას მიუღებელი საარსებო შემწე-
ობის ანაზღაურების დავალებასთან დაკავშირებით, სასამართლომ
მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნ-
ქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-
ე-208-ე მუხლებზე, რომლებითაც დადგენილია ადმინისტრაციუ-
ლი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ პირისათვის მართლსა-
წინააღმდეგოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უპირობო ვალ-
დებულება და განმარტა, რომ ვინაიდან სასამართლომ ბათილად
ცნო მოსარჩელის ოჯახის დეკლარაციები და მასში მონაცემთა კო-
რექტირების თაობაზე სადავო ბრძანება და მოპასუხეებს დაავა-
ლა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ლ.
ლ-ისთვის 39210 სარეიტინგო ქულის მინიჭებისა და მისთვის შესა-
ბამისი სოციალური შემწეობის დანიშვნის თაობაზე, აღნიშნულ პე-
რიოდებში მოსარჩელის ოჯახის მიერ საარსებო შემწეობის მიუ-
ღებლობა განხორციელდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს
ბრალეულობით, შესაბამისად, ლ. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნა ზია-
ნის სახით, მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურებასთან
დაკავშირებით უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ. კერძოდ,
მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა
მოსარჩელის ოჯახისთვის (ზ. ა-ეის ჩათვლით), ორ წევრზე ზიანის
ანაზღაურება, 2020 წლის თებერვლიდან 2021 წლის ნოემბრის ჩათ-
ვლით, 1610 ლარის ოდენობით, ხოლო ლ. ლ-ის მოთხოვნა – მოსარ-
ჩელის ოჯახისთვის 2021 წლის დეკემბრიდან მოცემულ საქმეზე
გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდის ჩათვლით ზიანის ანაზ-
ღაურების შესახებ, უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება სსიპ სო-

ციალური მომსახურების სააგენტომ და ლ. ლ-იმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 30 ივნისის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ლ. ლ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი დასაბუთება და აღნიშნა, რომ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ლ. ლ-ის ოჯახის დეკლარაციაში მონაცემთა კორექტირების თაობაზე“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ბრძანებით დასტურდებოდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ინსტრუქციის“ მე-8 მუხლის 29-ე პუნქტის „C4“ პუნქტის მე-7 გრაფის – „სხვა არარეგულარული შემოსავლის“ არასწორად შევსება (2020 წლის 5 თებერვლის საოჯახო დეკლარაცია), რამაც, საბოლოოდ, განაპირობა მოსარჩელისათვის არასწორი ქულის მინიჭება და საარსებო შემწეობის შეწყვეტა, რაც დასტურდებოდა საქველმოქმედო ფონდ „ა...ის“ 2020 წლის 18 მაისის №216/20 და №215/20 ცნობებით (ლ. ლ-ის ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „ა...ი“ 2019 წლის ივლისში 257.15 ლარით, ხოლო 2019 წლის ივნისში 175.83 ლარით დაეხმარა მედიკამენტების შეძენაში).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 30 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ლ-იმა, რომელმაც სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღების შედეგად სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დააკმაყოფილეს ყველა სასარჩელო მოთხოვნა, გარდა ერთისა – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დავალებოდა მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურება 2021 წლის დეკემბრიდან მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდის ჩათვლით, ოჯახის შესაბამისი ნევრების გათვალისწინებით, გაუცემელი ფულადი შემწეობის სახით. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მიიღო საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის-

გან განსხვავებული გადაწყვეტილება, რაც ზიანს აყენებს მოსარჩელეს, ამავდროულად ცვლის საკითხისადმი მიდგომას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 30 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღების შედეგად სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმება ხორციელდება „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მოწოდებული და ხელმოწერით დადასტურებული ინფორმაციის საფუძველზე ივსება ოჯახის დეკლარაცია. ლ. ლ-ის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მეხუთედ გადამოწმდა 2020 წლის 5 თებერვალს. შეივსო ოჯახის დეკლარაცია, რომელიც დამუშავდა „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით. სარეიტინგო ქულა ძალაში შევიდა 2020 წლის 6 მარტს, რამაც შეადგინა 71720 ერთეული. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით დამტკიცებული წესის თანახმად, ოჯახმა ვერ მოიპოვა ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის გაგრძელების უფლება.

რაც შეეხება საქველმოქმედო ფონდ „ა...ის“ 2020 წლის 18 მაისის ცნობებს, მართალია, ისინი წარმოდგენილი იყო სააგენტოს ცენტრალურ აპარატში საჩივართან ერთად, თუმცა კანონმდებლობით კორექტირებისათვის განსაზღვრული (დეკლარაციის შევსებიდან 90 დღე) ვადა გასული იყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-9 მუხლის შესაბამისად, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის იმ მონაცემების კორექტირება, რომელთა შეცვლაც იწვევს სარეიტინგო ქულის ცვლილებას, შესაძლებელია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებიდან მომდევნო 90 დღის განმავლობაში. ამ კორექტირებას-

თან დაკავშირებით, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. დასახელებული პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, კორექტირება დასაშვებია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 ოქტომბრისა და 12 დეკემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ლ. ლ-ისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივრები დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 12 იანვრის განჩინებით ლ. ლ-ისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული. ამასთან, მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივრები განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ ლ. ლ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უარი უნდა ეთქვას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს 2020 წლის 5 თებერვლისა და იმავე წლის 5 ივლისის ოჯახის დეკლარაციების შევსებისა და მათ შედეგად სარეიტინგო ქულის მინიჭების სისწორე, გარდა ამისა, უნდა შეფასდეს მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურებაზე ნაწილობრივ უარის თქმის კანონიერება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 22-ე მუხლზე, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-9 მუხლსა და „ევროპის სოციალური ქარტიის“ მე-12 მუხლზე და აღნიშნავს, რომ სოციალური უფლებები, მათ შორის, სოციალური დახმარების მიღება საერთაშორისო აქტების შესაბამისად, პირის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება, რაც სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, არა მხოლოდ აღიაროს პირთა სოციალური უფლებების არსებობა, არამედ ქმედითი ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე შექმნას სამართლებრივი გარანტიები მითითებული უფლების რეალიზებისთვის. სოციალური სახელმწიფოს პრინციპს ამკვიდრებს და შიდა

სამართლებრივ დონეზე სოციალური დაცვის გარანტიებს ქმნის საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი, რომლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო საკითხს სამართლებრივად აწესრიგებს, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, სოციალური დახმარების სფეროში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს და სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-6 და მე-7 მუხლების თანახმად, სოციალური დახმარების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საარსებო შემწეობა. ოჯახს უფლება აქვს მოითხოვოს საარსებო შემწეობა, რაც ფულად სოციალურ დახმარებას წარმოადგენს და განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ლატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. საარსებო შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. საარსებო შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილება „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“. აღნიშნული „წესის“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განაცხადის შეტანის შემდეგ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ხორციელდება უფლებამოსილი პირის მეშვეობით, დადგენილი მეთოდოლოგიისა და წესების შესაბამისად; ხოლო მე-12 მუხლის მიხედვით, ოჯახის იდენტიფიკაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და დადგენილი მეთოდოლოგიის გამოყენებით განისაზღვრება სარეიტინგო ქულა, რომელიც მყარი ერთეულია და მისი შეცვლა, როგორც წესი, შესაძლებელია მისი მინიჭებიდან სულ ცოტა ერთი წლის გასვლის შემდეგ.

სარეიტინგო ქულის განსაზღვრასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი

ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის“ მე-6 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, პირადად შეამოწმოს ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, დასუფთავებისა და წყლის დანახარჯის ამსახველი ქვითრები და ამოწეროს სააბონენტო ნომერი. იმავე „წესის“ მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დეკლარაციის „B3“ პუნქტში – „ფიზიკური მდგომარეობა“ მოცემულ ცხრილში ყოველ წევრზე უნდა შემოიხაზოს მხოლოდ დეკლარაციაში ჩამოთვლილი ფიზიკური მდგომარეობის შესაბამისი კოდები. სააგენტოს უფლებამოსილი პირი უნდა დარწმუნდეს (ვიზუალურად ან დოკუმენტურად), რომ ფიზიკური პირის მდგომარეობა შეესაბამება დეკლარირებულს. ამ კითხვის შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა გაითვალისწინოს: ა) პირებს, რომელთაც რაიმე ავადმყოფობის გამო დროებით შეზღუდული აქვთ გადაადგილება (მოტეხილობის, კეთილსაიმედო ავადმყოფობის ან სხვა) არ მიეკუთვნებიან კატეგორიებს: „სარეცელს მიჯაჭვული/ლოგინად ჩავარდნილი“ და/ან „დაუხმარებლად გადაადგილება არ შეუძლია და საჭიროებს მომვლელს“. ამავე წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დეკლარაციის „C4“ პუნქტში მიეთითება „რამდენი იყო ოჯახის ჯამური ფულადი შემოსავლები ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან გასულ 12 თვეში“, ფიქსირდება ოჯახის მიერ დეკლარაციის შევსების მომენტიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიღებული ფულადი შემოსავლები, მათ შორის, მე-4 გრაფაში ქონების გაყიდვასა და ყიდვას შორის არსებული სხვაობა ოჯახის უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი გაყიდვის-ყიდვის დოკუმენტაციის საფუძველზე. ამ პუნქტში არ გაითვალისწინება ოჯახის წევრ(ებ)ის მიერ ბანკიდან, ლომბარდიდან აღებული კრედიტი/სესხი.

ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სოციალურად დაუცველ მდგომარეობაში მყოფ ოჯახს, რომელიც საჭიროებს დახმარებას, შეუძლია მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს სოციალურად დაუცველი პირების მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მოთხოვნით. ასეთი მიმართვა წარმოადგენს ოჯახის შესაბამისი წესისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით გადამოწმებისა და შეფასების საფუძველს, რის შედეგადაც ოჯახს ენიჭება კონკრეტული სარეიტინგო ქულა. თავის მხრივ, სარეიტინგო ქულის მინიჭების შემდეგ ოჯახი მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულად ითვლება, ხოლო სარეიტინგო ქულის ოდენობაზე არის დამოკიდებული იმ სოციალური გარანტიების განსაზღვრა, რომელთა გამოყენების უფლებაც ენიჭება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახს.

ამრიგად, აუცილებელია, რომ ოჯახის როგორც პირველადი შეფასება, ისე შემდგომი გადამოწმება განხორციელდეს ნორმატიულად გათვალისწინებული თითოეული მეთოდის ზუსტად და ზედმინევით დაცვით. ოჯახისათვის სარეიტინგო ქულის განსაზღვრისას მნიშვნელობა ენიჭება უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახის დეკლარაციაში შეტანილ თითოეულ მონაცემს, მათ შორის, დეტალურად და სრულყოფილად უნდა იქნეს ასახული ოჯახის სხვა არარეგულარული ფულადი შემოსავალი.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ლ. ლ-ის ოჯახი 2011 წლიდან რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებდა საარსებო შემწეობას. მისი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა განხორციელდა რამდენჯერმე. საბოლოოდ, 2020 წლის 5 თებერვალს შედგენილი ოჯახის დეკლარაციის საფუძველზე, 2020 წლის 6 მარტს ლ. ლ-ის ოჯახს მიენიჭა სარეიტინგო ქულა 71720 ერთეული. აღსანიშნავია, რომ შევსებული ოჯახის დეკლარაციის „C4“ ბლოკის მე-7 გრაფაში (სხვა არარეგულარული შემოსავალი) მონაცემები შეტანილია არასწორად, კერძოდ, დაფიქსირებულია 432.98 ლარი, მაშინ, როცა საქმეში წარმოდგენილი საქველმოქმედო ფონდ „ა...ის“ 2020 წლის 18 მაისის №216/20 და №215/20 ცნობებით დასტურდება, რომ ლ. ლ-ის ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „ა...ი“ 2019 წლის ივლისში 257.15 ლარით, ხოლო 2019 წლის ივნისში 175.83 ლარით დაეხმარა მედიკამენტების შეძენაში. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს სადავო დეკლარაციებში მონაცემების არასწორად დაფიქსირების ფაქტს, რამაც სარეიტინგო ქულის ცვლილება და საბოლოოდ, მოსარჩელისთვის საარსებო შემწეობის გაცემის შეწყვეტა გამოიწვია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მსჯელობას, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, მათში ასახული მონაცემები არ შეესაბამება რეალურ ფაქტობრივ გარემოებებს და წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ლ. ლ-ის ოჯახისთვის 71720 სარეიტინგო ქულის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილება, 2020 წლის 5 თებერვალს შევსებული დეკლარაცია, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2020 წლის 6 მაისის №04-00/11290 შეტყობინება, რომლითაც ლ. ლ-ის უარი ეთქვა ქულათა რაოდენობის შემცირებაზე, ასევე ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 15 ივნისის №04/12746 გადაწყვეტილება, ლ.

ლ-ის ოჯახისთვის 76700 სარეიტინგო ქულის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება და 2020 წლის 5 ივლისს შევსებული დეკლარაცია, რომელიც 76720 სარეიტინგო ქულის მინიჭებას დაედო საფუძვლად. სადავო აქტების ბათილად ცნობის შემდეგ კი დაევალოთ მოპასუხეებს ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, რომლითაც ლ-ის ოჯახს მიენიჭება 39210 სარეიტინგო ქულა, მისი რეალური, ცოცხალი ოჯახის წევრების გათვალისწინებით (მოსარჩელე – ლ. ლ-ი, მეუღლე – ზ. ა-ეე);

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ლ-ის უნდა აუნაზღაურდეს 2020 წლის თებერვლიდან 2021 წლის ნოემბრის ჩათვლით მიუღებელი შემწეობა (სხვაობა) 1610 ლარის ოდენობით (რაც საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, ოჯახის მეორე წევრის – ზ. ა-ეის გათვალისწინებით, სწორად იქნა გამოთვლილი), მასვე უნდა აუნაზღაურდეს 2021 წლის დეკემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე მიუღებელი საარსებო შემწეობა ოჯახის ცოცხალი წევრების გათვალისწინებით.

საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი სწორედ 2021 წლის დეკემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე მიუღებელი საარსებო შემწეობის მოსარჩელისათვის ანაზღაურებაზე უარის თქმა გახდა, რამეთუ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული აღნიშნული უფლების რეალიზაციას კი ემსახურება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად კი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად,

პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანი შესაბამისმა სახელმწიფო დაწესებულებამ უნდა აანაზღაუროს სრულად. ამასთან, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვის უნდა დადასტურდეს ნორმატიულად განსაზღვრული შემდეგი წინაპირობების კუმულატიურად არსებობა: სახელმწიფო ორგანოს თანამშრომლის ქმედების უკანონობა; პირისთვის ზიანის მიყენება; მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა დამდგარ შედეგსა და სახელმწიფო ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის, ასევე, სახელმწიფო მოსამსახურის ბრალეულობა. ამრიგად, ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ, პირისათვის მართლსაწინააღმდეგოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უპირობო ვალდებულება დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით და მითითებული ნორმატიული აქტებით.

ამრიგად, გამომდინარე იქედან, რომ სასამართლომ მართებულად ბათილად ცნო მოსარჩელე ლ. ლ-ის ოჯახის დეკლარაციები და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემა ლ. ლ-ისთვის 39210 სარეიტინგო ქულის მინიჭებისა და მისთვის შესაბამისი სოციალური შემწეობის დანიშვნის თაობაზე, სასარჩელო მოთხოვნა ზიანის სახით, მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურებასთან დაკავშირებით 2021 წლის დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდის ჩათვლით საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა დამატებით ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ თანხის ანაზღაურება უნდა მოხდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით, მათ შორის, თუკი მოსარჩელეს სადავო პერიოდში (მოცემულ შემთხვევაში 2021 წლის დეკემბრიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესვლამდე) აღუდგა საარსებო შემწეობა, დროის იმავე მონაკვეთში გაცემული შემწეობა ხელმეორედ ანაზღაურებას აღარ დაექვემდებარება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაზე, რომლითაც დამტკიცებული მეთოდოლოგიის ფარგლებში შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე საარსებო შემწეობის ოდენობა განისაზღვრება: ა) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქუ-

ლაც 30001-ზე ნაკლებია – 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; ბ) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30001 და მეტია, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე – 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; გ) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57001 და მეტია, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე – 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; დ) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60001 და მეტია, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე – 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; ე) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001-ზე ნაკლებია – საარსებო შემწეობა განისაზღვრება 10 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან 2022 წლის 7 აპრილის ამონაწერის თანახმად, დასტურდება, რომ ლ. ლ-ის 2021 წლიდან ერიცხება საარსებო შემწეობა ერთ პირზე – 50 ლარის ოდენობით. ამრიგად, სადავო აქტების ბათილად ცნობის შემდეგ მოპასუხისთვის ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალების პირობებში, რომლითაც ლ. ლ-ის ოჯახს უნდა მიენიჭოს 39210 სარეიტინგო ქულა, მისი რეალური, ცოცხალი ოჯახის წევრების გათვალისწინებით (მოსარჩელე – ლ. ლ-ი, მეუღლე – ზ. ა-ეე), შესაბამისად, ლ. ლ-ის ოჯახს უნდა აუნაზღაურდეს საარსებო შემწეობა ოჯახის რეალური ცოცხალი წევრების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზიანის სახით 2021 წლის დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდის ჩათვლით სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ დავა არ არის სწორად გადაწყვეტილი. ამდენად, აღნიშნულ ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობის პირობებში, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც წარმოდგენილი სარჩელი ამ ნაწილში სრულად დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ლ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 30 ივნისის განჩინება 2021 წლის დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდის ჩათვლით მოსარჩელისათვის ზიანის სახით მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ლ. ლ-ის სარჩელი, 2021 წლის დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდის ჩათვლით ზიანის სახით მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურების ნაწილში, დაკმაყოფილდეს;

5. მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალოს მოსარჩელის ოჯახისთვის (ზ. ა-ეის ჩათვლით) ზიანის ანაზღაურება 2021 წლის დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდის ჩათვლით;

6. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 30 ივნისის განჩინება;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის შენარჩუნების წინაპირობები

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-180(კ-19)

31 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: ავტომატური დამუშავების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, ახალი სარეგისტრაციო ქულის მინიჭება, ზეპირი აქტი, მტკიცების ტვირთი

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ს-მა სარჩელით მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ

სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების მიმართ, მოსარჩელემ მოითხოვა: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების 23.07.2017წ. გადაწყვეტილების, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 05.10.2017წ. №04/62471 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილებისთვის ნ. ხ-ის ოჯახისთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შემოწმებისა და ახალი სარეიტინგო ქულის მინიჭების შედეგად საარსებო შემწეობის დანიშვნის დაავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების 23.07.2017წ. გადაწყვეტილება ნ. ხ-ისთვის 81 860 სარეიტინგო ქულის მინიჭების თაობაზე დაუსაბუთებელია, სახეზეა არა აღმჭურველი აქტის გამოცემაზე უარის თქმა (ოჯახის გადამოწმების შედეგად სახელმწიფოს უარი ოჯახის საარსებო შემწეობის მიმღებად რეგისტრაციაზე), არამედ შემზღუდავი აქტის გამოცემა (სახელმწიფოს მიერ ოჯახის ამორიცხვა საარსებო შემწეობის მიმღებთა ბაზიდან), რა დროსაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს, თუ რა გარემოებამ განაპირობა მოსარჩელის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საარსებო შემწეობის შეწყვეტა. მოსარჩელის მოსაზრებით სარეიტინგო ქულის დაანგარიშებისას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონულმა განყოფილებამ დაარღვია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, არსებითად იდენტური ფაქტობრივი გარემოებების პირობებში (მოსარჩელის ოჯახის ბოლო სამი გადამოწმებისას შედგენილი 09.06.2015წ., 28.01.2017წ. და 23.06.2017წ. დეკლარაციები არსებითად იდენტურ ინფორმაციას შეიცავს) მიიღო ერთმანეთისგან განსხვავებული, მოსარჩელისთვის უფლების შემზღუდავი გადაწყვეტილებები და ხელყო ნ. ხ-ის სოციალური დაცვის უფლება. 09.06.2015წ., 28.01.2017წ. და 23.06.2017წ. დეკლარაციების შესაბამისად, მოსარჩელის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა – საარსებო შემწეობის შეწყვეტამდე ორსულიანი ოჯახის (ნ. ხ-ი დედასთან – ვ. ხ-თან ერთად) შემოსავალი თვეში 408 ლარს, თითოეულისთვის კი 204 ლარს შეადგენდა (28.01.2017წ. დეკლარაცია), ხოლო უფლების შემზღუდვის მომენტში, 23.06.2017წ. დეკლარაციის შესაბამისად, ოჯახის შემოსავალი 180 ლარამდე შემცირდა (ნ. ხ-ის სოციალური პაკეტის ოდენობა). ოჯახის შეფასებისთვის საჭირო სხვა ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბოლო ორი შემოწმებისას იდენტურია, მიუხედავად ამისა, პირველ შემთხვევაში (28.01.2017წ.) ოჯახი შეფასდა 69 240 სარეიტინგო ქუ-

ლით, ხოლო მეორე შემთხვევაში (23.06.2017წ.) – 81 860 სარეიტინგო ქულით. ამასთანავე, მოსარჩელის მოსაზრებით, საარსებო შემწეობის შეწყვეტით ნ. ხ-ს შეელახა სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლება. სოციალური დახმარების პროგრამა, რომლის მიზანია ქვეყანაში სიღარიბესთან ბრძოლა და მისი აღმოფხვრა, სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს წარმოადგენს სოციალურად მონყვლადი ფენის მიმართ. პროგრამის მიზანი ეკონომიკურად უკიდურესად მონყვლადი ოჯახების იდენტიფიცირება და შესაბამისი რესურსის გაცემით მათი არსებობის შენარჩუნება, მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებაა. სახელმწიფოს სწორედ კონსტიტუციით აღიარებული უფლებებისა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე ეკისრება ვალდებულება, რომ არ დაუშვას ადამიანების უფლებების შელახვის შესაძლებლობა მინიმალური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის გამო. მოსარჩელის მიმართ უფლების დარღვევის საფრთხისა და ინტენსივობის გათვალისწინებით, მოცემული შემთხვევა პროგრესული რეალიზების პრინციპის ფარგლებში ვერ იქნება განხილული, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საარსებო შემწეობის გაცემაზე უარის თქმა ფინანსური რესურსის არარსებობას არ უკავშირდება და ამგვარი არგუმენტებით არ არის გამყარებული.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 22.12.2017წ. სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა ერთ-ერთი სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების 23.07.2017წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა) და აღნიშნა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონულ განყოფილებას მოსარჩელისთვის სარეიტინგო ქულის მინიჭებისა და საარსებო შემწეობის შეწყვეტის შესახებ არ გამოუცია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გამოიხატა მოქმედებაში – ნ. ხ-ისთვის 81 860 სარეიტინგო ქულის მინიჭებასა და მისი ოჯახისთვის საარსებო შემწეობის გაცემის შეწყვეტაში. მოსარჩელე სადავოდ არ ხდის 23.06.2017წ. დეკლარაციაში მითითებულ მონაცემებს, არამედ შესაფასებელია მისგან გამომდინარე შედეგების – ნ. ხ-ისთვის 81 860 სარეიტინგო ქულის მინიჭებასა და საარსებო შემწეობის შეწყვეტის მართლზომიერება, რომელთა თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონულ განყოფილებას არ გამოუცია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (საჩხერის რაიონული სასამართლოს 22.12.2017წ. სხდომის ოქმი – 12:14:25-12:15:50).

საჩხერის რაიონული სასამართლოს 28.12.2017წ. გადაწყვეტი-

ლებით ნ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქმის მასალების საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ხ-ი არის ეტლით მოსარგებლე, მკვეთრად გამოხატული (I ჯგ.) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი. მოსარჩელის ოჯახი 2006 წლიდან დღემდე რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. მისი სოციალური პაკეტის ოდენობა შეადგენს 180 ლარს. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ოჯახის დეკლარაცია შეივსო რამდენჯერმე: 06.05.2006წ. დეკლარაციის საფუძველზე ოჯახს მიენიჭა 49 000 ერთეული სარეიტინგო ქულა; 19.04.2008წ. დეკლარაციით – 70 980 ერთეული სარეიტინგო ქულა (ვერ მოიპოვა საარსებო შემწეობის უფლება); 24.07.2009წ. დეკლარაციით – 52 630 ერთეული სარეიტინგო ქულა; 13.06.2013წ. დეკლარაციით – 26 250 ერთეული სარეიტინგო ქულა; 17.09.2014წ. დეკლარაციით – 49 280 ერთეული სარეიტინგო ქულა; 09.06.2015წ. დეკლარაციით – 47 270 ერთეული სარეიტინგო ქულა; 28.01.2017წ. დეკლარაციით – 69 240 ერთეული სარეიტინგო ქულა (ვერ მოიპოვა საარსებო შემწეობის უფლება); 23.06.2017წ. დეკლარაციის საფუძველზე 27.02.2017წ. ოჯახს მიენიჭა – 81 860 ერთეული სარეიტინგო ქულა (ვერ მოიპოვა საარსებო შემწეობის უფლება). ნ. ხ-ის ოჯახისათვის 28.01.2017წ. დეკლარაციით მინიჭებული სარეიტინგო ქულის თაობაზე ცნობილი გახდა სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულის 21.04.2017წ. №04-06-11/894 წერილის საფუძველზე. ზემოაღნიშნული ქულა ძალაში შევიდა 27.02.2017წ. გადაწყვეტილებით, რომლიც მოსარჩელემ 23.05.2017წ. ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში. საჩივრის ავტორმა მოითხოვა ნ. ხ-ის ოჯახისთვის სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 69 240 სარეიტინგო ქულის განსაზღვრის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების 27.02.2017წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე, საქმის გარემოებების განმეორებით შესწავლა და ნ. ხ-ისათვის საარსებო შემწეობის დანიშვნა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 15.06.2017წ. №04/38598 გადაწყვეტილებით ნ. ხ-ის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის მუნიციპალიტეტის რაიონულ განყოფილებას დაევალა ნ. ხ-ის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შესწავლა. 23.06.2017წ. დეკლარაციის საფუძველზე ნ. ხ-ის ოჯახს სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში მიენიჭა 81 860 სარეიტინგო ქულა. აღნიშნული გადაწყვეტილება 01.09.2017წ. ნ. ხ-მა გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში და მოითხოვა სსიპ სოციალური მომსა-

ხურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების 23.07.2017წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილებისათვის ნ. ხ-ისთვის საარსებო შემწეობის დანიშნის შესახებ აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 05.10.2017წ. გადაწყვეტილებით ნ. ხ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 23.06.2017წ. დეკლარაციის ყველა მონაცემი შევსებულია ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის – ნ. ხ-ის პასუხებზე დაყრდნობით, მოსარჩელე დეკლარაციაში მითითებულ ინფორმაციას გაეცნო, დაეთანხმა და მისი სისწორე ხელმოწერით დაადასტურა. საქმის მასალების საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ხ-ის ოჯახი საარსებო შემწეობას იღებდა 2006 წლის სექტემბრიდან 2008 წლის აპრილის ჩათვლით 2 წევრზე თვეში 42 ლარის ოდენობით; 2009 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით 2 წევრზე თვეში 54 ლარის ოდენობით; 2013 წლის ივლისიდან 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით 2 წევრზე თვეში 180 ლარის ოდენობით; 2015 წლის სექტემბრიდან 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით 2 წევრზე თვეში 100 ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტებთან მიმართებით ყველა მონაცემი შევსებულია და სარეიტინგო ქულა გამოთვლილია კანონით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით, დაცულია „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალურად დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.04.2010წ. №126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესით“ გათვალისწინებული სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციასთან, აღრიცხვასა და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნასთან, პროცესის მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილებებისა და კომპეტენციის განსაზღვრასთან, მის განხორციელებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები, ამასთანავე დაცულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 20.05.2010წ. №141/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესით“ გათვალისწინებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების იდენტიფიკაციის, ოჯახის სარეიტინგო ქულის დასადგენად მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისთვის განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხები. აღნიშნული

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ნ. ხ-ის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.2018წ. განჩინებით ნ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა საჩივრის რაიონული სასამართლოს 28.12.2017წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები. პალატამ აღნიშნა, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონი ვრცელდება საქართველოში კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ, სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, ლატაკ ოჯახებსა და უსახლკარო პირებზე, თუ ამავე კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი (მე-2 მუხ.). საარსებო შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრანებით (7.4 მუხ.). სააპელაციო პალატამ მიუთითა აგრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 20.05.2010წ. №141/6 ბრძანებით დამტკიცებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესზე“ (1.2 მუხ., 2.1 მუხ. „ე“ და „ვ“ ქვ.პ., 15.2 მუხ., 3.6 მუხ., 4.3 მუხ.) და აღნიშნა, რომ საარსებო შემწეობის ან სხვა ფულადი დახმარების მიღება ოჯახის სარეიტინგო ქულის ოდენობაზეა დამოკიდებული, რომლის გამოთვლა ხდება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სპეციალურ კითხვარში – „ოჯახის დეკლარაციაში“ დაფიქსირებული მონაცემებისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ შეგროვებული ინფორმაციის პროგრამული წესით დამუშავების შედეგად. პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში არ დგინდება ოჯახის დეკლარაციაში უზუსტო მონაცემების არსებობა. ამასთანავე, მხარეთა ახსნა-განმარტებით დადგენილია, რომ მონაცემები შევსებულია ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის – ნ. ხ-ის პასუხებზე დაყრდნობით. მითითებულ დეკლარაციაში ასახულ ინფორმაციას მოსარჩელე გაეცნო, დაეთანხმა და მისი სისწორე ხელმოწერით დაადასტურა. პალატამ აღნიშნა, რომ ნ. ხ-მა ვერ დაძლია მტკიცების ტვირთი და შესაბამისი მტკიცებულებებით ვერ დაასაბუთა აღძრული სარჩელის საფუძვლიანობა, ამასთან ვერც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ფორმალურ-მატერიალური კანონიერების თვალსაზრისით წარმომადგინა რაიმე არგუმენტირებული დასაბუთება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 4.1 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შე-

ჯიბრებითობის საფუძველზე, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სსკ-ის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. სსკ-ის 103-ე მუხლის შესაბამისად, მხარეები თვითონ არიან ვალდებული ნარუდგინონ მტკიცებულებები სასამართლოს. ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის მახასიათებელი ინკვიზიციურობის ელემენტი სასკ-ის მე-4 მუხლის დებულებიდან გამომდინარე, არ გამოიციხავს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის სავალდებულობას, რის საფუძველზეც თითოეული მხარე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი მოთხოვნები, უარყოს ან გააქარწყლოს მეორე მხარის მიერ წარდგენილი მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. პალატამ მიუთითა, რომ მტკიცების პროცესი მოიცავს მხარეთა მიერ მტკიცებულებათა შეგროვებას და სასამართლოში წარდგენას, მხარე უფლებამოსილი და ვალდებულია თვითონვე დაამტკიცოს მის მიერ მითითებული გარემოებები, ამ ვალდებულების შეუსრულებლობა პირდაპირ და არსებით გავლენას ახდენს დავაზე და განაპირობებს სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსს. სასკ-ის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს მხარეთა საპროცესო მოვალეობებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას. კანონი ადგენს საგამონაკლისო შემთხვევას, როდესაც დავის საგანს შეადგენს აქტის მართლზომიერების შემოწმება, მტკიცების ტვირთი ასეთ შემთხვევაში გადადის აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოზე – მოპასუხე სუბიექტზე. პალატამ მიიჩნია, რომ მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ მოსარჩელე საერთოდ თავისუფლდება მის მიერვე მითითებული გარემოებების დასაბუთების ვალდებულებებისაგან. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაძლია მტკიცების ტვირთი და შესაბამისი მტკიცებულებებით ვერ დაასაბუთა აღძრული სარჩელის საფუძვლიანობა, მოსარჩელემ ვერც აქტების ფორმალურ-მატერიალური კანონიერების თვალსაზრისით წარმოადგინა რაიმე არგუმენტირებული დასაბუთება, რაც სააპელაციო საჩივრის უარყოფის საფუძველია. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ნ. ხ-ის

მიერ.

კასატორი აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვებია სასკ-ის 34.2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ამასთანავე, საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა გამოყენებული კანონი, რაც ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველია. სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა მხარის მიერ წარმოდგენილი მნიშვნელოვანი სამართლებრივი არგუმენტები, არ შეამოწმა გასაჩივრებული სამართლებრივი აქტების მატერიალური კანონიერების საკითხი (მიღებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა). შემზღუდავი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს სოციალური მომსახურების ორგანოს უნდა დაესაბუთებინა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ფაქტი. სააპელაციო პალატამ სადავო აქტების მხოლოდ ფორმალური კანონიერება შეამოწმა და შეფასების მიღმა დატოვა მათი მატერიალური კანონიერების საკითხი. პალატამ არ გაითვალისწინა აგრეთვე ის გარემოება, რომ ნ. ხ-ის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მისთვის საარსებო შემწეობის შეწყვეტამდე და მას შემდგომ არ შეცვლილა. ამასთანავე, სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა მტკიცების ტვირთის საკითხი. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ამართლებდა ნ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნებს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვა აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ერთგვარი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში განსხვავებული სამართლებრივი შედეგების დადგომის საკითხი. კასატორის მოსაზრებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონულმა განყოფილებამ ნ. ხ-ის სარეიტინგო ქულის დაანგარიშებისას დაარღვია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, არსებითად იდენტური ფაქტობრივი გარემოებების პირობებში (მოსარჩელის ოჯახის ბოლო სამი გადამონმებისას შევსებული 09.06.2015წ., 28.01.2017წ. და 23.06.2017წ. დეკლარაციები არსებითად იდენტურ ინფორმაციას შეიცავს) მიიღო განსხვავებული, მოსარჩელისთვის უფლების შემზღუდავი გადაწყვეტილება და ხელყო ნ. ხ-ის სოციალური დაცვის უფლება. ზემოაღნიშნულ დეკლარაციათა ანალიზით დგინდება, რომ მოსარჩელის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური

მდგომარეობა გაუარესდა – საარსებო შემწეობის შეწყვეტამდე ორსულიანი ოჯახის (ნ. ხ-ი დედასთან – ვ. ხ-თან ერთად) შემოსავალი თვეში 408 ლარს, თითოეულისთვის კი 204 ლარს შეადგენდა (28.01.2017წ. დეკლარაცია), ხოლო უფლების შეზღუდვის მომენტში, 23.06.2017წ. დეკლარაციის თანახმად, ოჯახის შემოსავალი 180 ლარამდე შემცირდა (ნ. ხ-ის სოციალური პაკეტის ოდენობა). ოჯახის შეფასებისთვის საჭირო სხვა ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბოლო ორი შემოწმებისას იდენტურია, მიუხედავად ამისა, პირველ შემთხვევაში (28.01.2017წ.) ოჯახი შეფასდა 69 240 სარეიტინგო ქულით, ხოლო მეორე შემთხვევაში (23.06.2017წ.) – 81 860 სარეიტინგო ქულით.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-და-საბუთებულობის შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.2018წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით, ნ. ხ-ის ოჯახს 28.01.2017წ. დეკლარაციის საფუძველზე 27.02.2017წ. მიენიჭა 69 240 ერთეული სარეიტინგო ქულა და შეუწყდა საარსებო შემწეობის მიღება, რაც მოსარჩელემ 23.05.2017წ. ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 15.06.2017წ. №04/38598 გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩივრის რაიონულ განყოფილებას დაევალა ნ. ხ-ის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შესწავლა. ხსენებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ნ. ხ-ის ხელახალი შემოწმების მიზანი იყო მოსარჩელის სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის უფლების უსაფუძვლოდ შეზღუდვის ფაქტის გამოსარიცხად მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დაზუსტება. 23.06.2017წ. განმეორებით შესწავლის საფუძველზე ოჯახს მიენიჭა 81 860 ერთეული სარეიტინგო ქულა. სადავო პერიოდში მოქმედი ნორმატიული მოწესრიგების – „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 28.07.2006წ. №145 დადგენილების მიხედვით განსაზღვრული იყო საარსებო შემწეობის მისაღები ორი ზღვრული ქულა (57 001 და 100 001), რომელთა დიფერენცირება ხდებოდა ქულის გამოთვლის მეთოდოლოგიის შესაბამისად, კერძოდ, საარ-

სებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა იყო 57001, თუ ქულის დათვლა განხორციელდა საქართველოს მთავრობის 30.03.2010წ. №93 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ მიხედვით (7.1, 6.2 მუხ.), ხოლო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა იყო 100 001, თუ ქულის გამოთვლა ხდებოდა საქართველოს მთავრობის 31.12.2014წ. №758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, ამასთანავე, ეს ქულა არ იყო აბსოლუტური, შემწეობა არ ენიშნებოდა ყველა იმ ოჯახს, რომლის სარეიტინგო ქულა 100 001-ზე ნაკლები იყო (7.2, 6.3 მუხ.), კერძოდ, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 28.07.2006წ. №145 დადგენილების 6.3 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მიხედვით, საქართველოს მთავრობის 31.12.2014წ. №758 დადგენილებით დამტკიცებული „მეთოდოლოგიის“ შესაბამისად ქულის მინიჭებისას ოჯახს, რომლის შემადგენლობაშიც 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ იმყოფებოდა, საარსებო შემწეობა შეიძლება დანიშნონდა მხოლოდ 65 001 ქულაზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მინიჭების შემთხვევაში. ოჯახს, რომელსაც 65 001-დან 100 001 ქულამდე ჰქონდა მინიჭებული, ყველა წევრზე არ ენიშნებოდა სოციალური შემწეობა, ასეთ ოჯახს შემწეობა ენიშნებოდა მხოლოდ ოჯახის 16 წლამდე ასაკის წევრებზე (6.3 მუხ. „დ“ ქვ.პ.). ამდენად, თუ ოჯახში არ იყო 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირი და ამავე დროს ოჯახის სარეიტინგო ქულა ექცეოდა 65 001-დან 100 001-მდე ინტერვალში, ოჯახს საარსებო შემწეობა არ ენიშნებოდა. მოცემული დავის ფარგლებში შესაფასებელია 23.06.2017წ. დეკლარაციის საფუძველზე მოსარჩელისთვის 81 860 სარეიტინგო ქულის მინიჭებისა და საარსებო შემწეობის გაცემისგან თავის შეკავების კანონიერების საკითხი. 23.06.2017წ. მდგომარეობით სარეიტინგო ქულის გამოთვლა ხდებოდა საქართველოს მთავრობის 31.12.2014 წ. №758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, ამდენად, დგინდება, რომ ნ. ხ-ისათვის სარეიტინგო ქულის განსაზღვრა მოხდა სწორედ №758 დადგენილებით დამტკიცებული „მეთოდოლოგიით“, რის გამო საარსებო შემწეობის დანიშვნის მიზნებისათვის მას უნდა ჰქონოდა 65 001 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები ქულა, რადგან ოჯახი არის ერთსულიანი და არ დგინდება მისი ოჯახის შემადგენლობაში 16 წელს ასაკს მიუღწეველი პირების ყოფნა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის 22.08.2006წ. №225/წ ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ თანახმად, საარსებო შემწეობის შენევეტის საფუძველია, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ „საარსებო შემწეობის ზღვრულ ქულაზე“ (16.1 მუხ.) მეტი სარეიტინგო ქულის ოჯახისათვის მინიჭება. ამდენად, მოსარჩელის ოჯახისთვის 81 860 სარეიტინგო ქულის მინიჭებით სააგენტომ გამოორიცხა ნ. ხ-ისთვის სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის უფლების უსაფუძვლოდ შეზღუდვა და მისთვის შენევეტილი საარსებო შემწეობა უცვლელი დარჩა. იმის გათვალისწინებით, რომ 23.06.2017წ. მოსარჩელის ოჯახის განმეორებით გადამონმების მიზანი მისთვის სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის უფლების უსაფუძვლოდ შეზღუდვის გამოორიცხვა, 69 240 ქულის მინიჭების შედეგად საარსებო შემწეობის შეზღუდვის მართლზომიერების შემონმება იყო, ნ. ხ-ისთვის სამართლებრივი შედეგი – საარსებო შემწეობის გაცემის შენევეტა საბოლოოდ განაპირობა 81 860 ქულის მინიჭებამ. ამდენად, მოცემული დავის ფარგლებში შესაფასებელია 23.06.2017წ. დეკლარაციის საფუძველზე მოსარჩელისთვის 81 860 სარეიტინგო ქულის მინიჭებისა და საარსებო შემწეობის გაცემისგან თავის შეკავების კანონიერების საკითხი.

საქმის მასალების მიხედვით, ერთ-ერთ დავის საგანს შეადგენს ნ. ხ-ის ოჯახისთვის 81 860 ქულის მინიჭებისა და მისი ოჯახისათვის საარსებო შემწეობის შენევეტის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების 23.07.2017წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების მიერ სადავო გადაწყვეტილების (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების 23.07.2017წ. გადაწყვეტილება ნ. ხ-ის ოჯახისთვის 81 860 ქულის მინიჭებისა და მისი ოჯახისათვის საარსებო შემწეობის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე) წერილობითი ფორმით გამოცემა. აღნიშნულს ადასტურებს აგრეთვე საჩხერის რაიონული სასამართლოს 22.12.2017წ. სხდომაზე მოსარჩელის ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონულ განყოფილებას მოსარჩელისთვის სარეიტინგო ქულის მინიჭებისა და საარსებო შემწეობის შენევეტის შესახებ არ გამოუცია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები გამოიხატა მოქმედებაში – ნ. ხ-ისთვის 81 860 სარეიტინგო ქულის მინიჭებასა და მისი ოჯახისთვის საარსებო შემწეობის გაცემისგან თავის შეკავებაში. მოსარ-

ჩელე სადავოდ არ ხდის 23.06.2017წ. დეკლარაციაში ასახულ მონაცემებს, შესაფასებელია მისგან გამომდინარე შედეგების მართლზომიერება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის გადაწყვეტა საჭიროებს: I – სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის სამართლებრივი ფორმის (მათ შორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ზეპირი ფორმით გამოცემისა და მისი ძალაში შესვლის), ასევე II – სასამართლოს მიერ მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვის საკითხების შეფასებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს განხორციელებული ან განსახორციელებელი სადავო საქმიანობის სამართლებრივი ფორმის სწორად განსაზღვრაზე დამოკიდებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლების დაცვის საპროცესო მექანიზმების სწორად გამოყენება. ამდენად, თავდაპირველად უნდა განისაზღვროს სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის სამართლებრივი ფორმა.

ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი ნაწილის არსებობა უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას. იგი მოიცავს დებულებებს, რომლებიც საერთოა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ყველა სფეროსთვის, თუ სპეციალური კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ერთიანი დებულებების დადგენა აფერხებს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილის სფეროების იზოლირებას, რის შედეგადაც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ხდება სტაბილური და გამჭვირვალე. სტაბილურობისა და გამჭვირვალობის გარეშე საქმიანობის განხორციელება შეიცავს ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის მომეტებულ რისკს, რასაც მნიშვნელოვნად ამცირებს ადმინისტრაციულ სამართალში დადგენილი ერთიანი დებულებების დაცვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი ფორმების სისტემას, რომელიც მოიცავს 4 ფორმას: ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება და რეალაქტი. მითითებულ ფორმებს შორის ცენტრალური ადგილი უკავია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოსა და ადრესატს შორის სამართლებრივი ურთიერთობის ცალმხრივად მოწესრიგების საშუალებაა ადმინისტრაციული ორგანოსთვის. ინდივი-

დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ ის არის კანონის (გენერალური რეგულაციის) მოთხოვნების ცალკეულ შემთხვევებსა და კონკრეტულ პირებზე გავრცელების საშუალება. სახელმწიფო ხელისუფლება კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად თავისი საქმიანობით უშუალოდ კი არ უპირისპირდება მოქალაქეს, არამედ გამოსცემს სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზეც მიიღება კონკრეტული ზომა, როგორც სამართლიანი, განსაზღვრული და სავალდებულო ძალის მქონე ქმედება. სწორედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქმნის აქტის ამოქმედების შემდგომ მისი თვითაღსრულების პირობას. აღნიშნულში ვლინდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებით სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს შესაძლებლობას პირის ნების საწინააღმდეგოდ, კანონით დადგენილი აღსრულების საშუალებების გამოყენებით აღასრულოს აქტი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების სამართლებრივი ფუნქცია იმაში ვლინდება, რომ ის არის აღსრულების დანყების აუცილებელი წინაპირობა (სუსგ №ბს-365-360(კ-16), 25.05.2017წ.). ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლით ადმინისტრაციული ორგანო ადგენს სტაბილურ სამართლებრივ ურთიერთობას აქტის ადრესატთან. სანამ მოქმედებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მანამდე უნდა შენარჩუნდეს აქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი შედეგი“ და შესაბამისად მისგან გამომდინარე „ფაქტობრივი მდგომარეობა“.

შინაარსის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყოფა შემდეგ სახეობებად: ა) აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის ან წყვეტს ადმინისტრაციულ ორგანოსა და ადრესატს შორის სამართლებრივ ურთიერთობას; ბ) აქტი, რომელიც ადასტურებს ადმინისტრაციულ ორგანოსა და ადრესატს შორის სამართლებრივი ურთიერთობის (ადრესატის ან მესამე პირის მიმართ სახელმწიფოს პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულების) არსებობა-არარსებობას. პირველ შემთხვევაში, აქტი ადგენს „მოთხოვნას“ ან „უფლებას“ (მაგ. ჯარიმის გადახდის დავალება ან მშენებლობის ნებართვის გაცემა), ხოლო მეორე შემთხვევაში – ადრესატის (სუბიექტის ან საგნის) „სამართლებრივად მნიშვნელოვან თვისებას“ (მაგ. პირისთვის დევნილის სტატუსის მინიჭება, შენობისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის განსაზღვრა და ა.შ.). თვისების სამართლებრივი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ თვისების არსებობა-არარსებობაზე დამოკიდებული თუ რა სამართლებრივი რეჟიმი გავრცელდება ადრესატის მიმართ.

თვისების დადგენის (სტატუსის, რეჟიმის განსაზღვრის) შემდგომ ნათელი/გასაგები ხდება ადრესატისა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ერთმანეთთან მიმართებით განსახორციელებელი/აკრძალული კონკრეტული ქმედებები, რომლებიც გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით. სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადასტურების შესახებ გადანყვეტილება სავალდებულოა, აქვს მხოტავი ძალა ურთიერთობის მხარეებისთვის, რითაც იგი იძენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ხასიათს. ამდენად, ის წარმოადგენს ქმედების განხორციელების „სამართლებრივ საფუძველს“ და საჭირო აღარაა უშუალოდ ქმედების განხორციელების შესახებ გადანყვეტილების დამატებით მიღება. სანამ მოქმედია გადანყვეტილება ურთიერთობის არსებობის დადასტურების შესახებ (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი), მანამდე მხარეებს ევალებათ იმ ქმედებების განხორციელება, რაც გამომდინარეობს შესაბამისი კონკრეტული სამართლებრივი სტატუსიდან/რეჟიმიდან. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემულად მიჩნევის საკითხი დამოკიდებულია არა ადმინისტრაციული ორგანოსა და ადრესატის სუბიექტურ მოსაზრებებზე, არამედ ობიექტურ გარემოებაზე – განსაზღვრულ შემთხვევებში მხარეთა საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების ცალმხრივად მოწესრიგებაზე. აღნიშნულ საკითხს, საჯარო მმართველობის განხორციელების ეტაპზე, აფასებს ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო სასამართლო წარმოების დროს სასამართლო ამონმებს ადმინისტრაციული ორგანოს შეფასების სისწორეს.

განსახილველ შემთხვევაში, სააგენტოსა და მოსარჩელეს შორის უფლებრივი მდგომარეობა ზოგადად მოწესრიგებულია ადამიანის ძირითადი უფლებებით. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე (საქართველოს კონსტიტუციის 5.4 მუხ.). საარსებო შემწეობა გაიცემა იმ ოჯახის ყველა სრულწლოვან წევრზე, რომლის სარეიტინგო ქულა ნაკლებია 65001 ქულაზე („სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 28.07.2006წ. №145 დადგენილების 6.3 მუხ.). ამდენად, ზოგადად სააგენტოს ეკისრება სახელმწიფო პოზიტიური ვალდებულება იზრუნოს ადამიანის სოციალურ დაცვაზე და უზრუნველყოს იგი საარსებო მინიმუმით, ხოლო მოსარჩელეს აქვს უფლება მიიღოს საარსებო შემწეობა კანონმდებლობით გათვალისწინებული კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, სა-

აგენტო გასცემდა საარსებო შემწეობას ნ. ხ-ის სასარგებლოდ 2006 წლის სექტემბრიდან 2008 წლის აპრილის ჩათვლით და 2009 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით. 2017 წლის იანვრიდან მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ თავი შეიკავა საარსებო შემწეობის გაცემისგან. შესაბამისად, სააგენტოს დადასტურებული ჰქონდა სახელმწიფო პოზიტიური ვალდებულების არსებობა უშუალოდ მოსარჩელის მიმართ. 2017 წლის იანვარში სააგენტომ შეაფასა ნ. ხ-ის „კეთილდღეობის დონე“, განსაზღვრა სარეიტინგო ქულა და აღნიშნულის საფუძველზე ზეპირად დაადგინა (გადაწყვიტა) მოსარჩელის სამართლებრივად მნიშვნელოვანი თვისება, კერძოდ ის, რომ იგი აღარ აკმაყოფილებდა საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის „მოპოვების/შენარჩუნების“ კანონმდებლობით გათვალისწინებულ კრიტერიუმს. სამართლებრივი სტატუსის შენარჩუნებაზე უარის თქმის შესახებ ზეპირი გადაწყვეტილებით, სააგენტომ დაადასტურა სოციალური დაცვისა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის შესახებ სახელმწიფო პოზიტიური ვალდებულების ნ. ხ-ის მიმართ არარსებობა. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადგინა ისეთი სამართლებრივი რეჟიმი, რომელმაც გამოიწვია მოსარჩელის უფლებრივი მდგომარეობის შემცირება, კერძოდ შეუზღუდა საარსებო შემწეობის გაცემის სააგენტოსთვის დავალების მოთხოვნა. ამდენად, სახელმწიფო პოზიტიური ვალდებულების არარსებობის დადასტურების გამო, საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის შენარჩუნებაზე მოსარჩელისთვის უარის თქმის შესახებ სააგენტოს ზეპირი გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია. სახელმწიფო პოზიტიური ვალდებულების არარსებობის დადასტურება და დაინტერესებული მხარის უფლებრივი მდგომარეობის შემცირება შეუძლებელია სამართლებრივი აქტის გარეშე, მარტოოდენ რეალაქტით, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ ფაქტობრივი შედეგია და არა სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირთა უფლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი საქმიანობა.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 28.07.2006წ. №145 დადგენილების 3.1 მუხლის შესაბამისად, საარსებო შემწეობის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საარსებო შემწეობის მაძიებელი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის დანიშვნას, გაცემას, შეწყვეტას, გაანგარიშებას, შეჩერებას, აღდგე-

ნასა და საარსებო შემწეობის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გადანაცვლებას (ანალოგიურ დებულებას შეიცავს აგრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 22.08.2006წ. №225/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-7 მუხ.). ამავე დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 22.08.2006წ. №225/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ 4.1 მუხ.). საარსებო შემწეობის ადმინისტრირებისათვის სააგენტო უზრუნველყოფს საარსებო შემწეობის დანიშვნას, გაანგარიშებას, შეჩერებას, შეწყვეტას, განახლებას, აგრეთვე გაცემის ორგანიზაციას (9.1 მუხ. „ა“ ქვ.პ.). სააგენტო უფლებამოსილია არსებული/გამოვლენილი ფაქტების გათვალისწინებით, მიიღოს გადაწყვეტილება შემწეობის დანიშვნის, დანიშვნაზე უარის თქმის, შეჩერების, შეწყვეტის, ზედმეტად გაცემული შემწეობის უკან დაბრუნების ან/და შემწეობის ოდენობის გადანგარიშების შესახებ (9.2 მუხ. „ბ“ ქვ.პ.). სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 31.12.09წ. №01/474-ო ბრძანებით დამტკიცებული „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების ცენტრისა და რაიონული (საქალაქო) განყოფილების ტიპური დებულების“ მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენტრი (განყოფილება) კანონმდებლობისა და ამ დებულებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს სხვადასხვა სოციალური დახმარების დანიშვნის, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, განახლების ან დანიშვნაზე უარის თქმის თაობაზე, ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ უფლებამოსილების ფარგლებში, განყოფილება კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

„ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.04.2010წ. №126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ 9.1 მუხლი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს (მათ შორის გარდაცვალება), რომლის დროსაც სააგენტო მოიძიებს და იღებს ინფორმაციას ოჯახთან დაკავშირე-

ბით მომხდარი ცვლილებების შესახებ და აკორექტირებს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის მანამდე არსებულ მონაცემებს (მუხლში მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი). კორექტირებასთან დაკავშირებით უფლებამოსილი პირი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამავე წესის 8.6 მუხლის თანახმად, სარეიტინგო ქულის მისანიჭებლად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად და საჭირო პროცედურების გასატარებლად გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადები, აღნიშნული კი ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საჭიროებას. ამდენად, ზემოაღნიშნულ ნორმათა ერთობლიობა ადასტურებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების მიერ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენის, საჭირო პროცედურების გატარებისა და სარეიტინგო ქულის მინიჭების შემდეგ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საჭიროებას.

ის გარემოება, რომ საარსებო შემწეობის შეწყვეტის შესახებ სააგენტო გადაწყვეტილებას იღებს შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძვლის დადგენის მომდევნო თვიდან (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 22.08.2006წ. №225/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ 16.1 მუხ. „გ“ ქვ.პ.; 16.2 მუხ.), არ ნიშნავს იმას, რომ საარსებო შემწეობის გაცემა მისი შეწყვეტის საფუძვლის დადგენის მომდევნო თვიდან იმთავითვე შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს და შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობის შემთხვევაში არ არსებობს შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, აქტის გამოსაცემად და მის ძალაში შესასვლელად საჭირო პროცედურების გატარების საჭიროება. სახელმწიფო გასაცემელთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობისათვის/შეწყვეტისთვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობის არსებობა არ არის საკმარისი. ადმინისტრაციული აქტის მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ ის არის კანონის მოთხოვნათა ცალკეულ შემთხვევებსა და კონკრეტულ პირებზე გასაავრცელებელი ტიპური საშუალება. კანონით განსზღვრული აბსტრაქტულ-გენერალური მოწესრიგება საჭიროებს მისი კონკრეტულ-ინდივიდუალური შემთხვევისადმი მისადაგებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემ-

ვეობით.

საჯარო მმართველობა თავის საქმიანობას ყოველთვის დროის შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით ახორციელებს. ადმინისტრაციული აქტის წერილობითი, ზეპირი ან სხვა ფორმით გამოცემა არის არა საგამონაკლისო, არამედ ნორმალური შემთხვევა. ტექნოლოგიური მიღწევების განვითარების კვალდაკვალ იზრდება გადანყვეტილებათა ავტომატიზაციის პროცესი. აღნიშნული ქმნის ინოვაციების გამოყენებისა და უფლებათა დაცვაში ბალანსის დაცვის საჭიროებას. ტექნოლოგიური საშუალების გამოყენებით გადანყვეტილების მიღებისას გარკვევას საჭიროებს აქტის მიმღების ვინაობა (ავტომატი თუ პერსონალი). იმ შემთხვევაში, როდესაც ავტომატის მიერ მონაცემების დამუშავება წარმოადგენს იმ საბოლოო გადანყვეტილების საფუძველს, რომელიც ადამიანმა უნდა მიიღოს, გადანყვეტილება არ ჩაითვლება ავტომატის მიერ დამოუკიდებლად მიღებულ გადანყვეტილებად.

რაც შეეხება მოცემულ საქმეში სარეიტინგო ქულის გამოანგარიშების მიზნით კომპიუტერული პროგრამის გამოყენებას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კომპიუტერული პროგრამა ასრულებს მხოლოდ ე.წ. კალკულატორის ფუნქციას, შეფასების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ინფორმაციის პროგრამაში ასახვის საფუძველზე, იგი მათემატიკური რიცხვით გამოხატავს ადრესატის „კეთილდღეობის დონეს“. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 20.05.2010წ. №141/6 ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების და ამ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის და რეფერირების წესის“ 15.1 მუხლის მიხედვით, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით ხდება დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების ტექნიკური დამუშავება. საქართველოს მთავრობის 24.04.2010წ. №126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ 8.2 მუხლიდან გამომდინარე, მონაცემთა ბაზა მოიცავს ცნობებსა და ინფორმაციას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპიუტერული პროგრამით ხორციელდება მხოლოდ „ტექნიკური დამუშავება“ იმ ცნობების/მონაცემების/ინფორმაციის, რომელიც მონაცემთა ბაზაშია ასახული. ევროკავშირში მოქმედი „მონაცემების დამუშავების და თავისუფალი მიმოსვლის შესახებ“ ევროპარლამენტის და საბჭოს 27.04.2016წ. რეგულაციის (EU) 2016/679 22-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ ავტომატიზირებული დამუშავების საფუძველზე მიღებული გადანყვეტილება გულისხმობს ისეთი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით გადანყვეტი-

ლებების მიღებას, რაც გამორიცხავს ადამიანის მონაწილეობას. მოცემულ შემთხვევაში კომპიუტერის მიერ ქულის დაანგარიშება ხდება დეკლარაციის საფუძველზე, რომლის მონაცემების შედგენაში ფიზიკური პირი და პერსონალი იღებს მონაწილეობას (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 20.05.2010წ. №141/6 ბრძანებით დამტკიცებული „ნესის“ თანახმად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი დადგენილი მეთოდოლოგიისა და ნესის შესაბამისად ახორციელებს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა-შეფასებას (2.1 მუხ. „ზ“ ქვეპ.), დეკლარაციის „A“, „B“, „C“ (გარდა „C3“ პუნქტის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9 და მე-13 გრაფისა), „D“ და „E“ ბლოკები ივსება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე), შემწეობის შეწყვეტა ხდება ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს თანხის პირის ანგარიშზე ჩარიცხვის შეწყვეტას. ამასთანავე, აღნიშნული რეგულაციის 22.1 მუხლის თანახმად, (საგამონაკლისო შემთხვევების გარდა (22.3 მუხ.)) ზოგადად აკრძალულია მხოლოდ ავტომატის მიერ გადაწყვეტილების მიღება თუ ეს უკანასკნელი მონაცემთა სუბიექტისათვის ინვესტ სამართლებრივ ან სხვა მნიშვნელობის მქონე შედეგებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ ინდივიდის მდგომარეობაზე, ასეთს განეკუთვნება სოციალური სარგებლობის მიღების ან მის გაცემაზე უარის თქმას. ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანო საარსებო შემწეობის ოდენობის გამოსაანგარიშებლად იყენებს კომპიუტერულ პროგრამას, თავისთავად არ ადასტურებს აქტის ავტომატური სახით გამოცემას, კომპიუტერული პროგრამა დამოუკიდებლად, ავტომატურად არ წარმოშობს არანაირ შედეგს, უშუალოდ არ ახორციელებს თანხის გადარიცხვას ადრესატის საბანკო ანგარიშზე და არც ჩარიცხვის შეწყვეტას ინვესტ. თანხის გადარიცხვასა და გადარიცხვის შეწყვეტაში მონაწილეობს (უნდა მონაწილეობდეს) სააგენტოს პერსონალი, რომელიც პროგრამული გამოთვლის შედეგების საფუძველზე ადასტურებს სახელმწიფო პოზიტიური ვალდებულების არსებობა-არარსებობის საკითხს და იმავდროულად ადგენს ადრესატის სამართლებრივად მნიშვნელოვან თვისებას/სტატუსს, სახელმწიფოს ნებას გამოხატავს სააგენტოს პერსონალი და არა კომპიუტერული პროგრამა, თანხის საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხვის შეწყვეტა არ ხდება ავტომატურად, აღნიშნულს უზრუნველყოფს სააგენტოს უფლებამოსილი პირი. პროგრამულად სარეიტინგო ქულის გამოთვლა, კალკულაცია არ ათავისუფლებს სააგენტოს თუნდაც ზეპირი სამართლებრივი აქტის კანონიერების მტკიცების ვალდებულებისგან. შეფასების შედეგების გათვალისწინებით სააგენ-

ტო იღებს გადაწყვეტილებას შეჩერებული საარსებო შემწეობის გაცემის გაგრძელების (აღდგენის) ან შეწყვეტის თაობაზე (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 22.08.2006წ. N225/6 ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-15 მუხ. მე-4 პ.).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი შედეგი“ წარმოიშობა მისი ძალაში შესვლის მომენტიდან. ძალაში შესვლამდე აქტი უფუნქციოა, რადგან „სამართლებრივი შედეგები“ არ სცდება ადმინისტრაციული ორგანოს შიდა საქმიანობის ფარგლებს. მხოლოდ აქტის ძალაში შესვლით წესრიგდება სამართლებრივი ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსა და ადრესატს შორის (ე.წ. გარე ურთიერთობა). სზაკ-ის 54.1 მუხლის თანახმად, საერთო წესით, აქტის ძალაში შესასვლელად ადმინისტრაციული ორგანოსთვის სავალდებულოა „სამართლებრივი შედეგის“ შესახებ ადრესატის ინფორმირება, თუმცა გამოწვევის წესით, ადმინისტრაციულ ორგანოს არ ეკისრება აღნიშნული ვალდებულება, როდესაც სზაკ-ის 54.2 მუხლის მიხედვით, არსებობს აქტის დაუყოვნებლივ ძალაში შესვლის ერთ-ერთი წინაპირობა. ამდენად, სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლა როგორც წესი პირდაპირაა დაკავშირებული სამართლებრივი შედეგის შესახებ ადრესატის ინფორმირებასთან, გარდა იმ შემთხვევაში, როდესაც განსაკუთრებული გარემოების (არსებითი ზიანის მიყენება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისთვის, დანაშაულის აღკვეთისთვის ან გახსნისთვის, აგრეთვე პირის უფლებებისთვის ან კანონიერ ინტერესებისთვის) გათვალისწინებით გამართლებულია მისი ძალაში შესვლა ადრესატის ინფორმირებამდე. ნებისმიერ შემთხვევაში, სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის აუცილებელია აქტის ძალაში შესვლა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლისა და სამართლებრივი შედეგის შესახებ ადრესატის ინფორმირებულობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულია არაერთი გადაწყვეტილება, კერძოდ №ბს-365-360(კ-16), 25.05.2017წ.; №ბს-815-807(კ-16), 25.05.2017წ. და №ბს-236-234(კ-16), 25.01.2018წ..

განცალკევებულად უნდა აღინიშნოს ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის საკითხი. სზაკ-ის 51.3 მუხლის თანახმად, ზეპირად გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე არ ვრცელდება ამ კოდექსის 52-ე-58-ე მუხლების მოთხოვნები. მითითებული მოწესრიგება ერთი შეხედვით მოიაზრებს იმას, რომ ზეპირი აქტის

შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს არ ეკისრება სამართლებრივი შედეგის შესახებ ადრესატის ინფორმირების ვალდებულება (სზაკ-ის 54.1 მუხ.), რაც განპირობებულია გამოცემის ფორმის თავისებურებით, კერძოდ ზეპირი სამართლებრივი აქტი მატერიალურად არ არსებობს, მას არ აქვს რეკვიზიტები, ვერ მოხდება დაინტერესებული მხარისთვის მისი გადაცემა, ფოსტის მეშვეობით გაგზავნა, გამოქვეყნება ან საჯარო გამოცხადება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზეპირი აქტის შემთხვევაში მნიშვნელობას იძენს მისი ადრესატზე ზემოქმედების ხასიათი. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა აღმჭურველი აქტის გამოცემაზე უარის თქმა, არამედ სახელდობრ შემზღუდავი აქტი, ვინაიდან სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირისთვის უკვე მინიჭებული/აღიარებული უფლების შეზღუდვა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე წლების განმავლობაში იყო საარსებო შემწეობის მიმღები, ბენეფიციარი, ნ. ხ-ი იყო სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და სახელმწიფო მას უწევდა ფინანსურ დახმარებას. შემზღუდველი ზეპირი აქტის შინაარსის (სამართლებრივი შედეგის) შესახებ ადრესატის ინფორმირებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია სზაკ-ის 51.2 მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვით, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებიდან 3 დღის ვადაში „უნდა გამოიცეს წერილობით“. ზეპირი აქტის მოგვიანებით წერილობით გამოცემა აღმოფხვრის ზემოთ მითითებულ იმ თვისობრივ დაბრკოლებებს, რომლებიც დაკავშირებულია ზეპირი აქტის შინაარსის შესახებ დაინტერესებული მხარის ინფორმირებასთან. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნა (სზაკ-ის 51.2 მუხ.) გაგებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება შემზღუდველი ზეპირი აქტის შინაარსის ანუ „სამართლებრივი შედეგისა“ და მისი „დასაბუთების“ შესახებ დაინტერესებული მხარის ინფორმირების ვალდებულება „კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებებით“ და არა თითოეული ზეპირი აქტის დამატებით წერილობით გამოცემა. ამდენად, შემზღუდველი აქტის ზეპირად გამოცემა ადმინისტრაციულ ორგანოს ისევე ავალდებულებს ადრესატის ინფორმირებას აქტის შინაარსის შესახებ, როგორც წერილობითი აქტის შემთხვევაში, რის გამოც შემზღუდველი ზეპირი სამართლებრივი აქტიც ძალაში შედის „სამართლებრივი შედეგის“ თაობაზე ადრესატის ინფორმირებისთანავე. მხოლოდ და მხოლოდ აქტის დაუყოვნებელი ძალაში შესვლის წინაპირობების არსებობის დროს, თავისუფლდება ადმინისტრაციული ორგანო ადრესატის ინფორმირე-

ბის ვალდებულებისგან (სზაკ-ის 54.2), თუმცა ისიც დროებით, სამართლებრივი აქტის დაუყოვნებლივ ძალაში შესვლის განმაპირობებელი ფაქტობრივი წინაპირობის აღმოფხვრამდე. მოქმედების განხორციელების ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შემდეგ, საქმიანობის ადრესატის საკონტაქტო ინფორმაციის ადმინისტრაციული ორგანოსთვის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს დაინტერესებულ მხარეს იმის შესახებ, რომ არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შექმნა გამოწვეულია ადმინისტრაციული ორგანოს ნებით (გადაწყვეტილებით). ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ის 95.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა. ამავე კოდექსის 13.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა.

განსახილველ შემთხვევაში, საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის შენარჩუნებაზე მოსარჩელისთვის უარის თქმის შესახებ სააგენტოს ზეპირი გადაწყვეტილების ძალაში შესვლა პირდაპირ იყო დაკავშირებული სააგენტოს მიერ სამართლებრივი შედეგის შესახებ ნ. ხ-ის ინფორმირებასთან. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, არ არსებობდა სააგენტოს ზეპირი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ ძალაში შესვლის გამართლებელი, კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე წინაპირობა. ასეთი წინაპირობის არსებობის მითითებისა და მტკიცების ტვირთი, ასკ-ის 17.2 მუხლის თანახმად, ეკისრება მოპასუხეს – სამართლებრივი შედეგის განმსაზღვრელ და მის დაუყოვნებლივ აღმასრულებელ ადმინისტრაციულ ორგანოს. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების 21.04.2017წ. №04-06-11/894 წერილის თანახმად, დაინტერესებული მხარის ოჯახში ვიზიტი განხორციელდა 2017 წლის 28 იანვარს, ამავე თარიღში შეივსო დეკლარაცია და ოჯახს სარეიტინგო ქულა მიენიჭა (ძალაში შევიდა) 2017 წლის 27 თებერვალს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ოჯახში ვიზიტიდან სარეიტინგო ქულის მინიჭებამდე პერიოდი შეადგენდა 30 დღეს, ამასთან, სააგენტო არ უთითებს რაიმე ობიექტურად არსებულ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელიც მიჩნეული იქნებოდა ადრესატის ინფორმი-

რებისგან თავის შეკავების გამამართლებელ კანონიერ წინაპირობად (სზაკ-ის 54.2). ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობდა სამართლებრივი სტატუსის შენარჩუნებაზე მოსარჩელისთვის უარის თქმის შესახებ სააგენტოს ზეპირი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ კანონიერ ძალაში შესვლის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც მითითებული ზეპირი სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლა დამოკიდებული იყო სამართლებრივი შედეგის შესახებ ადრესატის ინფორმირებაზე.

სამართლებრივი შედეგის შესახებ ადრესატის ინფორმირება ადმინისტრაციულ ორგანოსა და ადრესატს შორის კომუნიკაციის პროცესია, რომლის განსახორციელებლადაც ადმინისტრაციული ორგანო აღჭურვილია ადრესატის ინფორმირების როგორც პერსონალური, ასევე საჯარო ხასიათის საშუალებებით. პერსონალური ინფორმირების დროს ადგილი აქვს აქტის „გადაცემას“ ან „ფოსტის მეშვეობით გაგზავნას“ (სზაკ-ის 58.1 მუხ.), ხოლო საჯარო ინფორმირების შემთხვევაში – მის „გამოქვეყნებას“ ან „საჯაროდ გამოცხადებას“ (სზაკ-ის 56.1 და 57.1 მუხ.). ამდენად, კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართლებრივი შედეგის შესახებ ადრესატის ინფორმირების 4 საშუალებას: აქტის გადაცემას, ფოსტის მეშვეობით გაგზავნას, გამოქვეყნებასა და საჯარო გამოცხადებას.

სამართლებრივი აქტის შინაარსის დაინტერესებული მხარისთვის ინფორმირების პერსონალურ და საჯარო ხასიათის საშუალებებს შორის არჩევანის თავისუფლება ადმინისტრაციული ორგანოსთვის შეზღუდულია. აქტის გამოქვეყნება და საჯარო გამოცხადება ხორციელდება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში (სზაკ-ის 55.1 და 56.2 მუხ.). შესაბამისად, პერსონალური ხასიათის საშუალებით ადრესატის ინფორმირებაზე უარის თქმის უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში, რომლის არ არსებობის დროსაც ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაა გამოიყენოს ადრესატის ინფორმირების პერსონალური ხასიათის საშუალებები. გამონაკლისების ნაწილი გათვალისწინებულია თავად სზაკ-ით და ისინი დაკავშირებულია ინფორმირებისთვის დიდი დანახარჯების გაწევის თავიდან არიდებასთან (55.2 მუხ.) ან დაინტერესებული მხარის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების ბრალეულად შეუსრულებლობასთან (88.2 მუხ.). სზაკ-ის გარდა, სამართლებრივი შედეგის შესახებ ადრესატის ინფორმირების საჯარო ხასიათის საშუალების გამოყენებას შესაძლოა ითვალისწინებდეს სპეციალური კანონმდებლობა, რა დროსაც მხედველობაშია მისაღები „ნორმატიული აქტების შესახებ“ 22.10.2009წ. კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრუ-

ლი ნორმატიული აქტების იერარქია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადრესატის ინფორმირების ვალდებულების დაცვა. კომუნიკაციის პროცესში, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, ვალდებულება ეკისრება დაინტერესებულ მხარესაც: განმცხადებელს ევალება საკუთარი მისამართის მითითება განცხადებაში (სზაკ-ის 78.1 მუხ. „ბ“ ქვ.პ.); თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარეს არ გააჩნია „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში“ ან „რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე“, იგი ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში დანიშნოს საკონტაქტო სუბიექტად საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გაეგზავნება მისთვის განკუთვნილი ყველა საბუთი (სზაკ-ის 88.1). ამ ვალდებულების ბრალეულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს ეხსნება პასუხისმგებლობა დოკუმენტის გაუგზავნელობისათვის და ეს არ შეიძლება გახდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველი, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა (სზაკ-ის 88.2 მუხ.). ამდენად, კომუნიკაციის პროცესში, ვალდებულება ეკისრება ერთი მხრივ დაინტერესებულ მხარეს, რომ მიაწოდოს საკონტაქტო ინფორმაცია ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო მეორე მხრივ, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაინტერესებულ მხარეს უნდა შეატყობინოს სამართლებრივი შედეგის შესახებ ინფორმაცია უპირატესად ინფორმირების პერსონალური საშუალებების გამოყენებით. ამ უკანასკნელის ნაცვლად მას შეუძლია ინფორმირების საჯარო საშუალებების გამოყენება კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

საკასაციო პალატა დამატებით ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ადრესატი შეიძლება იყოს სხვადასხვა ნიშნით (სოციალური, ეკონომიკური, ჯანმრთელობის მდგომარეობა) მოწყვლად ჯგუფში შემავალი პირი. მაღალია მოწყვლად ჯგუფში შემავალი პირის უფლებების ხელყოფისგან დაცვის საჭიროება. „ამგვარი სფეროს მოწესრიგებისას კანონმდებელი ვალდებულია, გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება, რათა თავიდან აიცილოს პირთა უფლებების დარღვევის საფრთხე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 08.10.2014წ. გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-114). საკითხი არ ამოიწურება მხოლოდ კანონმდებლის ვალდებულებით, თავის მხრივ ადმინისტრაციული ორგანო, როგორც კანონმდებლობის აღმასრულებელი, საქმიანობის განხორციელების დროს, ასე-

ვეა ვალდებული გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება მოწყვლად ჯგუფში შემავალი პირის უფლებების დარღვევის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. საფრთხეს მნიშვნელოვნად ამცირებს დაინტერესებული მხარისთვის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის მიცემა და რაც უფრო არსებითია სამართლებრივი შედეგის შესახებ მისი ინფორმირება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განსაკუთრებული გულისხმიერებით დაასაბუთოს სამართლებრივი შედეგის შესახებ მოწყვლად ჯგუფში შემავალი პირების მიმართ როგორც ინფორმირების საჯარო ხასიათის საშუალებების გამოყენება, ასევე მათ ინფორმირებაზე საერთოდ უარის თქმა. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტომ თავი შეიკავა ზეპირი სამართლებრივი აქტის შესახებ ადრესატის, მოწყვლად ჯგუფში შემავალი პირის, ინფორმირებისგან იმ პირობებში, როდესაც მისთვის ცნობილი იყო დაინტერესებული მხარის საკონტაქტო მონაცემები. საქმის მასალების მიხედვით, დეკლარაცია შეივსო სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ოჯახში ვიზიტის შედეგად (ვიზიტი ხორციელდება ოჯახის საცხოვრებელ მისამართზე), მოსარჩელე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, რომელიც სარეცელს მიჯაჭვულია და დაუხმარებლად ფიზიკური გადაადგილება არ შეუძლია. სააგენტოს არ წარმოუდგენია დასაბუთება მოწყვლად ჯგუფში შემავალი პირის მიმართ ინფორმირების პერსონალური საშუალებების გამოყენებისგან თავის შეკავების საკითხზე. სამართლებრივი შედეგის შესახებ ინფორმაცია სააგენტომ მოსარჩელის წარმომადგენელს მიანოდა 21.04.2017წ. №04-06-11/894 წერილით. მითითებული წერილის დაინტერესებული მხარის (მისი წარმომადგენლის) მიერ გაცნობისთანავე ძალაში შევიდა საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის შენარჩუნებაზე მოსარჩელისთვის უარის თქმის შესახებ სააგენტოს ზეპირი სამართლებრივი აქტი სზაკ-ის 52.2, 58.1 და 54.1 მუხლების თანახმად.

მხედველობაშია მისაღები, რომ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა კომპლექსური, მრავალეტაპიანი პროცესია. პირველ ეტაპზე ადამიანის ძირითადი უფლებებით მოწესრიგებულია ადმინისტრაციულ ორგანოსა და ადრესატს შორის ურთიერთობა, რასაც ეწოდება „ზოგადი ურთიერთობა“ და იგი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს „სამართლებრივ ურთიერთობას“, რადგან მას აკლია განსაზღვრულობა (ინდივიდუალიზება და/ან კონკრეტიზება). მეორე ეტაპზე განსაზღვრულობა მიიღწევა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციული ხელშეკრულების ძალაში შესვლის გზით. მესამე, დამავიროვნებელ ეტაპზე ფაქტობრივი შედეგი დგება ადმინისტრაციული ორგანოს ან ადრე-

სატის მიერ ქმედების განხორციელებით. სამივე ეტაპის თანმიმდევრულად დაცვის გარეშე შეუძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერად განხორციელება. როგორც წესი სამართლებრივი შედეგი განისაზღვრება წერილობით, რის შემდგომაც სამართლებრივი შედეგის შესახებ ადრესატის ინფორმირება ხდება ინფორმირების ზემოთ მითითებული 4 საშუალების გამოყენებით. იშვიათად, მაგრამ სამართლებრივი შედეგის შესახებ ადრესატის ინფორმირება შესაძლოა მოხდეს კონკლუდენტური (საჯარო მმართველობის „პროცესის“ დამამთავრებელი) მოქმედებით, კერძოდ ადრესატის მიმართ რეალაქტის განხორციელებით, მაგ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა დაინტერესებული მხარის საბანკო ანგარიშზე (ადმინისტრაციულ საქმეთა გერმანიის ფედერალური სასამართლოს (BVerwGE) გადაწყვეტილება, 19.12.1967წ., II C 125.64). კონკლუდენტური (დამამთავრებელი) მოქმედების განხორციელება მოიცავს სამართლებრივი აქტის გამოცემას, რომელიც ასეთ შემთხვევაში არსებობს ზეპირი ფორმით. ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ფორმის არჩევის თავისუფლება, სზაკ-ის 51.1 მუხლის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წერილობით ან ზეპირად, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სზაკ-ის 51.2 მუხლის თანახმად, შემზღუდველი ზეპირი აქტის გამოცემის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება დამატებითი ვალდებულებები. კონკლუდენტური (დამამთავრებელი) მოქმედებით სამართლებრივი შედეგის შესახებ ადრესატის ინფორმირების დროს, უმთავრესი კრიტერიუმია, რომ დაინტერესებული მხარისთვის ნათელი და გასაგები იყოს ის, რომ არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა გამოწვეულია ადმინისტრაციული ორგანოს ნებით. თუ ადრესატისთვის არაა აშკარად გამოკვეთილი, რომ არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა გამოწვეულია ადმინისტრაციული ორგანოს ნებით, მაშინ იგი არ მიიჩნევა კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმირებულად.

განსახილველ შემთხვევაში, საკითხი შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საარსებო შემწეობის გაცემას. აღნიშნული შეუძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის ე.ი. ადრესატის მოთხოვნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ წინაპირობებთან შესაბამისობის დადასტურების გარეშე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს დაინტერესებული მხარის უფლებრივი მდგომარეობის მოწესრიგებას, ადმინისტრაციული ორგანო გამოხატავს ნებას სახელმწიფო პოზიტიური ვალდებულების არსებობა-არარსებობის საკითხთან დაკავში-

რებით, ასეთ შემთხვევაში დადასტურების შესახებ ზეპირად მიღებულ გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული ორგანო ადრესატს აცყობინებს რეალაქტით – თანხის ჩარიცხვით, რაც წარმოადგენს სამართლებრივი სტატუსის დადგენის (ზეპირი სამართლებრივი აქტის) თაობაზე დაინტერესებული მხარის ინფორმირებას კონკლუდენტური მოქმედებით. თანხის ჩარიცხვით აშკარად იკვეთება ადამიანის სოციალური დაცვის ვალდებულების შესრულებისკენ მიმართული ადმინისტრაციული ორგანოს ნება. ადრესატისთვის ნათელი და გასაგებია, რომ საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული საარსებო შემწეობაა. აღნიშნულისგან საპირისპირო შემთხვევაში – თანხის ჩარიცხვისგან თავის შეკავება არ მიიჩნევა კონკლუდენტური მოქმედებით ინფორმირებად ზეპირი გადაწყვეტილების შესახებ. ასეთ დროს, ადრესატისთვის უცნობია თანხის მიუღებლობა გამოწვეულია სააგენტოს გადაწყვეტილებით თუ რაიმე სხვა მიზეზით, მაგ. საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზით. ადრესატისთვის არაა „აშკარად გამოკვეთილი“ ადმინისტრაციული ორგანოს ნება, რის გამოც იგი არ მიიჩნევა სამართლებრივი შედეგის შესახებ ინფორმირებულად. ამდენად, ზეპირი გადაწყვეტილება დაინტერესებული მხარისთვის შემწეობის გაცემის სტატუსის შენარჩუნებაზე უარის თქმის შესახებ ძალაში არ შესულა ავტომატურად, მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავებით, არამედ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების 21.04.2017წ. №04-06-11/894 წერილის დაინტერესებული მხარისთვის (მისი საკონტაქტო წარმომადგენლისთვის) გადაცემით.

შემზლუდავი ფაქტობრივი შედეგის დასადგომად ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია ნების აბსოლუტური თავისუფლება, იგი შემოფარგლულია ადამიანის ძირითადი უფლებებით. ვინაიდან, თავისი ბუნებით, ნორმატიული აქტი (გენერალური რეგულაცია) მოკლებულია განსაზღვრულობას, ხოლო რეალაქტი გავლენას ვერ ახდენს დაინტერესებული მხარის სამართლებრივ მდგომარეობაზე, ადამიანის ძირითადი უფლებების შემზლუდავი რეალაქტის კანონიერად განსაზღვრულობად სავალდებულოა ინდივიდუალიზებული და კონკრეტიზებული სამართლებრივი საფუძვლის არსებობა. სამართლებრივ საფუძველს, როგორც წესი, ქმნის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან, შედარებით იშვიათ შემთხვევებში, ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ფაქტობრივი შედეგის დადგომას აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს სამართლებრივი აქტის კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლა. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფაქტობრივი მდგო-

მარეობის გამაჟარესებელი რეალაქტის როგორც განხორციელება, ასევე განხორციელებისგან თავის შეკავება ეწინააღმდეგება სზაკ-ის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერების პრინციპს. განსახილველ შემთხვევაში, დროის თვალსაზრისით თანხის გაცემისგან თავის შეკავება წინ უსწრებდა სამართლებრივი სტატუსის შენარჩუნებაზე უარის თქმის შესახებ ზეპირი გადაწყვეტილების ძალაში შესვლას, რის გამოც მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება (თანხის არგადაცემა) უკანონოა იმ მომენტამდე, სანამ დაინტერესებული მხარე (მისი საკონტაქტო წარმომადგენელი) არ გაეცნო ზეპირ სამართლებრივ აქტს. საქმის მასალების მიხედვით, სააგენტო საარსებო შემწეობის გაცემისგან თავი შეიკავა 2017 წლის იანვრიდან, ხოლო სამართლებრივი შედეგის შესახებ დაინტერესებულ მხარეს ეცნობა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების 21.04.2017წ. №04-06-11/894 წერილით, შესაბამისად არაუადრეს 2017 წლის 21 აპრილისა. სამართლებრივი სტატუსის შენარჩუნებაზე უარის თქმის შესახებ ზეპირი გადაწყვეტილების თაობაზე ადრესატის ინფორმირებამდე, სააგენტო შებოჭილი იყო მის მიერ მანამდე მიღებული გადაწყვეტილებით, რომლითაც დაადასტურა ნ. ხ-ის სასარგებლოდ საარსებო შემწეობის გაცემის ვალდებულების არსებობა. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენდა სახელმწიფოსა და ნ. ხ-ს შორის არსებული „სამართლებრივი ურთიერთობის“ სტაბილურობის გარანტიას. ახალი სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლამდე საარსებო შემწეობის გაცემისგან თავის შეკავება არღვევს სამართლებრივი სტაბილურობას. ამდენად, სამართლებრივი სტატუსის შენარჩუნებაზე უარის თქმის შესახებ ზეპირი გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე ადმინისტრაციულ ორგანოს ევალებოდა მოსარჩელის საბანკო ანგარიშზე საარსებო შემწეობის ჩარიცხვა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სოციალური დახმარების მიღების პირობას ქმნის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია. საქართველოს მთავრობის 24.04.2010წ. №126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ თანახმად, მონაცემთა ბაზა მოიცავს ცნობებს ოჯახის შესახებ, ასევე ინფორმაციას მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ პირთა საარსებო შემწეობის გაცემის, განახლებისა და შეწყვეტის შესახებ (მე-8 მუხ.), ის გარემოება, რომ ოჯახს უფლება აქვს გაეცნოს მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციას (მე-6 მუხ.), არ გამორიცხავდა სტატუსის შეცვლის თაობაზე პირისათვის გადაწყვეტილების შეტყობინების ვალდებულებას, ხსენებული „წესის“ მე-9

მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია მიღებული ან აღმოჩენილი (გამოვლენილი), დადასტურებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც უკავშირდება მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლას, მიიღოს გადაწყვეტილება, სარეიტინგო ქულის არსებული ნესით ცვლილების თაობაზე, რაც ეცნობება დაინტერესებულ მხარეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკითხის გადაწყვეტა და სამართლებრივი ნორმის სწორად გამოყენება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სასამართლოს მიერ მხარეების მტკიცებითი საქმიანობის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვაზე, რაც უკავშირდება სასამართლოს მიერ პროცედურული საფეხურების დაცვას, აღნიშნული მოიცავს: ა) „ნორმატიული ფაქტობრივი წინაპირობების“ ამომწურავად განსაზღვრას; ბ) ფაქტის „მითითებისა“ და მისი არსებობის „მტკიცების“ ტვირთების (მოვალეობის) მოსარჩელე და მოპასუხე მხარეებს შორის სწორად გადანაწილებას; გ) „მტკიცებულებითი ფაქტების“ (მტკიცების საგნის) სრულად და ზუსტად დადგენას. „ნორმატიული ფაქტობრივი წინაპირობა“ გენერალურ-აბსტრაქტულად აღწერილია ნორმატიულ აქტში და მასთან დაკავშირებულია მატერიალური ან საპროცესო სამართლებრივი შედეგი. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის გადანაწილება ემსახურება „ნორმატიულ ფაქტობრივ წინაპირობასთან“ დაკავშირებული ფაქტის შესახებ ინფორმაციის სასამართლოსთვის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრასა და ამით სასამართლოსთვის გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის მინიჭებას, რადგან ფაქტის მიუთითებლობის ან დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის მითითება ან მისი არსებობის დამტკიცება ევალებოდა. „მტკიცებულებითი ფაქტები“ გამომდინარეობენ კონკრეტული საქმიდან და სწორედ მათი მეშვეობით ხორციელდება „ნორმატიული ფაქტობრივი წინაპირობის“ არსებობის/არარსებობის დადასტურება (სუსგ 05.11.2021წ., №ას-334-2021, პ. 147). თავდაპირველად მოწმდება საკითხის განმხილველი სასამართლოს მიერ „ნორმატიული ფაქტობრივი წინაპირობების“ ამომწურავად განსაზღვრის, ხოლო შემდეგ „მტკიცების ტვირთის“ (როგორც ფაქტის მითითების, ასევე მისი არსებობის მტკიცების ტვირთის) გადანაწილებისა და „მტკიცების საგნის“ დადგენის სისწორე.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა შეეხება იმას, რომ იგი აკმაყოფილებს საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის შენარჩუნების ნორმატიულ ფაქტობრივ წინაპირობებს. მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის (დაინტერესებული მხა-

რისთვის საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის შენარჩუნების) განმსაზღვრელი „ნორმატიული ფაქტობრივი წინაპირობები“ გათვალისწინებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 31.12.2014წ. №758 დადგენილებით. დადგენილებით დამტკიცებული შეფასების მეთოდოლოგიის 15.2 მუხლიდან გამომდინარე, სარეიტინგო ქულის გამოსათვლელად მნიშვნელოვანი ერთადერთი ფაქტობრივი წინაპირობაა ოჯახის „კეთილდღეობის ინდექსი – I“. რაც უფრო ნაკლებია კეთილდღეობის ინდექსი, მით უფრო დაბალია სარეიტინგო ქულა. თავის მხრივ კეთილდღეობის ინდექსი მიიღება „სამომხმარებლო – C“ და „საჭიროების – №“ ინდექსების ფარდობით (31.12.2014წ. №758 დადგენილების 15.1 მუხ.). კეთილდღეობის ინდექსის გაზრდა შესაძლოა განპირობებული იყოს მხოლოდ ორი ნორმატიული ფაქტობრივი წინაპირობით: „სამომხმარებლო ინდექსის“ გაზრდით ან „საჭიროების ინდექსის“ შემცირებით. ამდენად, ნ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობის საკითხი დამოკიდებულია იმაზე, განსახილველ შემთხვევაში მითითებული ორი ფაქტობრივი წინაპირობიდან თუ რომელს ჰქონდა ადგილი.

მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი „ნორმატიული ფაქტობრივი წინაპირობების“ განსაზღვრის შემდეგ, შესამოწმებელია მტკიცების ტვირთის გადანაწილებისა და მტკიცების საგნის დადგენის სისწორე. ფაქტის „მტკიცების ტვირთი“ – ესაა სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადანაცვლისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანაცვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მხოლოდ საპროცესო-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები ეკისრება იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. ადმინისტრაციულ პროცესში მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილებისთვის არსებითია სამართალწარმოების დროს მტკიცებითი საქმიანობის შემადგენელი ორი კომპონენტის – ფაქტის „მითითების ტვირთისა“ და ფაქტის არსებობის „მტკიცების ტვირთის“ გამოიჯვნა. მართალია, ფაქტის მითითების და მისი არსებობის მტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რადგან როგორც წესი ფაქტის არსებობის მტკიცების

ტვირთი ეკისრება იმავე მხარეს, რომელიც აღნიშნულ ფაქტს მიუთითებს თავისი მოთხოვნის/შესაგებლის საფუძვლად, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს საწინააღმდეგო ფაქტის არსებობის მტკიცების ტვირთი. ამდენად, გამონაკლის შემთხვევებში, ერთმანეთისგან შესაძლოა განცალკევდეს ფაქტის „მითითების ტვირთი“ და ფაქტის არსებობის „მტკიცების ტვირთი“ და მოსარჩელის მტკიცებითი საქმიანობა შემოიფარგლოს მისი სასარჩელო მოთხოვნის დამასაბუთებელი ფაქტის მხოლოდ „მითითების ტვირთის“ დაკისრებით, ხოლო მოპასუხეს დაევალოს დამასაბუთებელი ფაქტის როგორც მითითების, ასევე არსებობის მტკიცების ტვირთის შესრულება.

მითითებისა და მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის გადანაწილებას ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში პირველ რიგში აწესრიგებს ასკ-ის მე-17 მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, ამასთან ასევე გამოიყენება სსკ-ის 4.1 მუხლის მეორე წინადადება. ასკ-ის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. სსკ-ის 4.1 მუხლის მეორე წინადადების მიხედვით, მხარეები თავადვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ასკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრება არ ნიშნავს პროცესუალური მონიშნულმდეგე მხარის – მოსარჩელის გათავისუფლებას სარჩელის დასაბუთების ვალდებულებიდან, კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი არ გულისხმობს მოსარჩელის გათავისუფლებას სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან, სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს (სუსგ 05.03.2020წ., №ბს-620(კ-19)). მხარეთა მტკიცებითი საქმიანობა იმავდროულად მათი შეჯიბრების პროცესია, ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი (სუსგ 04.12.2019წ., №ას-559-2019). მხარეთა თანასწორო-

ბის პრინციპი გულისხმობს სასამართლოს მიერ მხარეთათვის შეჯიბრებითობის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას (სუსგ 02.03.2017წ., №ას-664-635-2016). ადმინისტრაციულ პროცესში, როდესაც სადავოა მოსარჩელის კანონიერი ინტერესების შეზღუდვის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მოსარჩელესა და ადმინისტრაციულ ორგანოს საპროცესო თანასწორობა მიიღწევა ფაქტის „მითითების ტვირთისა“ და მისი არსებობის „მტკიცების ტვირთის“ მხარეთა შორის სწორად განაწილებით. სამართალწარმოებაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების არსებობის მტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია (სუსგ 11.03.2021წ., №ას-1376-2020). ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები – სზაკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-7 ნაწილები ადრესატის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესის შემზღუდავი, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობით დასაბუთების ვალდებულებას აკისრებს ადმინისტრაციულ ორგანოს. სამართლებრივი შედეგის კანონიერების დასაბუთების მატერიალურ-სამართლებრივი ვალდებულება პირდაპირპროპორციულად აისახება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაშიც, ასკ-ის 17.2 მუხლით. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შეცილებითი სარჩელით (და არა მავალეებელი სარჩელითაც) სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში, ფაქტის შესახებ ინფორმაციის სასამართლოს მიწოდების პროცესს თავისებურება ახასიათებს, განსახილველი დავის საგნისა და სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით, მოსარჩელეს ეკისრება მისი მოთხოვნის დამადასტურებელი ფაქტის მხოლოდ „მითითების ტვირთი“ და არა ფაქტის არსებობის „მტკიცების ტვირთიც“, შესაბამისად „მტკიცების ტვირთის“ შეუსრულებლობა ვერ გამოიწვევს მოსარჩელის მიმართ არახელსაყრელი შედეგის წარმოშობას, რადგან მას საერთოდ არც ეკისრებოდა ასეთი ტვირთი. კერძო პირებიდან არავინაა ვალდებული ამტკიცოს („მტკიცების ტვირთის“ სტანდარტით) ის, რომ მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია დარღვევას, თუმცა მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ფაქტების, მოვლენათა განვითარების მისეული ვერსია („მითითების ტვირთის“ სტანდარტი), რაც შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს სარჩელის დასაკმაყოფილებლად. უკეთუ მოსარჩელე მიუთითებს კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნო-

ბის ან არარად აღიარების მოთხოვნას, მაშინ სასამართლოს გადა-
აქვს „მტკიცების ტვირთი“ ადმინისტრაციულ ორგანოზე და ამონ-
მებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასარჩელო მოთხოვნის სა-
წინააღმდეგო ფაქტის მითითებისა და არსებობის მტკიცების ტვირ-
თის შესრულებას. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგა-
ნო არ (ვერ) შეასრულებს სამართლებრივი აქტის კანონიერების და-
მადასტურებელი ფაქტის არსებობის მტკიცების ტვირთს, მაშინ
სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიიჩნევა კანო-
ნის მოთხოვნის დარღვევულად გამოცემულად. მტკიცების ტვირ-
თის შეუსრულებლობა არახელსაყრელ შედეგს იწვევს იმ მხარის-
თვის, რომელმაც არ (ვერ) ზიდა ფაქტის „მითითების“ ან მისი არსე-
ბობის „მტკიცების“ ტვირთი.

მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის პროცესი შედგება შემდეგი
თანმიმდევრული ეტაპებისგან: 1. მოსარჩელე სარჩელში მიუთითებს
კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებზედაც იგი ამყა-
რებს თავის მოთხოვნას (სსკ-ის 178.1 მუხ., „ე“ ქვ.პ.), თუმცა მო-
სარჩელე გათავისუფლებულია სამართლებრივი საფუძვლების მი-
თითების ვალდებულებისგან (სსკ-ის 447.1); 2. მოსარჩელე სარჩელ-
თან ერთად სასამართლოს წარუდგენს სარჩელში მითითებულ ყვე-
ლა მტკიცებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს
მათი წარუდგენლობის საპატიო მიზეზი (სსკ-ის 178.3); 3. მოპასუ-
ხე მიუთითებს კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებ-
საც ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ (201.2 მუხ.,
„დ“ ქვ.პ.); 4. მოპასუხე სასამართლოს წარუდგენს მითითებულ ყვე-
ლა მტკიცებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს
მათი წარუდგენლობის საპატიო მიზეზი (სსკ-ის 201.5 მუხ.). ამდე-
ნად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში მოყ-
ვანილი მოსაზრება, რომ მოსარჩელემ ვერ დაძლია მტკიცების
ტვირთი და შესაბამისი მტკიცებულებებით ვერ დაასაბუთა სარ-
ჩელის საფუძვლიანობა, ემყარება მტკიცების ტვირთის არასწორ
განაწილებას და არ არის გასაზიარებელი. ნ. ხ-მა შეასრულა მასზე
დაკისრებული მითითების ტვირთი, მან სარჩელში მიუთითა, რომ
მის ოჯახს 09.06.2015წ. მიენიჭა სარეიტინგო ქულა 47 270 ქულის
ოდენობით, რის საფუძველზეც იღებდა საარსებო შემწეობას 2017
წლის იანვრამდე. ოჯახის ერთ-ერთი წევრის გარდაცვალების შემ-
დეგ, 28.01.2017წ. მიენიჭა სარეიტინგო ქულა 69 240 ქულის ოდე-
ნობით, რის საფუძველზეც ადმინისტრაციულმა ორგანომ თავი შე-
იკავა ნ. ხ-ისთვის საარსებო შემწეობის გაცემისგან. მოსარჩელემ
ასევე მიუთითა, რომ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომა-
რეობა არ გაუმჯობესებულა, იგი წარმოადგენდა შეზღუდული შე-
საძლებლობის მქონე პირს, რომლის შემოსავალიც სოციალური პა-

კეტის შესაბამისად კვლავ 180 ლარს შეადგენდა, სხვა შემოსავლის წყარო მას არ გააჩნდა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოგვიანებით კიდევ ერთხელ განხორციელდა ოჯახის კეთილდღეობის დონის შემოწმება, რის შემდგომაც გაიზარდა სარეიტინგო ქულა და ოჯახს 23.07.2017წ. მიენიჭა 81 860 ქულა. ნ. ხ-მა მიუთითა, რომ მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არც 2017 წლის იანვრამდე და არც 2017 წლის იანვრიდან 2017 წლის ივლისამდე არ შეცვლილა, მას დამოუკიდებლად არ შეუძლია საცხოვრებლის დატოვება, სურსათის შეძენა ან სხვა ფიზიკური აქტივობის განხორციელება. მოსარჩელემ სარჩელის მე-12 ფაქტობრივ გარემოებად ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სარეიტინგო ქულის გამოთვლის დროს სააგენტო დაეყრდნო მხოლოდ ოჯახის დეკლარაციაში ასახულ ინფორმაციას და დამატებითი ინფორმაცია არ მოუძიებია.

მითითებისა და მტკიცების ტვირთების მხარეებზე გადანაწილების პროცესი იწყება სარჩელის სახეობის დადგენით. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სოციალური მომსახურების სააგენტომ მიიჩნია, რომ ნ. ხ-ი აღარ აკმაყოფილებდა სამართლებრივი სტატუსის შენარჩუნებისთვის საჭირო ნორმატიულ ფაქტობრივ წინაპირობებს, ასკ-ის 17.2 მუხლის მიხედვით, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრებოდა იმის მითითებისა და მტკიცების ტვირთი, რომ ნ. ხ-ის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სამომხმარებლო ინდექსის გაზრდას ან საჭიროების ინდექსის შემცირებას, ხოლო მოსარჩელეს ევალუბოდა იმის მითითების ტვირთი, რომ იგი აკმაყოფილებდა საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის შენარჩუნების ნორმატიულ ფაქტობრივ წინაპირობებს.

განსახილველ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში მითითებული არაა, რომ ოჯახის 09.06.2015წ. ფაქტობრივ მდგომარეობასთან შედარებით 2017 წლის იანვარში და 2017 წლის ივლისში სარეიტინგო ქულის გამოთვლის დროს ადგილი ჰქონდა „სამომხმარებლო ინდექსის“ გაზრდას თუ „საჭიროების ინდექსის“ შემცირებას, რასაც შეეძლო გამოეწვია კეთილდღეობის ინდექსის და შესაბამისად სარეიტინგო ქულის გაზრდა. სააგენტოს შესაგებლიდან იკვეთება, რომ მოპასუხე სარჩელში მითითებულ ზოგიერთ ფაქტს არ ეთანხმება, ხოლო ზოგიერთს ნაწილობრივ ეთანხმება, თუმცა შესაგებელში არ უთითებს სარჩელის საწინააღმდეგო არცერთ ფაქტს. ამასთან, შესაგებელში არც ის საპატიო მიზეზია გადმოცემული, თუ რის გამო შეიკავა თავი ადმინისტრაციულმა ორგანომ სარჩელის საწინააღმდეგო ფაქტების მითითებისგან. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 20.05.2010წ. №141/ნ ბრძანებით დამ-

ტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის“ 3.1, 4.1 მუხლების შესაბამისად, ოჯახის დეკლარაციის შევსებამდე სააგენტოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოიძიოს ოჯახის შესახებ მისთვის საჭირო ინფორმაცია ნებისმიერი წყაროდან. ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დასადგენად სააგენტოს უფლებამოსილი პირი ახორციელებს ობიექტური და სუბიექტური ინფორმაციის მოპოვებას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არის სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ჩატარებული ვიზუალური დათვალიერებისა და გამოკითხვის (ინტერვიუების) შედეგად დაფიქსირებული მონაცემებისა და ფაქტების ერთობლიობა. წარმოდგენილი შესაგებლთ სააგენტო არ დაეთანხმა სარჩელში მითითებულ მე-12 ფაქტს, რომლის თანახმად, მოსარჩელის მითითებით, სარეიტინგო ქულის გამოთვლა განხორციელდა მხოლოდ ოჯახის დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის საფუძველზე. ფაქტის უარყოფის მიუხედავად მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს შესაგებელში არ მიუთითებია, თუ რა სხვა ინფორმაცია გამოიყენა სარეიტინგო ქულის გამოსათვლელად. ამასთან, მოპასუხეს არც საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე არ წარუდგენია სასამართლოსთვის ინფორმაცია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების შესახებ. პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას სასამართლოს არ დაუდგენია სააგენტოს პოზიცია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერებაზე გავლენის მქონე „ნორმატიულ ფაქტობრივ წინაპირობებთან“ მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ ნათლად არ იკვეთებოდა სააგენტოს პოზიცია „სამომხმარებლო ინდექსის გაზრდასთან“ და „საჭიროების ინდექსის შემცირებასთან“ მიმართებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე სააგენტომ სრულად დაიცვა კანონმდებლობის მოთხოვნები. პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული დასკვნა, მტკიცების საგანში შემავალი სადავო და უდავო ფაქტების („მტკიცებითი ფაქტების“) შემოწმების გარეშე, გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ. სააპელაციო შესაგებელში მოპასუხემ აღნიშნა მხოლოდ ის, რომ საჩხერის რაიონული სასამართლოს 28.12.2017წ. გადაწყვეტილება იურიდიულად სრულად დასაბუთებულია და არ უნდა გაუქმდეს, თუმცა არ მიუთითებია არანაირი გარემოება, რომელსაც დაეფუძნებოდა სააპელაციო შესაგებელი. საქმის საკასაციო წესით განხილვის დროს საკასაციო შესაგებელი არ წარმოდგენილა. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო განჩინება მიიღო „მტკიცების საგანში“ შემავალი სადავო და უდავო ფაქტების („მტკიცებულებითი ფაქტების“) დადგენის გარეშე, სააგენტო არ ეთანხმება სარეიტინგო ქუ-

ლის მხოლოდ დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის საფუძველზე გამოთვლის ფაქტს, თუმცა არც იმ სხვა ინფორმაციაზე (ფაქტებზე) მიუთითებს, რაც გამოიყენა ადმინისტრაციულმა ორგანომ სარეიტინგო ქულის გამოსათვლელად. სააპელაციო სასამართლომ არ „დაავალა“ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს პოზიციის დაფიქსირება „ნორმატიულ ფაქტობრივ წინაპირობებთან“ – „სამომხმარებლო ინდექსის გაზრდასთან“ და „საჭიროების ინდექსის შემცირებასთან“ დაკავშირებით.

დანესებულება ვალდებულია, რომ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს სრული ინფორმაცია იმ გამოყენებული ფაქტების შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილებას, რათა პირმა შეძლოს უფლების დაცვა, მიწოდებული ინფორმაციის შედეგად პირისათვის შეცნობადი, გასაგები უნდა იყოს თუ რომელმა კონკრეტულმა მონაცემმა იქონია გავლენა ქულის გამოანგარიშებაზე, ყველას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია დამუშავებული მონაცემების შესახებ, რათა დაინტერესებული პირი დარწმუნდეს ამ მონაცემების სისწორეში და ამ მონაცემების დამუშავების კანონიერებაში, აღნიშნული აძლევს პირს შესაძლებლობას გამოთქვას თავისი მოსაზრება, მისცეს ახსნა-განმარტება (BGH, Urteil vom 28.01.2014, – VIZR 156/13). ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით სააგენტოს მიერ გამოცემული აქტი არის დაუსაბუთებელი, არ შემოწმდა გადაწყვეტილების კანონიერება და მიზანშეწონილობა. ავტორმატიზირებული სისტემის გამოყენებით შედგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ყველა სხვა აქტის მსგავსად, ექვემდებარება გასაჩივრებას. სარჩელის შეტანით პირს ეძლევა შესაძლებლობა, რომ მისი შემთხვევა ინდივიდუალურად გადამოწმდეს. ადმინისტრაციული საჩივრის განხილველი ორგანო შემოიფარგლა იმით, რომ უფლებამოსილი პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია დეკლარაციაში სრულად იქნა ასახული, ადმინისტრაციულ ორგანოს არ უმსჯელია და არ დაუსაბუთებია თუ კონკრეტულად რომელმა ფაქტორმა გააუმჯობესა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რის გამოც ნ. ხ-ი ველარ აკმაყოფილებდა სახელმწიფო პროგრამაში ჩართვისა და სოციალური დახმარების გაცემისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. 23.05.2017წ. და 01.09.2017წ. ადმინისტრაციული საჩივრების ძირითადი მოტივი იყო ის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ ეფუძნებოდა არგუმენტაციას, გაურკვეველია თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოხდა გადაწყვეტილების მიღება, არსებითად რა ფაქტობრივი გარემოებების პირობებში იკვეთება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რის შედეგადაც სახელმწიფო იხსნის საჩივრის ავტორის მი-

მართ საარსებო შემწეობის გაცემის ვალდებულებას. საჩივრის ავტორი აღნიშნავდა აგრეთვე, რომ გასაჩივრებული აქტი ვერ აკმაყოფილებდა აქტის მატერიალური კანონიერების წინაპირობებს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შემომწმება განხორციელდა ოჯახის ერთ-ერთი წევრის ვ. ხ-ის გარდაცვალების გამო, აქტში არ არის ახსნილი თუ როგორ იმოქმედა აღნიშნულმა გარემოებამ სარეიტინგო ქულის გაზრდაზე (ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნული იყო, რომ ნ. ხ-ი წლების მანძილზე ცხოვრობდა დედასთან ერთად, რომელსაც ჰქონდა ფსიქიკური აშლილობის ჯანმრთელობის პრობლემა დიაგნოზით – სერიული ფსიქოზი, მოსარჩელის დედა საჭიროებდა 24-საათიან მეთვალყურეობას და მზრუნველობას, დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, რამდენადაც ის დამოუკიდებლად ვერ ახერხებდა თვითმოვლას და მისი მოვლის პასუხისმგებლობა მოსარჩელეს ეკისრებოდა, თუმცა აღნიშნული გარემოებები საქმეზე დადგენილი არ არის, არ არის დადგენილი აგრეთვე ამ გარემოებების როლი სარეიტინგო ქულის გაზრდაზე). შემომწმდა მხოლოდ ფორმალური და არა მატერიალური კანონმდებლობა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, აკმაყოფილებდეს როგორც ფორმალური, ისე აქტის მატერიალური კანონიერების კრიტერიუმს. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 05.10.2017წ. №04/62471 სადავო გადაწყვეტილებში აღნიშნულია, რომ 01.09.2017წ. ადმინისტრაციული საჩივრით ნ. ხ-მა მოითხოვა 23.06.2017წ. ოჯახის დეკლარაციის ბათილად ცნობა მაშინ, როდესაც ამავე საჩივარში მოსარჩელემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სადავოდ არ ხდიდა 23.06.2017წ. დეკლარაციაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და შესაფასებელი იყო საარსებო შემწეობის გაცემის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერება. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნ. ხ-ისთვის 81 860 ქულის მინიჭება მოკლებული იყო სათანადო სამართლებრივ დასაბუთებას. საჩივრის ავტორი ხაზს უსვამდა იმას, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების სიზუსტე არ არის სადავო, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსგან საჩივრის ავტორი მოითხოვდა სამართლებრივი შეფასების მიცემას, მიუხედავად ამისა, სააგენტოს 05.10.2017წ. გადაწყვეტილება სრულად ეთმობა 23.06.2017წ. ოჯახის დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების სისწორეზე, სააგენტოს მიერ პროგრამული და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის არარსებობაზე მსჯელობას, რაც არ პასუხობს ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნულ მოთხოვნებს და მოკლებულია სადავო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერების შეფასებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ

ნორმატიული მოწესრიგების ფორმალური დაცვა იმთავითვე არ გულისხმობს აქტის მართლზომიერებას. აქტის კანონიერების შემოწმებისას ფასდება მისი როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური კანონიერება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების მოსაზრებები, მიიჩნია, რომ სააგენტოს გასაჩივრებული აქტი კანონიერია სადავო აქტის მხოლოდ ფორმალური კანონიერების შემოწმების შედეგად, რაც არ არის საკმარისი კანონიერების შესახებ დასკვნისთვის. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება დაკავშირებულია აქტის გამოცემის პროცესთან და მოითხოვს აქტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემას, კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დაცვით და შესაბამისი ფორმის გამოცემით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგების შესაბამისობას მისი გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებთან. სააპელაციო საჩივარში აპელანტის ძირითადი პრეტენზია ეხებოდა იმას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ ფორმალური დასაბუთების შემოწმებით, სასამართლომ არ შეამოწმა სადავო აქტების მატერიალური კანონიერება. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია სადავო აქტების მატერიალურ კანონიერებაზე. დეკლარაცია არის სპეციალური ფორმის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს ოჯახის შემადგენლობაში მყოფი წევრების, ოჯახის შემოსავლებისა და კომუნალური დანახარჯების შესახებ, აგრეთვე მონაცემებს, რომელიც ასახავს ოჯახის ფაქტობრივ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და საჭიროა ოჯახის სარეიტინგო ქულის დასადგენად. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 20.05.2010წ. №141/6 ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოჯახის დეკლარაციაში ასახული მონაცემების საფუძველზე მიიღება ოჯახის სარეიტინგო ქულა. ოჯახის დეკლარაციის შევსების წესი დადგენილია საქართველოს მთავრობის 31.12.2014წ. №758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიით“, რომელიც ასახავს იმ მონაცემებს, რომელთა შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ვალდებულებაა, ოჯახის დეკლარაციაში მონაცემების სწორად ასახვას ხელმო-

წერით ადასტურებს თავად ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი. ოჯახის სარეიტინგო ქულის დასადგენად დეკლარაციაში უზუსტო მონაცემების არშეტანის კონსტანტაცია, აგრეთვე მითითება იმაზე, რომ დეკლარაციაში ასახულ ინფორმაციას ნ. ხ-ი გაცნო, დაეთანხმა და ხელმოწერით დაადასტურა, ხოლო ქულის გამოთვლა ხდება კანონმდებლობით დადგენილი ფორმულით, – არ ადასტურებს გადანყვეტილების კანონიერებას. მატერიალური კანონიერება უკავშირდება აქტის შინაარსს და მოითხოვს აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგების შესაბამისობას მისი გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებთან.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სადავო საკითხი ეხება მოსარჩელის მნიშვნელოვან ინტერესს. სარეიტინგო ქულის ოდენობა ერთი მხრივ ასახავს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ხოლო მეორე მხრივ განსაზღვრავს ოჯახისათვის საარსებო შემწეობის საჭიროებასა და ამ მიმართულებით სახელმწიფოს შესაბამისი ძალისხმევის მობილიზების ვალდებულებას. აღნიშნული განაპირობებს შემზღუდავი აქტის ადრესატის უფლებას მოითხოვოს საკითხზე კომპიუტერული ტექნოლოგიის დასკვნის არსებითი გადამოწმება პერსონალის მიერ. ავტომატიზირებული მართვა უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის გარანტიებს, მათ შორის მოთხოვნის შემთხვევაში პერსონალის ჩარევის შესაძლებლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანი გადანყვეტილების მიღება. უკვე აღინიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა აღმჭურველი აქტის გამოცემაზე უარის თქმა, არამედ შემზღუდავი აქტის გამოცემა, უკვე მოპოვებული შემწეობის მიღების უფლების გაუქმება, საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა ბაზიდან ამორიცხვა, ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს თუ რა გარემოებამ/ფაქტორებმა გახადა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესი, რის გამოც ოჯახი აღარ აკმაყოფილებს შემწეობის მიღებისთვის დადგენილ პირობებს. კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით გამოანგარიშებული სარეიტინგო ქულების გამოყენება გადანყვეტილების გამოსატანად ხდება მათი გადამოწმების გარეშე, თუმცა პრეტენზიის წარდგენის შემთხვევაში უნდა გადამოწმდეს განგარიშების სისწორე, დასაბუთდეს მიღებული ქულების რაოდენობა, მიეთითოს ის გარემოება, რომელზე დაყრდნობითაც იქნა მიღებული გადანყვეტილება. ავტომატის გამოანგარიშების საფუძველზე მიღებული გადანყვეტილება სოციალური სარგებლის შესახებ საჭიროებს იმ ლოგიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელსაც დაეფუძნა მიღებული გადანყვეტილება, ყველა იმ მონაცემთა სუბიექტისთვის, რომელიც ითხოვს ამგავრი ინფორმაცი-

ის მიღებას. ადმინისტრაციული წარმოების შედეგების ფორმალური გენერირება არ აკმაყოფილებს დასაბუთების მინიმალურ სტანდარტს, ის გარემოება, რომ დეკლარაციაში მითითებული მონაცემები გადის ტექნიკურ დამუშავებას კომპიუტერული პროგრამის საშუალებით, რის შედეგადაც განისაზღვრება ოჯახის სარეიტინგო ქულა (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 20.05.2010წ. №141/6 ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის“ მე-15 მუხ.), იმთავითვე არ ათავისუფლებს სააგენტოს გადანყვეტილების დასაბუთებისაგან. ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ იცოდნენ არა მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი შედეგები მათ შესახებ, არამედ ის ლოგიკა/კრიტიკურიუმებიც, რაზე დაყრდნობითაც დამუშავდა მათი მონაცემები და მიღებულ იქნა გადანყვეტილება. ამ ელემენტების აღქმა ხელს უწყობს სხვა აუცილებელი ზომების გამოყენებას, როგორიცაა მაგ. უფლებამოსილ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება („პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ მოდერნიზებული 17-18.05.2018წ. N108+ კონვენციის მე-9 მუხ. „გ“ ქვ.პ.-ის 10.10.2018წ. განმარტებითი ბარათი, პ.77 (ანალოგიური სახელწოდების 28.01.1981 წ. №108 კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 28.10.2005წ. N2010 დადგენილებით, მოდერნიზებული „108+“ კონვენციით ცვლილება/დამატებები იქნა შეტანილი 28.01.1981წ. №108 კონვენციაში)). პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ადამიანური რესურსის ჩართვა გადანყვეტილების მიღების პროცესში, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და გაასაჩივროს ავტომატური დამუშავებით მიღებული გადანყვეტილება (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია, (EU) 2016/679, მუხ. 22.3). საარსებო შემწეობის დანიშვნის საკითხის გადანყვეტისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო გამოანგარიშებული ქულის უტყუარობის პრეზუმფციას დაეყრდნო, ავტომატურად დაანგარიშებული ქულა დასაბუთების გარეშე კასატორის სოციალურად დაუცველთა ოჯახების ბაზიდან ამორიცხვის, შემწეობის გაცემის შეწყვეტის საფუძველი გახდა, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ დაასაბუთა კონკრეტული ქულის მინიჭების შემდგომ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ფაქტი მაშინ, როდესაც საქმეში დაცული მასალებით დასტურდება, რომ 23.06.2017წ. დეკლარაცია, რომელიც ბოლო გადამონემების დროს იქნა შევსებული, ასევე 09.06.2015წ. და 28.02.2017წ. სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლების მიერ შევსებული ოჯახის დეკლარაციები არსებითად იდენტურ ინფორმაციას შეიცავს და დაწვრილებით აღ-

წერს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ნ. ხ-ის ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა დეკლარაციის შევსების პერიოდში არ შეცვლილა (ბლოკი „ა“), ყველა დეკლარაციაში იდენტური მონაცემებია მითითებული ოჯახის მიწის და სხვა ქონებასთან დაკავშირებით (ბლოკი „დ“), 28.01.2017წ. დეკლარაციაში, 09.06.2015წ. დეკლარაციის მსგავსად, ოჯახის შემოსავალს სოციალური პაკეტი და საარსებო შემწეობა შეადგენდა, თუმცა ოჯახის შემოსავალი სოციალური პაკეტის ზრდის კვალდაკვალ (30 ლარით გაიზარდა), 28.01.2017წ. და 23.06.2017წ. დეკლარაციებში ოჯახის შემოსავალმა შეადგინა 180 ლარი (სოციალური პაკეტი) (ბლოკი „გ“), ბოლო ორ დეკლარაციაში მონაცემების იდენტურობის მიუხედავად ერთ შემთხვევაში ოჯახი 69240 ჟულით, ხოლო მეორე შემთხვევაში – 81860 ჟულით არის შეფასებული, ამასთანავე, 2015 წლის მდგომარეობით ორსულიანი ოჯახისათვის თვიური შემოსავალი 408 ლარით განისაზღვრებოდა, ოჯახის თითო წევრისთვის შემოსავალი 204 ლარს შეადგენდა (ოჯახის შემოსავალში შედიოდა ნ. ხ-ის, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სოციალური პაკეტი (150 ლ. ოდენობით), ვ. ხ-ის, როგორც ასაკით პენსიონერის სახელმწიფო პენსია (150 ლ. ოდენობით), ამას ემატებოდა ორსულიანი ოჯახის საარსებო შემწეობა (60ლ. + 48ლ. = 108 ლ.) 108 ლარის ოდენობით, ორსულიანი ოჯახის ჯამური შემოსავალი 408 ლარს შეადგენდა, ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენდა 47 270 ქულას), 2017 წლის ორივე დეკლარაციაში ოჯახის შემოსავალი შემცირდა და ის ნ. ხ-ისთვის 180 ლარს შეადგენდა. აღნიშნულ გარემოებებზე არც სააგენტოს სადავო აქტში და არც ქვედა ინსტანციის სასამართლოების აქტებში პასუხი გაცემული არ არის. ნ. ხ-ი აღნიშნავდა, რომ მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საარსებო შემწეობის შეწყვეტამდე და მის შემდგომ არ შეცვლილა, ვინაიდან სახეზეა საარსებო შემწეობის გაცემის შეწყვეტა, მოპასუხეს ეკისრება იმ გარემოებების დასახელება, რომლებმაც გამოიწვია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რის გამოც ოჯახი ველარ აკმაყოფილებს შემწეობის გაცემის მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში უარყოფილად ვერ ჩაითვლება ნ. ხ-ის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიმართ თანასწორობის პრინციპის დარღვევით (სზაკ-ის მე-4 მუხ.) არსებითად იდენტური გარემოებების პირობებში განსხვავებული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული და შესაბამისად დიფერენცირებული სამართლებრივი შედეგები დადგა. საქმის მასალების მიხედვით სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმებამდე ნ. ხ-ი ცნო ლატაკ ერთსულიან ოჯახად (დეკლარაციის „F“ ბლოკი ივსება უშუალოდ სააგენტოს უფლებამოსილი პი-

რის მიერ, დამოუკიდებლად, ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე, ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ან სხვა წევრთან შეთანხმების გარეშე, „F1“ პუნქტით გათვალისწინებული ველების შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა შემოხაზოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საკუთარი სუბიექტური შეფასების მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხის კოდი, სააგენტოს უფლებამოსილ პირს შემოხაზული აქვს სტატუსი – „ლატაკი“. „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ლატაკი ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები პირი ან პირთა წრე, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დონეზე ნაკლებია. საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე („ლატაკი ოჯახი“) (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 22.08.2006წ. №225/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ 4.1 მუხ.). ამდენად, ერთი მხრივ ოჯახის ლატაკად ცნობა, ხოლო მეორე მხრივ მისთვის ისეთი სარეიტინგო ქულის მინიჭება, რომელიც გამორიცხავს შემწეობის გაცემას, მით უფრო განაპირობებდა მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების საჭიროებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულია კასატორის მოსაზრება, რომ გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული. სოციალური მომსახურების სააგენტოს და მისი ტერიტორიული ორგანოს აქტებით ნ. ხ-ს ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და შეუწყდა დახმარების გაცემა იმ გარემოებებზე/ფაქტორებზე მითითებისა და მათი არსებობის არგუმენტების გარეშე, რომელთა გამოც სარეიტინგო ქულა გაიზარდა და ოჯახი ველარ აკმაყოფილებდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს სოციალური დახმარების მისაღებად. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებუ-

ლი განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსთვის დაბრუნების პირობაა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის. საქმის ხელახალი განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს „ნორმატიულ ფაქტობრივ წინაპირობებთან“ – „სამომხმარებლო ინდექსის გაზრდასთან“ და „საჭიროების ინდექსის შემცირებასთან“ დაკავშირებული გარემოების არსებობა.

სასკ-ის მე-9 მუხლის საფუძველზე მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, რადგან სახეზეა სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებული დავა. სსკ-ის 55.3 მუხლის შესაბამისად, როდესაც ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან, საქმეზე განეულ ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.2018წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საარსებო შემწეობისა და ლტოლვილის შემწეობის
თანხათა შორის სხვაობის დაანგარიშების
დაუშვებლობა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-1507(კ-22)

6 ივლისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 28 თებერვალს გ. ბ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2017 წლის 22 ნოემბერს მან სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 8 ნოემბრის №04/69877 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მოსარჩელისათვის სოციალურად დაუცველის სტატუსის აღდგენა და მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის შეწყვეტის დღიდან მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურების დავალება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 8 ნოემბრის №04/69877 გადაწყვეტილება; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მოსარჩელისათვის სოციალურად დაუცველის სტატუსის აღდგენა და შეწყვეტის დღიდან მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სსიპ სო-

ციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, თუმცა საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 მარტის №ბს-149(კ-19) განჩინებით.

მოსარჩელის მითითებით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, მან მოითხოვა სასამართლო გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხის გადახდა, რაზეც სააგენტოს 2020 წლის 30 იანვრის №04/3052 გადაწყვეტილებით მან უარი მიიღო.

ამდენად, მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 30 იანვრის №04/3052 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის გ. ბ-ას სასარგებლოდ 1150 ლარის გადახდის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით გ. ბ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 30 იანვრის №04/3052 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, მოსარჩელე გ. ბ-ასთან დაკავშირებით ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონით დადგენილი წესით და ვადაში გამოცემა დაევალა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 8 ნოემბრის №04/69877 გადაწყვეტილება; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მოსარჩელისათვის სოციალურად დაუცველის სტატუსის აღდგენა და შეწყვეტის დღიდან მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურება. სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა, რომ სახეზე არ იყო გ. ბ-ას ოჯახისათვის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმების და მისგან გამომდინარე საარსებო შემწეობის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი, რადგან მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გ. ბ-ას მიმართ უნდა გავრცელებულიყო „ლტოლვილთა

სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენცია, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებს, მათ შორის, საქართველოს ავალდებულებდა, რომ მოსარჩელეს, როგორც ლტოლვილს, სახელმწიფო შემწეობისა და დახმარების სახით ისეთივე პირობებით ესარგებლა, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. განსახილველ შემთხვევაში კი, მოპასუხე მხარემ მოსარჩელის მიმართ გაავრცელა სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №14/ნ ბრძანება, რომლითაც მოსარჩელეს შეეზღუდა სოციალური პაკეტით სარგებლობის უფლება, თუმცა მითითებული ხარვეზი სამინისტროს მხრიდან მოგვიანებით გამოსწორდა, აღნიშნულ აქტში 2017 წლის 11 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით, კერძოდ, ბრძანების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით – „სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია პირადად შეამოწმოს თითოეული ოჯახის წევრის პირადობის/მუდმივი ბინადრობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (არასრულწლოვანი წევრის შემთხვევაში შესაძლებელია დაბადების მოწმობა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შემთხვევაში – დროებითი ბინადრობის მოწმობა) ან შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და იქიდან ამოინეროს პირადი ნომრები“. მითითებული აქტის შესაბამისად, განსაზღვრულ იქნა ის კონკრეტული პირთა წრე, რომელიც ექვემდებარება სააგენტოს მხრიდან შემოწმებას. სასამართლოს მითითებით, აღსანიშნავი იყო, რომ მოცემული აქტის პირველადი რედაქციით გათვალისწინებული იყო ყველა პირი, რომელსაც ჰქონდათ საქართველოში ბინადრობის უფლება, 2017 წლის ივნისის თვეში განხორციელებული ცვლილებით განისაზღვრა მხოლოდ მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირები (რაც გახდა გ. ბ-ასთვის რეგისტრაციის გაუქმების და, შესაბამისად, საარსებო შემწეობის შეწყვეტის საფუძველი), ხოლო როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, იმავე წლის 11 დეკემბერს გაფართოვდა პირთა წრე და შემოწმება შეეხო საქართველოში ბინადრობის უფლების მქონე ყველა პირს (როგორც დროებითს, ასევე მუდმივს).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ოქტომბრის №3ბ/1040-18 განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 მარტის განჩინებით სსიპ სოციალური

მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ოქტომბრის განჩინება.

საქალაქო სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით №3/5816-19 დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 19 ივლისის №04/39417 წერილით გ. ბ-ას ეცნობა, რომ მის ოჯახს (ს/კ: ...) აღუდგა რეგისტრაცია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და განისაზღვრა ოჯახისათვის ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) გაცემა 2017 წლის აგვისტოს თვიდან დღემდე, მიმდინარე თვის შემწეობის თანხასთან ერთად. ამავე წერილში მითითებულ იქნა, რომ „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/ნ ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საარსებო შემწეობის მიღება გამოირიცხავს დევნილის, ასევე, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ყოველთვიური შემწეობის მიღებას“. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი ან ოჯახის რომელიმე წევრი, ოჯახისთვის საარსებო შემწეობის შეჩერების პერიოდში მიიღებს დევნილის, ასევე, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შემწეობას და ოჯახი კვლავ ინარჩუნებს საარსებო შემწეობის მიღების უფლებას, ოჯახს აღუდგება საარსებო შემწეობის თანხა შეჩერების პერიოდიდან, იმ თანხის გამოკლებით, რომელიც ოჯახმა ან ოჯახის წევრმა მიიღო დევნილის, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შემწეობის სახით, შეჩერების პერიოდის განმავლობაში.

ვინაიდან 2017 წლის აგვისტოს თვიდან 2019 წლის ივნისის თვის ჩათვლით, 23 თვის განმავლობაში გ. ბ-ას ჩარიცხული ჰქონდა ლტოლვილის ყოველთვიური შემწეობა – 45 ლარის ოდენობით, ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, 2019 წლის ივლისის თვეში მას ჩაერიცხა მიმდინარე თვის კუთვნილი ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა) 50 ლარის ოდენობით და 2017 წლის აგვისტოს თვიდან 2019 წლის ივნისის თვის ჩათვლით, 23 თვის სხვაობა მიუღებელ საარსებო შემწეობასა და მიღებული ლტოლვილის ყოველთვიურ შემწეობას შორის, თვეში 5 ლარის ოდენობით, სულ $(23 \times 5 = 115 + 50 = 165)$ 165 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2019 წლის 17 ოქტომბრის №3/5816-19 გადაწყვეტილებით გ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 25 ივნისის №04-1248/ო ბრძანების მე-4 პუნქტი და მოპასუხე – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, გ. ბ-ასათვის გასაცემი საარსებო შემწეობის თანხის კონკრეტულ თანხაზე მითითებით დაანგარიშების თაობაზე, 2017 წლის აგვისტოდან დღემდე.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით განმარტებულია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა მოსარჩელისათვის სოციალურად დაუცველის სტატუსის აღდგენა და შეწყვეტის დღიდან მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურება, ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა იმ შემთხვევაში, რომ არ მომხდარიყო გ. ბ-ასთვის რეგისტრაციის გაუქმება და ფულადი სოციალური დახმარების შეწყვეტა. ადმინისტრაციულმა ორგანომ, სასამართლოს მე-2 პუნქტის აღსასრულებლად გამოსცა აქტი, რომლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდა გ. ბ-ას ოჯახისთვის ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის გაცემა 2017 წლის აგვისტოს თვიდან დღემდე, მიმდინარე შემწეობის თანხასთან ერთად. აღნიშნული ბრძანების აღსრულების მიზნით, გ. ბ-ას ანგარიშზე ჩაერიცხა – 165 ლარი, რაც მოიცავს 23 თვის შემწეობის თანხას, ანუ 50 ლარს გამოკლებული ლტოლვილისთვის განსაზღვრული დახმარება – 45 ლარი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხსენებული თანხა არ შეესაბამებოდა ზემოთ მითითებულ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რადგან საქმეში წარმოდგენილი სს „...იდან“ გ. ბ-ას ანგარიშიდან ამონაწერის თანახმად, მას, 2015 წლის 1 იანვრიდან შეწყვეტამდე ერიცხებოდა როგორც საარსებო შემწეობა, ასევე, ლტოლვილთა დახმარება.

სასამართლოს მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 6 ნოემბრის №ბ/854-20 განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ამასთან, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში განმარტებულ იქნა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება განხორციელდა არასრულყოფილად, არ მომხდარა მოსარჩელის უფლებების სრულად აღდგენა და საარსებო შემწეობის შეწყვეტის დღიდან მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურება

სრული მოცულობით, ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა იმ შემთხვევაში, უკანონოდ რომ არ მომხდარიყო გ. ბ-ასთვის რეგისტრაციის გაუქმება და ფულადი სოციალური დახმარების შეწყვეტა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გ. ბ-ასთვის თვეში 5 ლარის (საარსებო შემწეობის ოდენობას – 50 ლარს გამოკლებული ლტოლვილისთვის განსაზღვრული დახმარება – 45 ლარი) ანაზღაურება, არ შეესაბამებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზანს, ვინაიდან კანონშეუსაბამოდ სოციალური დახმარების მიმღები პირის სტატუსის შეწყვეტით, მოსარჩელეს მიადგა ზიანი 2017 წლის 18 აგვისტოდან მიუღებელი საარსებო შემწეობის სახით, რაც უნდა ანაზღაურებოდა კანონით დადგენილი წესით, სრული მოცულობით. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად ცნო ბათილად გასაჩივრებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 25 ივნისის №04-1248/ო ბრძანების მე-4 პუნქტი და კანონშესაბამისად დაავალა მოპასუხე – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, 2017 წლის აგვისტოს თვიდან დღემდე გ. ბ-ასათვის გასაცემი საარსებო შემწეობის თანხის კონკრეტულ ოდენობაზე მითითებით დაანგარიშების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქალაქო სასამართლომ, ასევე, ყურადღება გაამახვილა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 30 იანვრის №04/3052 წერილზე, რომლითაც განმარტებულია, რომ „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 2 აგვისტოს №25/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 11 დეკემბერს №01-68 ბრძანებით შესული ცვლილების შესაბამისად: „საარსებო შემწეობის მიღება გამორიცხავს დევნილის, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ყოველთვიური შემწეობის მიღებას.“ ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი ან ოჯახის რომელიმე წევრი, ოჯახისთვის საარსებო შემწეობის შეჩერების პერიოდში, მიიღებს დევნილის, ასევე, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შემწეობას და ოჯახი კვლავ ინარჩუნებს საარსებო შემწეობის მიღების უფლებას, ოჯახს აღუდგება საარსებო შემწეობის თანხა შეჩერების პერიოდიდან, იმ თანხის გამოკლებით, რომელიც ოჯახმა ან ოჯახის წევრმა მიიღო დევნილის, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანი-

ტარული – სტატუსის მქონე პირის შემწეობის სახით, შეჩერების პერიოდის განმავლობაში“.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული წერილის თანახმად, ვინაიდან 2017 წლის აგვისტოს თვიდან 2019 წლის ივნისის თვის ჩათვლით, 23 თვის განმავლობაში მოსარჩელეს ყოველთვიურად ერიცხებოდა ლტოლვილის შემწეობა 45 ლარის ოდენობით, ზემოაღნიშნული წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით, 2019 წლის ივლისის თვეში მიმდინარე თვის კუთვნილ სოციალური დახმარებასთან ერთად (50 ლ.) ჩაერიცხა 2017 წლის აგვისტოს თვიდან 2019 წლის ივნისის თვის ჩათვლით, ასაღებ საარსებო შემწეობასა (50 ლ) და მიღებულ ლტოლვილის ყოველთვიურ შემწეობას (45 ლ.) შორის, სხვაობის სახით ($50 - 45 = 5$ ლ.) 23 თვის ჯამური ოდენობა, სულ – $165 (23 \times 5 = 115 + 50 = 165)$ ლარი .

სასამართლომ მიუთითა „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებზე, რომელთა თანახმად, სოციალური დახმარების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საარსებო შემწეობა. ოჯახს უფლება აქვს მოითხოვოს საარსებო შემწეობა. საარსებო შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ლატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. საარსებო შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. საარსებო შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

სასამართლომ, ასევე, მიუთითა „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლზე, რომლის მიხედვით, მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესებისა და ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის მიზნით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ქმნის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზას. მონაცემთა ბაზა მოიცავს ცნობებს ოჯახის და მისი თითოეული წევრის შესახებ, საცხოვრებელი ადგილის, განათლების და ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თაობაზე, ასევე, ინფორმაციას, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ პირთა საარსებო შემწეობის გაცემის, შეჩერების, განახლების და შეწყვეტის შესახებ და სხვა ინფორმაციას, რაც უკავშირდება სააგენტოს მიერ პროგრამის ადმინისტრირებას.

მიუთითებული წესის მე-12 მუხლის თანახმად, ოჯახის იდენტი-

ფიკაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და დადგენილი მე-თოდოლოგიის გამოყენებით განისაზღვრება სარეიტინგო ქულა, რომელიც მყარი ერთეულია და მისი შეცვლა, როგორც წესი, შესაძლებელია მისი მინიჭებიდან სულ ცოტა ერთი წლის გასვლის შემდეგ, გარდა მე-9 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებით და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ან რეგისტრაციის მაძიებელი ოჯახის იმ მონაცემების კორექტირება, რომელთა შეცვლაც გამოიწვევს სარეიტინგო ქულის ცვლილებას, შესაძლებელია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებიდან, მომდევნო 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში. ამ კორექტირებასთან დაკავშირებით, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დაშვებული შეცდომის (ხარვეზის) გამოსწორების მიზნით, შესაბამისი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია, ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ან დაინტერესებული მხარის მიმართვის შემთხვევაში, თუ ეს მიმართვა გაკეთებულია აქტის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, კორექტირება დასაშვებია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ, ასევე, მიუთითა „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (შემდგომში – მონაცემთა ბაზა) და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე (შემდგომში – ლატაკი ოჯახი).

მითითებული წესის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ასევე, მე-7 მუხლის შესაბამისად, „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის ფარგლებში შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესის მე-7 მუხლით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე: ა) საარსებო შემწეობის ოდენობა ერთსულიანი ოჯახისათვის არის 60 (სამოცი) ლარი; ბ) ორ და

მეტსულიანი ოჯახების შემთხვევაში, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთსულიანი ოჯახისათვის დადგენილი საარსებო შემწეობის ოდენობას მეორე და ოჯახის ყოველ მომდევნო თითოეულ წევრზე ემატება 48 ლარი. „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის ფარგლებში შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე, საარსებო შემწეობის ოდენობა განისაზღვრება: ა) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე ნაკლებია – განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; ბ) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე – განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; გ) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე – განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; დ) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე – განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; ე) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001-ზე ნაკლებია – საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე. საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა, ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არის 57001 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ერთი). საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა, ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არის 100001 (ასი ათას ერთი).

იმავე წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო უფლებამოსილია არსებული/გამოვლენილი ფაქტების გათვალისწინებით, მიიღოს გადაწყვეტილება შემწეობის დანიშვნის, დანიშვნაზე უარის თქმის, შეჩერების, შეწყვეტის, ზედმეტად გაცემული შემწეობის უკან დაბრუნების ან/და შემწეობის ოდენობის გადაანგარიშების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელს აქვს დახმარების, პენსიისა და სხვაგვარი სოციალური უზრუნველყოფის ისეთივე უფლება, როგორიც საქართველოს მოქალაქეს. საქართველოში დროებით მყოფი უცხოელის სოციალური უზრუნველყოფის საკითხი კი წყდება საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ, ასევე, მიუთითა საქართველოს შრო-

მის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/6 ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-17 მუხლზე, რომლის მიხედვით, დანიშნული საარსებო შემწეობის ოდენობების ავტომატური გადაანგარიშება, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის – ოჯახში ვიზიტის გარეშე, მოხდება შემდეგი გარემოებების არსებობისას: ა) საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი საარსებო შემწეობის ოდენობების ცვლილებების შემთხვევაში; ბ) ლატაკ ოჯახში ბავშვის დაბადების (შვილად აყვანის) შემთხვევაში, როცა ბავშვის დაბადებიდან (შვილად აყვანიდან) და ბოლო შეფასებიდან არ არის გასული 2 წელზე მეტი; გ) ორი და მეტწევრიანი ოჯახის წევრის 2018 წლის 1 ივნისის შემდეგ გარდაცვალების შემთხვევაში. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საარსებო შემწეობა დანიშნული ოდენობით შესაძლებელია აგრეთვე გადაანგარიშებულ იქნეს, თუ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შეფასების შედეგად მინიჭებული სარეიტინგო ქულიდან გამომდინარე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გათვალისწინებულია განსხვავებული ოდენობის საარსებო შემწეობის გაცემა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მსურველი ან/და რეგისტრირებული ოჯახების (შემდგომში – „ოჯახი“ ან „შინამეურნეობა“) კეთილდღეობის დონის შესაფასებლად გამოიყენება შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსი, რომლის გამოთვლა ხდება მონაცემთა საფუძველზე, რომელსაც ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი აფიქსირებს სპეციალურ კითხვარში (შემდგომში – ოჯახის დეკლარაცია) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის დახმარებით; ოჯახის დეკლარაციაში ფიქსირდება ოჯახის მახასიათებლების ყველა ის მნიშვნელობა, რომლებიც გამოიყენება კეთილდღეობის ინდექსის გამოსათვლელ ფორმულაში.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე გ. ბ-ას ოჯახი განეკუთვნებოდა აღნიშნული წესით გათვალისწინებულ დახმარების მიმღებ პირთა წრეს, რომელიც რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებდა საარსებო შემწეობას.

სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, გ. ბ-ასთვის საარსებო შემ-

წეობის შეწყვეტა 2017 წლის 18 აგვისტოდან მიჩნეულ იქნა კანონ-
შესაბამოდ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევა-
ლა, აღედგინა მოსარჩელისათვის სოციალურად დაუცველის სტა-
ტუსი და აენაზღაურებინა შეწყვეტის დღიდან მიუღებელი საარ-
სებო შემწეობა, თუმცა სადავო გარემოებას წარმოადგენდა მიუ-
ღებელი საარსებო შემწეობის ოდენობა, ადმინისტრაციულმა ორ-
განომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილე-
ბის აღსრულების მიზნით გამოცემული სადავო ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტის მე-4 პუნქტით მოსარჩელეს აღუდგინა სა-
არსებო შემწეობის გაცემა 2017 წლის აგვისტოს თვიდან დღემდე,
მაგრამ მიუღებელი 23 თვის საარსებო შემწეობის ოდენობა გამოი-
ანგარიშა, როგორც სხვაობა საარსებო შემწეობასა და ლტოლვი-
ლის ყოველთვიურ შემწეობას შორის და საბოლოოდ, მოსარჩელეს
აუნაზღაურა თანხა თვეში 5 ლარის ოდენობით, სულ – 115 ლარი.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქართველოს
უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014
წლის 24 აპრილის №ბზ-476-464(კ-13) გადაწყვეტილებაზე, რომლი-
თაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო ახორ-
ციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნ-
ქციას – მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს სახელით დადგენილი
გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის
უპირობო და სავალდებულო შესრულებას. სასამართლომ აღნიშ-
ნა, რომ „სამართლიანი სასამართლოს“ უფლება მოიცავს არამარ-
ტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლი-
ანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის უფ-
ლებებს, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც. სა-
სამართლოს მოსაზრებით, სასამართლო გადაწყვეტილების აღუს-
რულებლობა უთანაბრდება სასამართლოსადმი მიმართვის უფლე-
ბის არცნობას იმდენად, რამდენადაც იგი მოჩვენებითს ხდის სასა-
მართლოსადმი ხელმისაწვდომობას. საკასაციო სასამართლომ ხაზ-
გასმით აღნიშნა, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შე-
დეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადან-
ყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწე-
ვად, გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების
გარეშე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში,
ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასამართლოს კანონიერ ძალა-
ში შესული გადაწყვეტილების აღსრულება განხორციელდა არას-
რულყოფილად, არ მომხდარა მოსარჩელის უფლებების სრულყო-
ფილად აღდგენა და საარსებო შემწეობის შეწყვეტის დღიდან მიუ-
ღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურება სრული მოცულობით,

ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იქნებოდა იმ შემთხვევაში, უკანონოდ რომ არ მომხდარიყო გ. ბ-ასთვის რეგისტრაციის გაუქმება და ფულადი სოციალური დახმარების შეწყვეტა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გ. ბ-ასთვის თვეში 5 ლარის (საარსებო შემწეობის ოდენობას – 50 ლარს გამოკლებული ლტოლვილისთვის განსაზღვრული დახმარება – 45 ლარი) ანაზღაურება, არ შეესაბამებოდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზანს, ვინაიდან კანონშეუსაბამოდ სოციალური დახმარების მიმღები პირის სტატუსის შეწყვეტით, მოსარჩელეს მიადგა ზიანი 2017 წლის 18 აგვისტოდან მიუღებელი საარსებო შემწეობის სახით, რაც უნდა ანაზღაურებოდა კანონით დადგენილი წესით, სრული მოცულობით.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 30 იანვრის №04/3052 წერილზე, რომლითაც განმარტებულია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 2 აგვისტოს №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველ პუნქტში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 11 დეკემბერს №01-68 ბრძანებით შევიდა ცვლილება, რომლის შესაბამისად, „საარსებო შემწეობის მიღება გამოირიცხავს დევნილის, ასევე, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ყოველთვიური შემწეობის მიღებას.“ ამავდროულად მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი ან ოჯახის რომელიმე წევრი, ოჯახისთვის საარსებო შემწეობის შეჩერების პერიოდში მიიღებს დევნილის, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შემწეობას და ოჯახი კვლავ ინარჩუნებს საარსებო შემწეობის მიღების უფლებას, ოჯახს აღუდგება საარსებო შემწეობის თანხა შეჩერების პერიოდიდან, იმ თანხის გამოკლებით, რომელიც ოჯახმა ან ოჯახის წევრმა მიიღო დევნილის, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული – სტატუსის მქონე პირის შემწეობის სახით, შეჩერების პერიოდის განმავლობაში“.

ზემოაღნიშნული წერილის თანახმად, ვინაიდან 2017 წლის აგვისტოდან 2019 წლის ივნისის ჩათვლით, 23 თვის განმავლობაში მოსარჩელეს ყოველთვიურად ერიცხებოდა ლტოლვილის შემწეობა 45 ლარის ოდენობით, მოხმობილი წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით, 2019 წლის ივლისში მიმდინარე თვის კუთვნილ სოციალურ დახმარებასთან ერთად (50 ლ), ჩაერიცხათ 2017 წლის აგვისტოდან 2019 წლის ივნისის ჩათვლით ასაღებ საარსებო შემწეობასა (50 ლ) და მიღებულ ლტოლვილის ყოველთვიურ შემწეობას (45 ლ)

შორის სხვაობის სახით ($50-45=5$ ლ) 23 თვის ჯამური ოდენობა, სულ: ($23 \times 5 = 115 + 50 = 165$) 165 ლარი.

საქალაქო სასამართლომ, ასევე, ყურადღება გაამახვილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 ოქტომბრის №3/5816-19 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც განმარტებულია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გ. ბ-ასთვის თვეში 5 ლარის (საარსებო შემწეობის ოდენობას – 50 ლარს გამოკლებული ლტოლვილისთვის განსაზღვრული დახმარება – 45 ლარი) ანაზღაურება, არ შეესაბამებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზანს, ვინაიდან კანონშეუსაბამოდ სოციალური დახმარების მიმღები პირის სტატუსის შეწყვეტით, მოსარჩელეს მიადგა ზიანი 2017 წლის 18 აგვისტოდან მიუღებელი საარსებო შემწეობის სახით, რაც უნდა ანაზღაურებოდა კანონით დადგენილი წესით, სრული მოცულობით.

სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება №3/5816-19 არ იყო შესული კანონიერ ძალაში.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 97-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ, სასამართლოს მე-2 პუნქტის აღსასრულებლად გამოსცა აქტი, რომლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდა გ. ბ-ას ოჯახისთვის ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის გაცემა 2017 წლის აგვისტოს თვიდან დღემდე, მიმდინარე შემწეობის თანხასთან ერთად. აღნიშნული ბრძანების აღსრულების მიზნით, გ. ბ-ას ანგარიშზე ჩაერიცხა – 165 ლარი, რაც მოიცავს 23 თვის შემწეობის თანხას, ანუ 50 ლარს გამოკლებული ლტოლვილისთვის განსაზღვრული დახმარება – 45 ლარი, რაც სასამართლომ მიიჩნია, რომ არ შეესაბამებოდა ზემოთ მითითებულ გადაწყვეტილებას, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებებით განმარტებული იყო, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გ. ბ-ასთვის თვეში 5 ლარის (საარსებო შემწეობის ოდენობას – 50 ლარს გამოკლებული ლტოლვილისთვის განსაზღვრული დახმარება – 45 ლარი) ანაზღაურება, არ შეესაბამებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზანს, მოსარჩელეს მიადგა ზიანი 2017 წლის 18 აგვისტოდან მიუღებელი საარსებო შემწეობის სახით, რაც უნდა ანაზღაურებოდა კანონით დადგენილი წესით, სრული მოცულობით.

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, აქტი გამოეცა საქმის სრულყოფილად შესწავლის საფუძველზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოპასუხის მიერ ვერ იქნა დაძლეული მტკიცების ტვირთი.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე და დაასკვნა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების საფუძვლიანად გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო, სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უნდა დავალებოდა, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილი წესით და ვადაში, მოსარჩელე გ. ბ-ასთან დაკავშირებით, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა უნდა დავალებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 1 აპრილის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა შეფასებულიყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 30 იანვრის №04/3052 გადაწყვეტილების კანონიერება. დასახელებული საკითხის გადაწყვეტას უკავშირდებოდა იმის დადგენა, არსებობდა თუ არა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის გ. ბ-ას სასარგებლოდ 1150 ლარის გადახდის დავალების საფუძველი. სააპელაციო პალატამ, პირველ რიგში, ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად არსებული მხარის ინტერესი – კონკრეტული დახმარების თანხის მიღება – სასამართლოთა შეფასების

საგანი გახდა რამდენიმეჯერ. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მოკლედ მიეთითებინა საქმის წარმოების ქრონოლოგიაზე და ყურადღება შეეჩერებინა მხოლოდ იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე, რომლებსაც უშუალოდ მიმდინარე დავის გადაწყვეტისათვის გააჩნდათ არსებითი მნიშვნელობა.

სააპელაციო პალატის მითითებით, დადგენილი იყო, რომ გ. ბ-ას ოჯახი განეკუთვნებოდა სოციალური დახმარების მიმღებ პირთა წრეს, რომელიც რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებდა საარსებო შემწეობას. ასევე დადგენილი იყო, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, გ. ბ-ასთვის საარსებო შემწეობის შეწყვეტა 2017 წლის 18 აგვისტოდან მიჩნეული იქნა კანონშეუსაბამოდ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა აღედგინა მოსარჩელისათვის სოციალურად დაუცველის სტატუსი და აენაზღაურებინა შეწყვეტის დღიდან მიუღებელი საარსებო შემწეობა. თუმცა სადავო გარემოებას წარმოადგენდა მიუღებელი საარსებო შემწეობის ოდენობა. ადმინისტრაციულმა ორგანომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოცემული სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მე-4 პუნქტით მოსარჩელეს აღუდგინა საარსებო შემწეობის გაცემა 2017 წლის აგვისტოდან იმ დღემდე, თუმცა მიუღებელი 23 თვის საარსებო შემწეობის ოდენობა გამოიანგარიშა, როგორც სხვაობა საარსებო შემწეობასა და ლტოლვილის ყოველთვიურ შემწეობას შორის და საბოლოოდ, მოსარჩელეს აუნაზღაურა თვეში 5 ლარის ოდენობით თანხა 23 თვიან პერიოდზე, სულ 115 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 30 იანვრის №04/3052 წერილზე, რომლითაც განმარტებული იყო, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 2 აგვისტოს №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველ პუნქტში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 11 დეკემბერს №01-68 ბრძანებით შესული ცვლილების შესაბამისად: „საარსებო შემწეობის მიღება გამოორიცხავს დევნილის, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ყოველთვიური შემწეობის მიღებას.“ ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად „იმ შემთხვევაში, თუ საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი ან ოჯახის რომელიმე წევრი, ოჯახისთვის საარსებო შემწეობის შეჩერების პე-

რიოდში მიიღებს დევნილის, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შემწეობას და ოჯახი კვლავ ინარჩუნებს საარსებო შემწეობის მიღების უფლებას, ოჯახს აღუდგება საარსებო შემწეობის თანხა შეჩერების პერიოდიდან, იმ თანხის გამოკლებით, რომელიც ოჯახმა ან ოჯახის წევრმა მიიღო დევნილის, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შემწეობის სახით, შეჩერების პერიოდის განმავლობაში“. მითითებული წერილის თანახმად, ვინაიდან, 2017 წლის აგვისტოდან 2019 წლის ივნისის ჩათვლით, 23 თვის განმავლობაში მოსარჩელეს ყოველთვიურად ერიცხებოდა ლტოლვილის შემწეობა 45 ლარის ოდენობით, ზემოაღნიშნული წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით, 2019 წლის ივლისის თვეში მიმდინარე თვის კუთვნილ სოციალურ დახმარებასთან ერთად (50 ლ) განმცხადებელს ჩაერიცხა 2017 წლის აგვისტოდან 2019 წლის ივნისის ჩათვლით ასაღებ საარსებო შემწეობასა (50 ლ) და მიღებულ ლტოლვილის ყოველთვიურ შემწეობას (45 ლ) შორის, სხვაობის სახით (50-45=5 ლ) 23 თვის ჯამური ოდენობა, სულ: $(23 \times 5 = 115 + 50 = 165)$ 165 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის განმარტებაზე, რომ ზემოთ მითითებული კალკულაციით თანხის გაანგარიშება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, 2017 წლის შემდგომ, პირი აღარ შეიძლებოდა ერთდროულად ყოფილიყო როგორც „ლტოლვილის“, ასევე „სოციალურად დაუცველის“ სტატუსიდან გამომდინარე შემწეობის მიმღები. შესაბამისად, მითითებულ 23-თვიან მონაკვეთზე, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ადმინისტრაციულმა ორგანომ გ. ბ-ას აღუდგინა „სოციალურად დაუცველის“ სტატუსი, რამაც გამოიწვია მისთვის 50-ლარიანი დახმარების გაცემის უფლების აღდგენა. თუმცა, ამავდროულად, ვინაიდან მითითებული 23-თვიანი მონაკვეთის განმავლობაში გ. ბ-ა ფლობდა „ლტოლვილის“ სტატუსს და აღნიშნული სტატუსიდან გამომდინარე იღებდა დახმარებას თვეში 45 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩათვალა, რომ „სოციალურად დაუცველის სტატუსის“ აღდგენით განპირობებული 50-ლარიანი დახმარების მიღების უფლება დიდწილად (45 ლარის ოდენობით) დაფარული იყო. შესაბამისად, „სოციალურად დაუცველის სტატუსის“ აღდგენის შედეგად, მასზე უნდა გაცემულიყო მხოლოდ ამ ორი დახმარების თანხას შორის არსებული სხვაობა – თვეში 5 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრატ-

ციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (№3/5816-19) შეფასდა აღნიშნული კალკულაციის კანონშესაბამისობის საკითხი და განიმარტა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გ. ბ-ასთვის თვეში 5 ლარის (საარსებო შემწეობის ოდენობას – 50 ლარს გამოკლებული ლტოლვილისთვის განსაზღვრული დახმარება – 45 ლარი) ანაზღაურება, არ შეესაბამებოდა თავდაპირველი გადაწყვეტილების აღსრულების მიზანს, ვინაიდან კანონშესაბამოდ სოციალური დახმარების მიმღები პირის სტატუსის შეწყვეტით, მოსარჩელეს მიადგა ზიანი 2017 წლის 18 აგვისტოდან მიუღებელი საარსებო შემწეობის სახით, რაც უნდა ანაზღაურებოდა კანონით დადგენილი წესით, სრული მოცულობით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№3/5816-19), რომელიც გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო და საკასაციო წესით, ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 6 ნოემბრის განჩინებით, ხოლო, საკასაციო სასამართლოს 2021 წლის 22 ივლისის განჩინებით (საქმე №ბს-237(კ-21)) საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ კანონიერ ძალაში იყო შესული აღნიშნული გადაწყვეტილება, რომლითაც ზემოთ მითითებული კალკულაცია მიჩნეულ იქნა კანონშესაბამოდ.

აღნიშნული ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე, მიმდინარე დავის ფარგლებში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ აღსრულდა თუ არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესითა და სასამართლოს გადაწყვეტილებით პირდაპირ გათვალისწინებული მოცულობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დადგინილიყო, შეესაბამებოდა თუ არა კანონმდებლობის მოთხოვნებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 30 იანვრის №04/3052 გადაწყვეტილება და არსებობდა თუ არა საფუძველი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გ. ბ-ას სასარგებლოდ 1150 ლარის გადახდა დავალეობდა.

ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები, ასევე, დამატებით განმარტა, რომ თუკი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს კონკრეტული წესით და კონკრეტული ოდენობით მოახდინოს პირის უფლებებში აღდგენა, აღნიშნული სახის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება აღარ

შეიძლება დაექვემდებაროს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გადაწყვეტილების აღსრულების წესის დამატებით განმარტებასა და ინტერპრეტაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა სასამართლოს შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 30 იანვრის №04/3052 გადაწყვეტილების კანონიერების განხილვისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა დაძლეული აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთი. ამდენად, მართებული იყო სასამართლოს დასკვნა, რომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 30 იანვრის №04/3052 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და აპელანტს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა უნდა დავალებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 1 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება სამართლებრივად დაუსაბუთებელია და ეწინააღმდეგება კანონს. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა განსახილველი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმით, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველ პუნქტში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 11 დეკემბერს №01-68/ნ ბრძანებით შესული ცვლილების შესაბამისად, საარსებო შემწეობის მიღება გამორიცხავს დევნილის, ასევე, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ყოველთვიური შემწეობის მიღებას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი ან ოჯახის რომელიმე წევრი, ოჯახისთვის საარსებო შემწეობის შეჩერების პერიოდში მიიღებს დევნილის, ასევე, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შემწეობას და ოჯახი კვლავ ინარჩუნებს საარსებო შემწეობის მიღების უფლებას, ოჯახს აღუდგება საარსებო შემწეობის თანხა შეჩერების პერიოდიდან, იმ თანხის გამოკლებით, რომელიც ოჯახმა ან ოჯახის წევრმა მიიღო დევნილის, ასევე,

ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შემწეობის სახით, შეჩერების პერიოდის განმავლობაში.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გ. ბ-ას 2017 წლის აგვისტოდან 2019 წლის ივნისის ჩათვლით, 23 თვის განმავლობაში ყოველთვიურად ერიცხებოდა ლტოლვილის შემწეობა 45 ლარის ოდენობით, ზემოაღნიშნული წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით. 2019 წლის ივლისში მიმდინარე თვის კუთვნილ სოციალურ დახმარებასთან ერთად (50 ლ), მას ჩაერიცხა 2017 წლის აგვისტოდან 2019 წლის ივნისის ჩათვლით მისაღებ საარსებო შემწეობასა და მიღებულ ლტოლვილის ყოველთვიურ შემწეობას (45 ლ) შორის სხვაობის 23 თვის ჯამური ოდენობა, სულ 165 ლარი ($115 (23 \times 5) + 50 = 165$). ასევე, მას დამატებით ეცნობა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო პერიოდულად ახორციელებს სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) მიმღები ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმებას, რაც, სხვა ოჯახებთან ერთად, შეეხო გ. ბ-ას ოჯახსაც, რის საფუძველზეც, ოჯახში ვიზიტს განახორციელებდა სააგენტოს უფლებამოსილი პირი და შეივსებოდა „ოჯახის დეკლარაცია“. ასევე, კანონმდებლობის თანახმად, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის პროცესში, ჩერდება საარსებო შემწეობის გაცემა და გრძელდება ახალი სარეიტინგო ქულის შესაბამისად. მინიჭებული სარეიტინგო ქულის ოდენობიდან გამომდინარე, განისაზღვრება, მიიღებს თუ არა ოჯახი კანონმდებლობით გათვალისწინებულ დახმარებას.

კასატორის შეფასებით, ყურადსაღებია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 მარტის №ბს-149(კ-19) განჩინების სარეზოლუციო ნაწილისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 25 ივნისის №04-1248 ბრძანების საფუძველზე, გ. ბ-ას ოჯახს (საიდენტიფიკაციო კოდი: ...) აღუდგა რეგისტრაცია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და განისაზღვრა ოჯახისათვის ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) გაცემა 2017 წლის აგვისტოდან დღემდე, მიმდინარე თვის შემწეობის თანხასთან ერთად.

კასატორი განმეორებით მიუთითებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/6 ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებზე, ასევე, გ. ბ-ასათვის ჩარიცხულ თან-

ხეზე და აღნიშნავს, რომ გ. ბ-ას დახმარების ოდენობა გაანგარიშებულია მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით, რის გამოც არ არსებობს გ. ბ-ასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული გარემოებების გამოკვლევა-შეფასებისა და კანონით დადგენილ ვადაში ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 9 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 11 მაისის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა, რომ დაამკვიდრონ, მათ შორის სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარე-

ბისათვის.

ევროპის სოციალური ქარტიის მე-12 მუხლის თანახმად, სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ შექმნან და შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა. შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა დამაკმაყოფილებელ დონეზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ევროპის სოციალური უზრუნველყოფის კოდექსის რატიფიკაციისათვის აუცილებელ დონეს. მიიღონ ზომები სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

საყურადღებოა, ასევე, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ პაქტის მე-9 მუხლი, რომლის შესაბამისად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, რომლის მიხედვით, ამ კანონის მიზანია სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებით მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფა. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარების სფეროში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს.

აღნიშნული კანონის მე-6 და მე-7 მუხლების თანახმად, სოციალური დახმარების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საარსებო შემწეობა. ოჯახს უფლება აქვს მოითხოვოს საარსებო შემწეობა. საარსებო შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ლატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. საარსებო შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. საარსებო შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წე-

სის“ მე-8 მუხლზე, რომლის მიხედვით, მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესებისა და ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის მიზნით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ქმნის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზას. მონაცემთა ბაზა მოიცავს ცნობებს ოჯახის და მისი თითოეული წევრის შესახებ, საცხოვრებელი ადგილის, განათლების და ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თაობაზე, ასევე, ინფორმაციას, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ პირთა საარსებო შემწეობის გაცემის, შეჩერების, განახლების და შეწყვეტის შესახებ და სხვა ინფორმაციას, რაც უკავშირდება სააგენტოს მიერ პროგრამის ადმინისტრირებას.

მითითებული წესის მე-12 მუხლის თანახმად, ოჯახის იდენტიფიკაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და დადგენილი მეტოდოლოგიის გამოყენებით განისაზღვრება სარეიტინგო ქულა, რომელიც მყარი ერთეულია და მისი შეცვლა, როგორც წესი, შესაძლებელია მისი მინიჭებიდან სულ ცოტა ერთი წლის გასვლის შემდეგ, გარდა მე-9 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებით და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამავე წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ან რეგისტრაციის მაძიებელი ოჯახის იმ მონაცემების კორექტირება, რომელთა შეცვლაც გამოიწვევს სარეიტინგო ქულის ცვლილებას, შესაძლებელია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებიდან, მომდევნო 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში. ამ კორექტირებასთან დაკავშირებით, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დაშვებული შეცდომის (ხარვეზის) გამოსწორების მიზნით, შესაბამისი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია, ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ან დაინტერესებული მხარის მიმართვის შემთხვევაში, თუ ეს მიმართვა გაკეთებულია აქტის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, კორექტირება დასაშვებია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბა-

ზაში (შემდგომში – მონაცემთა ბაზა) და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე (შემდგომში – ლატაკი ოჯახი).

მითითებული წესის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ასევე, მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ ფარგლებში შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესის მე-7 მუხლით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე: ა) საარსებო შემწეობის ოდენობა ერთსულიანი ოჯახისათვის არის 60 (სამოცი) ლარი; ბ) ორ და მეტსულიანი ოჯახების შემთხვევაში, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთსულიანი ოჯახისათვის დადგენილი საარსებო შემწეობის ოდენობას მეორე და ოჯახის ყოველ მომდევნო თითოეულ წევრზე ემატება 48 ლარი. „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის ფარგლებში შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე, საარსებო შემწეობის ოდენობა განისაზღვრება) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე ნაკლებია – განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; ბ) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე – განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; გ) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე – განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; დ) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე – განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; ე) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001-ზე ნაკლებია – საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე. საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა, ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არის 57001 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ერთი). საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა, ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არის 100001 (ასი ათას ერთი).

ამავე წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო უფლებამოსილია არსებული/გამოვლენილი ფაქტების გათვალისწინებით, მიიღოს გადაწყვეტილება შემწეობის დანიშვნის, დანიშვნაზე უარის თქმის, შეჩერების, შეწყვეტის, ზედმეტად გაცემული შემწეობის უკან დაბ-

რუნების ან/და შემწეობის ოდენობის გადაანგარიშების შესახებ.

საკასაციო პალატა, ასევე, ყურადღებას ამახვილებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელს აქვს დახმარების, პენსიისა და სხვაგვარი სოციალური უზრუნველყოფის ისეთივე უფლება, როგორც საქართველოს მოქალაქეს. საქართველოში დროებით მყოფი უცხოელის სოციალური უზრუნველყოფის საკითხი კი წყდება საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/6 ბრძანებით დამტკიცებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-17 მუხლის მიხედვით, დანიშნული საარსებო შემწეობის ოდენობების ავტომატური გადაანგარიშება, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის – ოჯახში ვიზიტის გარეშე, მოხდება შემდეგი გარემოებების არსებობისას: ა) საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი საარსებო შემწეობის ოდენობების ცვლილებების შემთხვევაში; ბ) ლატაკ ოჯახში ბავშვის დაბადების (შვილად აყვანის) შემთხვევაში, როცა ბავშვის დაბადებიდან (შვილად აყვანიდან) და ბოლო შეფასებიდან არ არის გასული 2 წელზე მეტი; გ) ორი და მეტწევრიანი ოჯახის წევრის 2018 წლის 1 ივნისის შემდეგ გარდაცვალების შემთხვევაში. ამავე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, საარსებო შემწეობა დანიშნული ოდენობით შესაძლებელია აგრეთვე გადაანგარიშებულ იქნეს, თუ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შეფასების შედეგად მინიჭებული სარეიტინგო ქულიდან გამომდინარე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გათვალისწინებულია განსხვავებული ოდენობის საარსებო შემწეობის გაცემა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მსურველი ან/და რეგისტრირებული ოჯახების (შემდგომში – „ოჯახი“ ან „შინამეურნეობა“) კეთილდღეობის დონის შესაფასებლად გამოიყენება შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსი, რომლის გამოთვლა ხდება მონაცემთა საფუძველზე, რომელსაც ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი აფიქსირებს სპეციალურ კითხვარში (შემდგომში – ოჯახის დეკლარაცია) სსიპ სოციალური

მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის დახმარებით; ოჯახის დეკლარაციაში ფიქსირდება ოჯახის მახასიათებლების ყველა ის მნიშვნელობა, რომლებიც გამოიყენება კეთილდღეობის ინდექსის გამოსათვლელ ფორმულაში.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე გ. ბ-ას ოჯახი განეკუთვნებოდა აღნიშნული წესით გათვალისწინებულ დახმარების მიმღებ პირთა წრეს, რომელიც რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებდა საარსებო შემწეობას.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ გ. ბ-ასათვის საარსებო შემწეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით წარიმართა არაერთი სასამართლო დავა. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ გ. ბ-ამ სადავო გახადა ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მას შეუწყდა საარსებო შემწეობის გაცემა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 თებერვლის (საქმე №3/7862-17) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 8 ნოემბრის №04/69877 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა, მოსარჩელისათვის აღედგინა სოციალურად დაუცველის სტატუსი და აენაზღაურებინა შეწყვეტის დღიდან მიუღებელი საარსებო შემწეობა.

აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 25 ივნისის №04-1248/ო ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი სააგენტოს 2017 წლის 8 ნოემბრის №04/69877 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (გადაწყვეტილება); ბათილად იქნა ცნობილი გ. ბ-ას ოჯახზე 2017 წლის 18 აგვისტოს ცენტრალიზებულად შევსებული „ოქმი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ“; გ. ბ-ას ოჯახს აღუდგა რეგისტრაცია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 2017 წლის 11 მარტს შევსებული „ოჯახის დეკლარაციის“ შესაბამისად და განხორციელდა გ. ბ-ას ოჯახისთვის ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის გაცემა 2017 წლის აგვისტოს თვიდან ბრძანების გამოცემის დღემდე, მიმდინარე თვის შემწეობის თანხასთან ერთად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 19 ივლისის №04/39417 წერილით გ. ბ-ას ეცნობა, რომ მის ოჯახს აღუდგა რეგისტრაცია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და განისაზღვრა ოჯახისთვის

ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) გაცემა 2017 წლის აგვისტოს თვიდან დღემდე, მიმდინარე თვის შემწეობის თანხასთან ერთად. ამავე წერილში მითითებულ იქნა, რომ „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/ნ ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საარსებო შემწეობის მიღება გამოორიცხავს დევნილის, ასევე, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ყოველთვიური შემწეობის მიღებას“. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი ან ოჯახის რომელიმე წევრი, ოჯახისთვის საარსებო შემწეობის შეჩერების პერიოდში მიიღებს დევნილის, ასევე, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შემწეობას და ოჯახი კვლავ ინარჩუნებს საარსებო შემწეობის მიღების უფლებას, ოჯახს აღუდგება საარსებო შემწეობის თანხა შეჩერების პერიოდიდან, იმ თანხის გამოკლებით, რომელიც ოჯახმა ან ოჯახის წევრმა მიიღო დევნილის, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შემწეობის სახით, შეჩერების პერიოდის განმავლობაში.

შესაბამისად, რამდენადაც 2017 წლის აგვისტოს თვიდან 2019 წლის ივნისის თვის ჩათვლით, 23 თვის განმავლობაში გ. ბ-ას ჩარიცხული ჰქონდა ლტოლვილის ყოველთვიური შემწეობა – 45 ლარის ოდენობით, ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, 2019 წლის ივლისის თვეში მას ჩაერიცხა მიმდინარე თვის კუთვნილი ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა) 50 ლარის ოდენობით და 2017 წლის აგვისტოს თვიდან 2019 წლის ივნისის თვის ჩათვლით, 23 თვის სხვაობა მიუღებელ საარსებო შემწეობასა და მიღებული ლტოლვილის ყოველთვიურ შემწეობას შორის, თვეში 5 ლარის ოდენობით, სულ $(23 \times 5 = 115 + 50 = 165)$ 165 ლარი.

საკასაციო სასამართლო კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გ. ბ-ა არ დაეთანხმა მისაღები საარსებო შემწეობის ოდენობას და სადავო გახადა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 25 ივნისის №04-1248/ო ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა მიუღებელი საარსებო შემწეობის დაანგარიშების წესი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 25 ივნისის №04-1248/ო ბრძანების მე-4 პუნქტი; მოპასუხე – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-

ვი აქტის გამოცემა, გ. ბ-ასათვის გასაცემი საარსებო შემწეობის კონკრეტულ თანხაზე მითითებით დაანგარიშების თაობაზე, 2017 წლის აგვისტოს თვიდან დღემდე.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ნოემბრის განჩინებით. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 22 ივლისის №ბს-237(კ-21) განჩინებით.

აღნიშნულ განჩინებაში საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოცემული სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსარჩელეს აღუდგინა საარსებო შემწეობის გაცემა 2017 წლის აგვისტოდან, მაგრამ მიუღებელი 23 თვის საარსებო შემწეობის ოდენობა გამოიანგარიშა როგორც სხვაობა საარსებო შემწეობასა და ლტოლვილის ყოველთვიურ შემწეობას შორის.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა მოსარჩელისათვის სოციალურად დაუცველის სტატუსის აღდგენა და შეწყვეტის დღიდან მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურება, ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რაც იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ არ მომხდარიყო გ. ბ-ასთვის რეგისტრაციის გაუქმება და ფულადი სოციალური დახმარების შეწყვეტა. აღნიშნული ბრძანების აღსრულების მიზნით, გ. ბ-ას ანგარიშზე ჩაერიცხა – 165 ლარი, რაც მოიცავს 23 თვის შემწეობის თანხას – 50 ლარს გამოკლებული ლტოლვილისთვის განსაზღვრული დახმარება – 45 ლარი, ასევე დამატებული ერთი თვის შემწეობა – 50 ლარი, რაც საკასაციო სასამართლოს მითითებით, არ შეესაბამება კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი სს „...ის“ გ. ბ-ას ანგარიშიდან ამონაწერის თანახმად, მას 2015 წლის 1 იანვრიდან სოციალური დახმარების მიმღები პირის სტატუსის შეწყვეტამდე ერიცხებოდა როგორც საარსებო შემწეობა, ასევე ლტოლვილთა დახმარება ერთდროულად. ამასთან, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საყურადღებო იყო ის გარემოებაც, რომ მოცემულ პერიოდში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელის-

თვის საარსებო შემწეობის ან ლტოლვილის დახმარების შეწყვეტა/შეჩერება არ მომხდარა რაიმე სხვა საფუძვლით.

საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინებით უცვლელად დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ნოემბრის განჩინებით, პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გ. ბ-ასთვის თვეში 5 ლარის (საარსებო შემწეობის ოდენობას – 50 ლარს გამოკლებული ლტოლვილისთვის განსაზღვრული დახმარება – 45 ლარი) ანაზღაურება, არ შეესაბამებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზანს, ვინაიდან კანონშეუსაბამოდ სოციალური დახმარების მიმღები პირის სტატუსის შეწყვეტით, მოსარჩელეს მიადგა ზიანი 2017 წლის 18 აგვისტოდან მიუღებელი საარსებო შემწეობის სახით, რაც უნდა ანაზღაურებოდა კანონით დადგენილი წესით, სრული მოცულობით. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ მართებულად ცნო ბათილად გასაჩივრებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 25 ივნისის №04-1248/ო ბრძანების მე-4 პუნქტი და კანონშესაბამისად დაავალა მოპასუხე – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, გამოეცა 2017 წლის აგვისტოს თვიდან დღემდე გ. ბ-ასათვის გასაცემი საარსებო შემწეობის თანხის კონკრეტულ ოდენობაზე მითითებით დაანგარიშების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებულია გ. ბ-ასთვის 2017 წლის აგვისტოდან შემდგომი 23 თვის განმავლობაში ასანაზღაურებელი საარსებო შემწეობის ჯამური ოდენობის დაანგარიშების იმ მეთოდოლოგიის უკანონობა, რომელიც განმეორებით იქნა ასახული მოცემულ დავაზე სადავოდ გამხდარ 2020 წლის 30 იანვრის №04/3052 გადაწყვეტილებაში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 25 ივნისის №04-1248/ო ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი იმ მიზეზით, რომ არ იქნა გაზიარებული სწორედ მასში ასახული საარსებო შემწეობის გამოთვლის წესი. ამდენად, ბათილად ცნობილ აქტში ასახული დაანგარიშების მეთოდოლოგიის 2020 წლის 30 იანვრის №04/3052 გადაწყვეტილებაში გამეორება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობას უტოლდება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოს გადანყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლოს გადანყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სასამართლოს აქტი, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მოთხოვნა და განკარგულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოსათვის. სასამართლო გადანყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით. სასამართლო გადანყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით კი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადანყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სანარმოოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის №ბს-476-464(კ-13) გადანყვეტილებაზე, რომელშიც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადანყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას. აღსანიშნავია, რომ „სამართლიანი სასამართლოს“ უფლება მოიცავს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადანყვეტის უფლებებს, არამედ გადანყვეტილების აღსრულების უფლებასაც. სასამართლო გადანყვეტილების აღსრულებლობა უთანაბრდება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არცნობას იმდენად, რამდენადაც იგი მოჩვენებითს ხდის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას. სასამართლო გადანყვეტილების აღსრულების უფლება, როგორც „სა-

მართლიანი სასამართლოს“ უფლების ელემენტი, დაცული და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 82.2. მუხლით, რომლის მიხედვითაც „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.“ კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესი კი იმპლემენტირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლში.“

ამავე გადანყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადანყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადანყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე.“

მოხმობილ გადანყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ, ასევე, ყურადღება გაამახვილა საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც განმცხადებლის საჩივარი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადანყვეტილების აღსრულების უფლებას ეხებოდა. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული უფლება, რომელიც აშკარად კონვენციის არც ერთ დებულებაში არ არის მოცემული, კონვენციის ორგანოების მიერ განმარტებულ იქნა, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40). ამასთან, საქმეზე „შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადანყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადანყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადანყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40).“

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების აღსრულებლობა არღვევს პირის როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას (კონვენციის მე-6 მუხლის პირველი

ნაწილი).

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება განხორციელდა არასრულყოფილად, არ მომხდარა მოსარჩელის უფლებების სრულყოფილად აღდგენა და საარსებო შემწეობის შეწყვეტის დღიდან მიუღებელი საარსებო შემწეობის ანაზღაურება სრული მოცულობით, იმ ოდენობით, რასაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ითვალისწინებდა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, წესი, რომელიც საარსებო შემწეობის დაანგარიშების კონკრეტულ მეთოდოლოგიას ადგენს, გათვალისწინებულია „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 2 აგვისტოს №25/6 ბრძანებით, რომელშიც ცვლილება შევიდა ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 11 დეკემბერს №01-68 ბრძანებით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ცვლილება განხორციელდა ჯერ კიდევ პირველი სამართალწარმოების დასრულებამდე – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 თებერვლის (საქმე №3/7862-17) გადაწყვეტილების მიღებამდე. შესაბამისად, ხსენებული ცვლილებით შემოღებული წესი მოქმედებდა, მათ შორის, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების (რომლითაც არამართებულად იქნა მიჩნეული გ. ბ-ასათვის ასანაზღაურებელი საარსებო შემწეობის ოდენობის გამოანგარიშება საარსებო შემწეობასა და ლტოლვილის შემწეობას შორის სხვაობის გამოთვლის მეთოდით) მიღების მომენტშიც და სწორედ ამ წესის გამოყენებით გამოცემული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 25 ივნისის №04-1248/ო ბრძანება იქნა ბათილად ცნობილი. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2020 წლის 30 იანვრის №04/3052 გადაწყვეტილების მიღების დროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უნდა გაეთვალისწინებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მოტივები.

საკასაციო სასამართლო, აქვე, განმარტავს, რომ აღსასრულებელი სასამართლო გადაწყვეტილების საკანონმდებლო დანაწესით

შემოსაზღვრა და ამ თვალსაზრისით, აღსრულებით მომდინარე სამართლებრივი შედეგების დავინროვება დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება არ გულისხმობს საკანონმდებლო ბაზის, კონკრეტულად კი, კანონის უგულებელყოფას. პირიქით, გადაწყვეტილების სათანადო აღსრულება მიმდინარეობს კანონით რეგლამენტირებული დანაწესების კვალდაკვალ, კანონის მოთხოვნათა დაცვით.

საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, საარსებო შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით. ასევე, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლტოლვილს ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს, მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყოველთვიური შემწეობა. ამავე კანონის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს ზემოხსენებული შემწეობის შეჩერების წინაპირობებს, კერძოდ, მოხმობილი ნორმის მიხედვით, ამ კანონის 58-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყოველთვიური შემწეობის გაცემა შეუჩერდება იმ ლტოლვილს ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს, რომელიც: ა) საქართველოს 1 თვეზე მეტი ვადით დატოვებს; ბ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში; გ) პირადი განცხადებით უარს იტყვის ყოველთვიური შემწეობის მიღებაზე.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ორი ტიპის შემწეობის მიღების საფუძველების ერთობლივად წარმოშობის შემთხვევაში, არც საარსებო შემწეობის და არც ლტოლვილისათვის ყოველთვიური შემწეობის განმსაზღვრელი კანონი არ ანიჭებს უპირატესობას შემწეობის რომელიმე სახეს, ასევე, საკანონმდებლო მოწესრიგება არ ადგენს შემწეობის მიღების პირის მხრიდან კონკრეტულად ერთი ტიპის შემწეობის არჩევის ვალდებულებას. ამ მხრივ, ზემოხსენებული კანონები არ განსაზღვრავს დასახელებულ შემწეობათა ურთიერთმიმართებას, განსხვავებით, მაგალითად, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისაგან, რომლითაც განისაზღვრა, რომ თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა უფლება ამ კანონითა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინ-

ნებულ სარგებლებზე, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მოთხოვნის უფლება, მისივე არჩევით. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, მართალია, დაევა საარსებო შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირება, თუმცა კონკრეტულად „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში და კანონით განსაზღვრულ მიზნებთან თანხვედრაში. მიუხედავად აღნიშნულისა, მინისტრის ბრძანებით მოწესრიგდა „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით რეგლამენტირებული საარსებო შემწეობის ურთიერთმიმართება ლტოლვილის შემწეობასთან და განისაზღვრა, რომ ორივე სახის შემწეობის მიღების უფლების არსებობის შემთხვევაში, შემწეობის მიმღებს ჰქონდა შემწეობათა შორის სხვაობის თანხის მიღების ან რომელიმე ერთი შემწეობის არჩევის უფლება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული მოწესრიგება გასცდა „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებსა და ფარგლებს, რამდენადაც მინისტრმა ამ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით განსაზღვრა ერთი ტიპის შემწეობის მეორე სახის შემწეობის თანხის ოდენობით შთანთქმის საკითხი, რომლის რეგულირების კომპეტენციას მას დასახელებული კანონი არ ანიჭებდა.

შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში, სისპ სოციალური მომსახურების გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის წინაპირობას ქმნის არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც საარსებო შემწეობის კონკრეტული მეთოდით დაანგარიშება უკანონოდ იქნა მიჩნეული, არამედ ის გარემოებაც, რომ მინისტრის ბრძანებითა და მასში შესული ცვლილებით განსაზღვრული საარსებო შემწეობის დაანგარიშების წესი თანხვედრაში არ არის „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებთან და ფარგლებთან. ამდენად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ გ. ბ-ასათვის ასანაზღაურებელი საარსებო შემწეობის გამოთვლის მიზნებისათვის, არც „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი და არც „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ადგენს საარსებო შემწეობისა და ლტოლვილის შემწეობის თანხათა შორის სხვაობის დაანგარიშების მეთოდოლოგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საკასაციო საჩივარზე უარის თქმა საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 1 აპრილის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 1 აპრილის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დევნილებისა და ეკომიგრანტების უფლებების დაცვა

დევნილის საცხოვრებელით უზრუნველყოფის წესი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-263(კ-22)

24 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 24 იანვარს პ. ბ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმარ-
თა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგიას მოპასუხის – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარ-
სებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართ.

სარჩელის თანახმად, პ. ბ-ა არის აფხაზეთიდან იძულებით გა-
დაადგილებული პირი – დევნილი. სახელმწიფოსგან მას ფართი არ
მიუღია და დევნილობის პერიოდში ცხოვრობდა სხვადასხვა ადგი-
ლას. 2010 წლიდან დღემდე ის ცხოვრობს დისშვილის – ნ. ე-ას კუთ-
ვნილ ბინაში. მოსარჩელე ჩართულია გრძელვადიანი საცხოვრებ-
ლით უზრუნველყოფის პროგრამაში, აქვს 8 ქულა, არის ომისა და
სამხედრო ძალების ვეტერანი, მნიშვნელოვნად გამოხატული შუშ
პირი (II ჯგუფის ომის ინვალიდი), სოციალურად დაუცველი, მარ-
ტოხელა, სამხედრო პენსიონერი; ხოლო მეპატრონე ითხოვს ბინის
დაცლას. აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სო-
ციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავ-
ლელი კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის №39 სხდომის დადგენი-
ლებით მოსარჩელეს უარი ეთქვა ქ. თბილისში, დევნილი ოჯახის
გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე იმ მო-
ტივით, რომ „ამ ეტაპზე განსახლება გადაუდებელ საჭიროებას არ
წარმოადგენს 2010 წლიდან დისშვილის საკუთრებაში ცხოვრების

გამო.“ აღნიშნული დადგენილების საფუძველზე გამოიცა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 14 ნოემბრის №04-1736/ო ბრძანება იდენტიური შინაარსით, რასაც მოსარჩელე არ ეთანხმება და სადავოდ ხდის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 14 ნოემბრის №04-1736/ო ბრძანების ბათილად ცნობა და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთვის პ. ბ-ას გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით პ. ბ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე – პ. ბ-ა არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი. სახელმწიფოსგან მას ფართი არ მიუღია. დევნილობის პერიოდში ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილას. 2010 წლიდან დღემდე ის ცხოვრობს დისშვილის – ნ. ე-ას კუთვნილ ბინაში. აღნიშნული პირი იძულებით გადაადგილებამდე ცხოვრობდა სოხუმში, ხოლო დროებით საცხოვრებელ ადგილად მითითებულია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალო, ...ის ...მ/რ, კორპ. 28 „ა“ (ყოფილი ს/ბალი), I სართული. პ. ბ-ა არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი (მონაწილის ...). სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერის მიხედვით, 2016 წლის 5 აპრილის მდგომარეობით – პ. ბ-ას ოჯახი შედგება 1 წევრისაგან – პ. ბ-ა. ოჯახის სარეიტინგო ქულაა 12660. დეკლარაციის შევსების თარიღი – 16.02.2016 წელი; ქულის მინიჭების თარიღი – 19.09.2016 წელი.

მოსარჩელე პ. ბ-ამ 2016 წლის 5 აპრილს განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ითხოვა მისთვის, როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის გადაცემა. საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის შეფასების ელექტრონული ფორმის მიხედვით, განაცხადი კრიტერიუმების მიხედვით შეფასდა 8 ქულით (1.50 ქულა – საცხოვრებლის

ფინანსური პირობები – ცხოვრობს ნათესავის/ახლობლის ბინაში ქირის გარეშე; 3 ქულა – სოციალური კრიტერიუმი (30001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით); 2 ქულა – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები „შშმპ“; მნიშვნელოვნად გამოხატული; 1.50 ქულა – ომში მონაწილეობა). სარეგისტრაციო ნომერზე არის მარტო, განაცხადს აკეთებს მარტო. ვერიფიკაციის გადაგზავნის დრო 2018 წლის 10 იანვარი, ვერიფიკაციის დასრულება 2018 წლის 20 მარტი.

გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მონიტორინგის ფორმის მიხედვით, პ. ბ-ა 2010 წლიდან ცხოვრობს თბილისში, საბურთალო, ...ის ...მ/რ, კორპ. 28 „ა“ (ყოფილი ს/ბალი), I სართულზე დისშვილის ნ. ე-ას კუთვნილ ბინაში ქირის გარეშე. 2019 წლიდან კი იხდის ქირის თანხას 200 ლარს. მისი შემოსავალი ყოველთვიურად არის 820 ლარი. არის ომის ვეტერანი და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი. დევნილის სტატუსშენწყვეტილი პირები არიან მეუღლის და ლ. ჯ-ი, მეუღლის სიძე და ლ-ს შვილი. გასხვისებულ ფართს რაც შეეხება, განმარტებულია, რომ მინის ნაკვეთი გაუფორმა ახლობელმა და ერთ კვირაში გაასხვისა, ვის ეკუთვნის არ იცის. ასევე მოსარჩელის მიერ განმარტებულია, რომ მის დისშვილს ჰყავს სამი შვილი და სურს ამ ბინით სარგებლობა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის სხდომის №39 ოქმით პ. ბ-ას ოჯახს საცხოვრებლით დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი – „ამ ეტაპზე განსახლება გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენს 2010 წლიდან დისშვილის საკუთრებაში ცხოვრების გამო“.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 20 ნოემბრის №04-1736/ო ბრძანების თანახმად, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №39) პ. ბ-ას ამ ეტაპზე, განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის გამო, უარი ეთქვა ქ. თბილისში, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული იქნა ნ. ე-ა, რომელმაც განმარტა, რომ არის მოსარჩელის დისშვილი. ბინა რომელშიც ცხოვრობს მოსარჩელე არის მისი საკუთრება. აღნიშნული ბინა მას აჩუქა დედის მხრიდან ბებიამ გათხოვების შემდეგ. ბებიას ხსენებული ბინა სიმბოლურ ფასად გადაეცა სახელმწიფოსგან. თვითონ მეუღლესთან და შვილებთან ერთად ცხოვრობს იმავე შენობაში. მოსარჩელისგან ქირა არ მოუთხოვია და არც ითხოვს, ვინაიდან არის მისი ბიძა დედის ძმა, თუმცა როდესაც მას ჰქონდა

ფინანსური საშუალება და ამჟამადაც როდესაც აქვს, მიუღია მისგან ქირის თანხა. ის არ აპირებს ბიძას მოსთხოვოს ბინის დატოვება, თუმცა საცხოვრებელი ფართის საჭიროება ოჯახში აქვთ.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ვალდებულება აქვს სახელმწიფოს, თუმცა მატერიალური და ფინანსური რესურსების მოცულობიდან და სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა რიგითობას განსაზღვრავს გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, აღნიშნული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამისი პრიორიტეტულობის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ (დანართი №1) მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-5 მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილი ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული წესის (დანართი №1) მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი კრიტერიუმების გარეშე, დევნილი ოჯახისათვის პრიორიტეტის მინიჭების პირობებს ითვალისწინებს, კერძოდ, აღნიშნული პუნქტის თანახმად, ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში).

ამრიგად, სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება – უზრუნველყოს დევნილი ოჯახი გრძელვადიანი საცხოვრებლით, როგორც ნესი ხორციელდება კრიტერიუმების საფუძველზე, საჭიროებათა პრიორიტეტულობის პრინციპით, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, მათ შორის იმ შემთხვევაში, თუ შენობა, რომელშიც დევნილი ოჯახი ცხოვრობს წარმოადგენს ნგრევად საშიშს, ამ ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ოჯახის უსაფრთხოების მიზნით განხორციელდება მინიჭებულ ქულათა მიუხედავად, კრიტერიუმების გარეშე. შესაბამისად, დევნილი ოჯახის, ქულათა მიუხედავად, კრიტერიუმების გარეშე, დაუყოვნებლად გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას, დევნილი ოჯახის ნგრევად საშიშ შენობაში ფაქტობრივად ცხოვრება წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის შეფასების ელექტრონული ფორმის მიხედვით, განაცხადი კრიტერიუმების მიხედვით შეფასდა 8 ქულით. სარეგისტრაციო ნომერზე არის მარტო, განაცხადს აკეთებს მარტო. ვერიფიკაციის გადაგზავნის დრო – 2018 წლის 10 იანვარი, ვერიფიკაციის დასრულება – 2018 წლის 20 მარტი. გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მონიტორინგის ფორმის მიხედვით, პ. ბ-ა 2010 წლიდან ცხოვრობს თბილისში, საბურთალო, ...ის 4მ/რ, კორპ. 28 „ა“ (ყოფილი ს/ბალი), I სართულზე დისშვილის ნ. ე-ას კუთვნილ ბინაში ქირის გარეშე. 2019 წლიდან კი იხდის ქირის თანხას 200 ლარს. მისი შემოსავალი ყოველთვიურად არის 820 ლარი. არის ომის ვეტერანი და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი. დევნილის სტატუსშენიშნული პირები არიან მეუღლის და ლ. ჯ-ი, მეუღლის სიძე და ლ.-ს შვილი. გასხვისებულ ფართს რაც შეეხება, განმარტა, რომ მინის ნაკვეთი გაუფორმა ახლობელმა და ერთ კვირაში გაასხვისა, ვის ეკუთვნის არ იცის. ასევე განმარტა, რომ მის დისშვილს ყავს სამი შვილი და სურს ამ ბინით სარგებლობა.

ამასთან, მოწმე ნ. ე-ამ, განმარტა, რომ პ. ბ-ა არის მისი ბიძა დედის ძმა, ხოლო ბინა, რომელშიც ცხოვრობს მოსარჩელე, არის მისი საკუთრება. აღნიშნული ბინა აჩუქა დედის მხრიდან ბებიამ გათხოვების შემდეგ, თუმცა საჯარო რეესტრის ამონაწერში უფლების დამდგენ დოკუმენტად მითითებულია ნასყიდობის ხელშეკრულება. ხსენებული ბინა ბებიამ სახელმწიფოსგან მიიღო სიმბოლურ ფასად. თვითონ მეუღლესთან და შვილებთან ერთად ცხოვრობს იმავე შენობაში. მას შემდეგ, რაც ბინა გახდა მისი საკუთრება, მოსარჩელისთვის ქირა არ მოუთხოვია და არც ითხოვს, ვინაიდან არის მისი ბიძა დედის ძმა, თუმცა როდესაც მას ჰქონდა ფი-

ნანსური საშუალება და ამჟამადაც როდესაც აქვს საშუალება, მიუღია მისგან ქირის თანხა. ის არ აპირებს ბიძას მოსთხოვოს ბინის დატოვება, თუმცა საცხოვრებელი ფართის საჭიროება ოჯახში აქვთ.

ამრიგად, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით და მხარეთა ახსნა-განმარტებებით ვერ დადასტურდა პ. ბ-ას დაუყოვნებლად გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის აუცილებლობა, რადგან ის ცხოვრობდა მისი დისშვილის საკუთრებაში, რომელიც 2014 წლის მარტამდე იყო მისი დედის საკუთრება. აგრეთვე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მესაკუთრე – ნ. ე-ა არ აპირებდა მოსარჩელის გამოსახლებას ხსენებული ბინიდან.

ამასთან, მოსარჩელე მხარის მიერ სასამართლოში არ იყო წარმოდგენილი რაიმე სახის სათანადო მტკიცებულება, რომელიც ზემოთ აღნიშნული მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს უარყოფდა ან/და გააქარწყლებდა, რის გამოც სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობდა მისი, ქულთა მიუხედავად, კრიტერიუმების გარეშე, დაუყოვნებლად გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის, ზემოთ აღნიშნული ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პ. ბ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 სექტემბრის განჩინებით პ. ბ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებები, მიუთითა მათზე და დამატებით განმარტა, რომ დევნილთა ოჯახებს გააჩნიათ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლება. მოცემული უფლების რეალიზაცია კი დაკავშირებულია, ერთი მხრივ, დევნილის სტატუსის ქონასთან, მეორე მხრივ კი, დევნილთა ოჯახის შეფასების შედეგებთან. კერძოდ, უფლებამოსილი პირის მიერ ხდება დევნილთა ოჯახის გადამოწმება, შეფასება, კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად ქულათა

მინიჭება. სწორედ მინიჭებული ქულების ოდენობაზე არის დამოკიდებული ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრისით დაკმაყოფილების რიგითობის, პრიორიტეტულობის განსაზღვრა, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, მათ შორის იმ შემთხვევაში, თუ შენობა, რომელშიც დევნილი ოჯახი ცხოვრობს წარმოდგენს ნგრევად საშიშს, ამ ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ოჯახის უსაფრთხოების მიზნით განხორციელდება მინიჭებულ ქულათა მიუხედავად, კრიტერიუმების გარეშე.

ამასთან, სააპელაციო პალატამ მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტთან დაკავშირებით მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის ავტორის მითითება, რომ იგი იძულებულია დატოვოს დისშვილის საკუთრება და გადავიდეს სხვაგან, ვინაიდან იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მესაკუთრე – ნ. ე-ა არ აპირებდა აპელანტის გამოსახლებას სხენებული ბინიდან და ამის გამო აპელანტი იძულებული იყო დაეტოვებინა სახლი, საქმეში არ იყო წარმოდგენილი. პალატამ ხაზი გაუსვა თავად ნ. ე-ას მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაფიქსირებულ ახსნა-განმარტებას, სადაც მან მიუთითა, რომ, მართალია, აქტე საცხოვრებელი ფართის საჭიროება, თუმცა არ აპირებდა აპელანტის გამოსახლებას მის საკუთრებაში არსებულ ბინიდან. ამდენად, მოცემულ ეტაპზე არ არსებობდა აპელანტის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის გადაუდებელი საჭიროება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული მსჯელობით, რასაკვირველია, არ უარყოფდა და ეჭვის ქვეშ არ აყენებდა სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებას, საცხოვრებლით უზრუნველყოს ყველა დევნილი ოჯახი, მათ შორის, ის ოჯახები, რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ ალტერნატიულ საცხოვრებელზე ან გააჩნიათ საკუთარი საცხოვრებელი და დაადასტურა პ. ბ-ას, როგორც დევნილი პირის, უფლება დაკმაყოფილდეს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ალტერნატიული საცხოვრებელი და თავშესაფარი გააჩნია, თუმცა აღნიშნა, რომ ქვეყანას, მატერიალური და ფინანსური რესურსების მოცულობიდან და ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, არ გააჩნია შესაძლებლობა ყველა დევნილი ოჯახი ერთბაშად უზრუნველყოს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით. ამდენად, კანონი გრძელვადიანი საცხოვრებლის მიღების მსურველ დევნილთა შორის აწესებს გარკვეულ რიგითობას, პრიორიტეტულობას, რათა პირველ რიგში მოახდინოს საცხოვრებლით უზრუნველყოფა იმ დევნილი ოჯახებისა, რომლებსაც არანაირი თავშესაფარი არ გააჩნიათ, რათა უზინარესად მოხდეს ყველაზე შეჭირვებული დევნილების თავ-

შესაფრით დაკმაყოფილება. ამდენად, პ. ბ-აზე უპირატესად, უფრო მცირეუფიანი ოჯახების დაკმაყოფილება განპირობებულ იქნა, აპელანტთან შედარებით, ამ უკანასკნელთა განსახლების მომეტებული საჭიროების გათვალისწინებით. სააპელაციო პალატამ ხაზგასმით მიუთითა, რომ ეჭვის ქვეშ არ იდგა ის ფაქტი, რომ აპელანტი სახელმწიფოსაგან საცხოვრებელი ფართით დასაკმაყოფილებელია, თუმცა მას ეკისრება თმენის ვალდებულება, დაელოდოს თავის რიგს და რიგითობის გათვალისწინებით, მიიღოს საცხოვრებელი ფართი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა პ. ბ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი უკანონოდ და უსაფუძვლოდ მიიჩნევს სადავო ბრძანებაში მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობაზე მითითებას და აღნიშნავს, რომ ასეთ დათქმას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესი“ არ შეიცავს და გადაწყვეტილების მიღებისას კონკრეტული დევნილი ოჯახის საჭიროებების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად დადგენილი ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე ან საგამონაკლისო წესით გადაუდებელი აუცილებლობისას კრიტერიუმების გარეშე, რაც მოცემულია №6 და №7 დანართებში. გადაუდებელი საჭიროებები რეგულირდება „წესის“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტით, რომელიც ადგენს გამონაკლისებს საერთო წესიდან, კრიტერიუმების გარეშე დევნილთათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის მკაფიოდ და მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებს. რაიმე დამატებით, მით უფრო, სუბიექტური შეფასების შესაძლებლობას „წესი“ არ შეიცავს. კასატორისთვის გაუგებარია ქულათა არსებობა, თუკი საჭიროების პრიორიტეტულობა შესაძლებელია შეფასდეს ქულათა გვერდის ავლით, დამატებითი, კანონით შემოუფარგლავი და არაგანჭვრეტადი სუბიექტური მოსაზრებით.

ამასთან, კასატორი არარელევანტურად მიიჩნევს მოცემულ სამართალურიერთობაში „თმენის ვალდებულების“ სამართლებრივი ცნების შემოტანას და მის გავრცელებას სახელმწიფოს სოციალურ ვალდებულებებზე. კასატორის მითითებით, დევნილთა ღირსეული საცხოვრისი უზრუნველყოფის ვალდებულება იმპერატი-

ული ხასიათისაა ყოველგვარი დათქმის გარეშე.

კასატორი მიუთითებს, რომ ამჟამად სახელმწიფო სექტორის ბინების დევნილებზე პრივატიზაცია ან მათგან დევნილების გამოსახლება-განსახლება პრაქტიკულად დამთავრებულია. დასაკმაყოფილებელ დევნილთა აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვრობს კერძო სექტორში (ყოფილი სახელმწიფო შენობები, რომელთა პრივატიზაცია მოახდინეს მესამე პირებმა, ახლობლების, ნათესავების ბინებში ან ქირით).

საკასაციო საჩივრის მიხედვით, პ. ბ-ა აფხაზეთის ომში მიღებული ჭრილობის გამო არის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვის შუამდობით (II ჯგუფის ომის ინვალიდი), ასევე სოციალურად დაუცველი ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულით, ომის ვეტერანი, რაც საცხოვრისის ხარისხზე არანაკლებ მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორებია, რაც ფასდება იმავე რაოდენობის ქულებით (1-3-მდე) და მოსარჩელეს ამ კრიტერიუმებში აქვს შესაბამისად 2 და 3 ქულა. კასატორის მითითებით, დევნილის სხვის საკუთრებაში ცხოვრების შეფასებისას არავითარი მნიშვნელობა აქვს დევნილი ოჯახი ცხოვრობს ქირით თუ ქირის გარეშე და ფასდება ერთნაირად – 1,5 ქულით.

ამასთან, კასატორის მითითებით, სადავო არ არის ის გარემოება, რომ №39 სხდომის ოქმის მიხედვით, 143 ერთთახიანი ბინის განაწილების მიზნით განხორციელდა 168 განაცხადის მონიტორინგი, რომელთაც წინასწარი შეფასებით მიენიჭათ 6 და მეტი ქულა. კასატორის მოსაზრებით, მისი ბინით უზრუნველყოფის საკითხი უნდა განხილულიყო და გადაწყვეტილიყო მხოლოდ ქულათა ჯამის მეტობის პრიორიტეტის, ხოლო თანაბარ ქულათა შემთხვევაში კენჭისყრის წესით. იგი უკანონოდ და უსამართლოდ გამოირიცხა 8-ქულიანი პრეტენდენტებიდან და ასევე მასთან შედარებით უკანონოდ მიენიჭათ უპირატესობა 3-6 ქულიან დევნილ ოჯახებს.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლო ასევე არასწორად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ნ. ე-ა არ აპირებს ბიძას მოსთხოვოს ბინის დატოვება. კასატორის მოსაზრებით, ასეც რომ არ იყოს, აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას არავითარი კავშირი არ აქვს დავის გადაწყვეტასთან, ვინაიდან, თუ დისშვილი არ ასახლებს სოციალურად დაუცველ, ომის მონაწილე, ომში მიღებული ჭრილობების გამო შუამდობით პირის სტატუსის მქონე ბიძას, ეს სახელმწიფოს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან და არ წარმოადგენს საპატიო მიზეზს დევნილის გრძელვადიანი საცხოვრისით დაკმაყოფილების შესახებ.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართვე-

ლოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 18 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული პ. ბ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 29 სექტემბრის განჩინებით პ. ბ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაიწყო მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ პ. ბ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც პ. ბ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი განამტკიცებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, რომლის შესაბამისად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო, რომელიც ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრია დევნილთა მიმართ, შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს დევნილთა ღირსეული განსახლებისათვის აუცილებელი პირობები. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა გადაწყვეტილება მხოლოდ გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად უნდა მიიღოს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე – პ. ბ-ა არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი. სახელმწიფოსგან მას ფართი არ მიუღია. დევნილობის პერიოდში ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილას. 2010 წლიდან დღემდე ცხოვრობს დისშვილის – ნ. ე-ას კუთვნილ ბინაში. პ. ბ-ა იძულებით გადაადგილებამდე ცხოვრობდა სოხუმში, ხოლო დროებით საცხოვრებელ ადგილად მითითებულია – საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალო, ...ის 4მ/რ, კორპ. 28 „ა“ (ყოფილი ს/ბალი), I სართული. პ. ბ-ა არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი (მონაწილის №...). სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერის მიხედვით, 2016 წლის 5 აპრილის მდგომარეობით პ. ბ-ას ოჯახი შედგება 1 წევრისაგან – პ. ბ-ა; ოჯახის სარეიტინგო ქულაა 12660; დეკლარაციის შევსების თარიღი – 16.06.2016 წელი; ქულის მინიჭების თარიღი – 19.09.2016 წელი.

დადგენილია, რომ მოსარჩელე პ. ბ-ამ 2016 წლის 5 აპრილს განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ითხოვა მისთვის, როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის გადაცემა. საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის შეფასების ელექტრონული ფორმის მიხედვით, განაცხადი კრიტერიუმების მიხედვით შეფასდა 8 ქულით (1.50 ქულა – საცხოვრებლის ფინანსური პირობები – ცხოვრობს ნათესავის/ახლობლის ბინაში ქირის გარეშე; 3 ქულა – სოციალური კრიტერიუმი – 30001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით; 2 ქულა – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები „შშმპ“ – მნიშვნელოვნად გამოხატული; 1.50 ქულა – ომში მონაწილეობა – ომის ვეტერანი). სარეგისტრაციო ნომერზე არის მარტო, განაცხადს აკეთებს მარტო. ვერიფიკაციის გადაგზავნის დრო – 2018 წლის 10 იანვარი, ვერიფიკაციის დასრულება – 2018 წლის 20 მარტი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის სხდომის №39 ოქმით პ. ბ-ას ოჯახს საცხოვრებელი დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი – „ამ ეტაპზე განსახლება გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენს 2010 წლიდან დისშვილის საკუთრებაში ცხოვრების გამო“.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენ-

ტოს 2019 წლის 14 ნოემბრის №04-1736/ო ბრძანების კანონიერება, რომლითაც პ. ბ-ას, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №39), იმ ეტაპზე განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის გამო უარი ეთქვა ქ. თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე. მოსარჩელე ითხოვს სააგენტოსთვის მისი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძველებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი. დევნილთა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ გარანტიას ქმნის დევნილის უფლება გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, რაც მითითებული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გულისხმობს დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემას ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფას. ამასთან, დევნილთა განსახლების საკითხის გადაწყვეტის კონკრეტულ პროცედურასა და წესს სადავო ბრძანების გამოცემის დროს ადგენდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი“ (დანართი №1), რომლის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა გულისხმობს ამ წესის შესაბამისად, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვას; სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემას იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებმაც 2019 წლის 1 იანვრამ-

დე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი სახლები/ბინები და აღნიშნული საცხოვრებელი სახლები/ბინები არის მათი ერთადერთი საკუთრება.

დასახელებული „წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-5 მუხლებით გათვალისწინებული გადანაცვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დევნილთა საჭიროებების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით განისაზღვრება, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, რა რიგითობით მოხდება საცხოვრებელი ფართის შეთავაზება, კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის შესყიდვა და იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნით ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა.

ამდენად, დევნილ ოჯახებს გააჩნიათ გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის უფლება, რომლის რეალიზაცია დაკავშირებულია, ერთი მხრივ, დევნილის სტატუსის ქონასთან, მეორე მხრივ, დევნილი ოჯახის შეფასების შედეგებთან. კერძოდ, უფლებამოსილი პირის მიერ ხდება დევნილი ოჯახის გადამოწმება, შეფასება, კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად ქულათა მინიჭება. აღნიშნული მიზნად ისახავს როგორც სახელმწიფოს მიერ დევნილთა მიმართ ნაკისრი ვალდებულებების ეტაპობრივ შესრულებას, სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობიდან და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე, ასევე თავდაპირველად ისეთი დევნილების უფლებების დაცვასა და განსახლებას, რომლებიც განსაკუთრებით, სხვებზე მეტად საჭიროებენ სახელმწიფოს დახმარებას. სწორედ დევნილი ოჯახისთვის მინიჭებული ქულების რაოდენობაზე დამოკიდებული დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი დაკმაყოფილების რიგითობის, პრიორიტეტულობის განსაზღვრა.

ამასთან, „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი კრიტერიუმების გარეშე, დევნილი ოჯახისათვის პრიორიტეტის მინიჭების პირობებს ითვალისწინებს და განსაზღვრავს იმ დევნილი ოჯახების კატეგორიებს, რომელთა მიმართაც, ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პრო-

ცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. ამდენად, ზოგადი წესის მიხედვით, სახელმწიფოს ვალდებულება – უზრუნველყოს დევნილი ოჯახი გრძელვადიანი საცხოვრებლით, ხორციელდება კრიტერიუმების საფუძველზე, საჭიროებათა პრიორიტეტულობის პრინციპით, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კერძოდ, მითითებული „წესის“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ დევნილ ოჯახებთან მიმართებაში, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ხორციელდება მინიჭებულ ქულათა მიუხედავად, კრიტერიუმების გარეშე. „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევები წარმოადგენს ზოგადი წესისგან საგამონაკლისო შემთხვევებს, რა დროსაც დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ხდება კრიტერიუმების გარეშე, ქულათა ოდენობის მიუხედავად, რაც არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ მნიშვნელობა დაეკარგოს „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესით“ განერილი პროცედურის გავლის საჭიროებას, რომლითაც კრიტერიუმების საფუძველზე განსაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. გარკვეული კატეგორიის დევნილი ოჯახებისთვის პრიორიტეტის მინიჭებამ არ უნდა ხელყოს და გაურკვეველ გარემოებებს არ უნდა დაუქვემდებაროს მოსარჩელის, როგორც დევნილის უფლება კრიტერიუმების საფუძველზე, მისთვის მინიჭებული ქულების შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნეს გრძელვადიანი საცხოვრებლით.

შესაბამისად, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სადავო სამართალურთიერთობის ამგვარი შეფასებით უგულებელყოფილია „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესით“ განერილი პროცედურის გავლისა და შესაბამისი პროცედურის საფუძველზე დევნილი ოჯახისთვის მინიჭებული ქულების მნიშვნელობა. საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ ქვეყანას, მატერიალური და ფინანსური რესურსების მოცულობიდან და ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, არ გააჩნია შესაძლებლობა ყველა დევნილი ოჯახი ერთბაშად უზრუნველყოს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით და მიუთითებს, რომ სწორედ აღნიშნული მიზეზით, კანონი გრძელვადიანი საცხოვრებლის მიღების მსურველ დევნილთა შორის აწესებს გარკვეულ რიგითობას, პრიორიტეტულობას, რასაც ემსახურება კრიტერიუმების საფუძველზე დევნილი ოჯახისთვის შესაბამისი ქულის მინიჭება.

ამასთან, საყურადღებოა, რომ მოსარჩელის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე უარის საფუძველი გახდა არა ზემოაღნიშნული „ნესის“ შესაბამისად მინიჭებულ ქულათა ნაკლებობა, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება, ამ ეტაპზე მოსარჩელის გადაუდებელი განსახლების საჭიროების არარსებობის შესახებ, რასაც არ ეთანხმება საკასაციო სასამართლო და მიუთითებს, რომ დროებით, აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, სხვის საკუთრებაში არსებული ფართით სარგებლობის შესაძლებლობა არ გამოირიცხავს მოსარჩელის უფლებას, როგორც დევნილი ოჯახი განსახლებულ იქნეს ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესით, მოცემულ ეტაპზე არსებული კრიტერიუმების შესაბამისად და არა სხვა რომელიმე ეტაპზე. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს ხელი მიუწვდებოდა ალტერნატიულ საცხოვრებელზე, მისი დისშვილის ბინაზე, რის გამოც განსახლების გადაუდებელი საჭიროება არ არსებობდა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დროებით საცხოვრებელში ცხოვრება, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული საცხოვრებელი ნათესავს ეკუთვნის, არ იძლევა შესაძლებლობას ზუსტად იქნეს დადგენილი, რამდენად აქვს მოსარჩელეს ხსენებულ საცხოვრებელში ცხოვრების შეუზღუდავი შესაძლებლობა, ასეთი დასკვნის გაკეთება კი განსაკუთრებით რთულია აღნიშნული ფართით შეუზღუდავი სარგებლობის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრის კუთხით, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელისთვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმას იმ მოტივით, რომ არ არსებობდა გადაუდებელი განსახლების საჭიროება დევნილი ოჯახის სხვა პირის საკუთრებაში ცხოვრების გამო (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.03.2021წ. №ბს-1129(კ-20), 23.12.2021წ. №ბს-900(კ-21), 13.01.2022წ. №ბს-946(კ-21), 10.03.2022წ. №ბს-1013(კ-21), 19.05.2022წ. №ბს-244(კ-22), 21.07.2022წ. №ბს-147(კ-22) განჩინებები).

განსახილველ შემთხვევაში საქმეში დაცული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის №39 სხდომის ოქმით დასტურდება, რომ ერთოთახიანი ბინებით დაკმაყოფილდნენ ის დევნილი ოჯახები, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ 6 და მეტი ქულა. პ. ბ-ასთან მიმართებით კი, მიუხედავად მინიჭებული 8 ქულისა, ნათესავის საკუთრებაში არსებული ფართით დროე-

ბითმა სარგებლობამ, რატომ გამოიჩინა მისი ოჯახის მინიჭებულ ქულათა შესაბამისად დაკმაყოფილების შესაძლებლობა, ვერ იქნა სათანადოდ დასაბუთებული. მოსარჩელის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის საფუძველი გახდა ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება, ამ ეტაპზე მოსარჩელის გადაუდებელი განსახლების საჭიროების არარსებობის შესახებ, რაც არ იზიარებს საკასაციო სასამართლო, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მითითება მასზედ, რომ პ. ბ-ზე უპირატესად, უფრო მცირე ქულიანი ოჯახების დაკმაყოფილება განპირობებულ იქნა, პ. ბ-ასთან შედარებით, ამ უკანასკნელთა განსახლების მომეტებული საჭიროების გათვალისწინებით, არ დასტურდება არც სადავო აქტით და არც საქმის მასალებით. ვერ დგინდება, რომ ერთოთახიანი ბინები განაწილდა სწორედ იმ ოჯახებზე, რომელთა მიმართაც, „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილი იყო პრიორიტეტი მიენიჭებინა და კრიტერიუმების გარეშე განეხორციელებინა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისთვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. საქმის გარემოებათა იდენტიფიკაციის შემთხვევაში სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისა. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც ის გამოიყენა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციული აქტით მიყენებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არ არის შეუზღუდავი და ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ფაქტობრივი გარემოებები, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა და

ამის საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არსებითია, მმართველობითი საქმიანობა იყოს ეფექტური და ეფუძნებოდეს თითოეული პირის რეალურ, ინდივიდუალურ ინტერესს. დაუშვებელია მმართველობითი ორგანოები ხელოვნური, უსაფუძვლო ბარიერების შექმნის გზით აფერხებდნენ ან ხელს უშლიდნენ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების წარმოშობასა და რეალიზაციას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ბრძანებით პ. ბ-ას გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარი ამ ეტაპზე განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის გამო დასაბუთებული არ არის, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმეში დაცული დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის №39 სხდომის ოქმით დასტურდება, რომ ერთოთახიანი ბინებით დაკმაყოფილდნენ ის დევნილი ოჯახები, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ 6 და მეტი ქულა, ხოლო მოსარჩელის ოჯახს მინიჭებული აქვს 8 ქულა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დაყრდნობოდა პრიორიტეტულობის პრინციპს და გადაწყვეტილება მიეღო მოსარჩელის ოჯახისთვის მინიჭებული ქულების საფუძველზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ, სადავო აქტის გამოცემისას არ გაითვალისწინა „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის იმპერატიული მოთხოვნა, რომელიც მას პრიორიტეტულობის პრინციპის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას ავალდებულებდა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პ. ბ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც პ. ბ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, ბათილად იქნეს ცნობილი „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 14 ნოემბრის №04-1736/ო ბრძანება და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს პ. ბ-ას გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. პ. ბ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. პ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 14 ნოემბრის №04-1736/ო ბრძანება და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და სარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს პ. ბ-ას გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სახელმწიფოსგან დევნილთა კომპენსირებულად
მიჩნევის თაობაზე აქტის კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-776(კ-22)

12 იანვარი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 22 აგვისტოს ი. წ-ამ და ი. შ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, არიან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები. 1993 წლიდან მშობლებთან ერთად ცხოვრობდნენ ქ. ბათუმში, კომპაქტურად ჩასახლების ობიექტში, სასტუმრო „მ...ში“. ი. შ-ა 1998 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა რუსეთში, სადაც დაქორწინდა ვ. შ-აზე, ცხოვრობდა ქ. როსტოვში 2006 წლის ოქტომბრამდე. ი. წ-ა 2001 წელს გახდა სტუდენტი და გადავიდა ქ. ფოთში, სადაც 2004 წლის 27 იანვარს დაქორწინდა პ. ქ-იზე. შესაბამისად, მოსარჩელე – ი. წ-ა 2001 წლიდან აღარ წარმოადგენდა ქ. ბათუმში, სასტუმრო „მ...ში“ მშობლებთან ერთად მცხოვრებ პირს. ი. წ-ა მეუღლესთან – პ. ქ-თან ერთად ცხოვრობდა შემდეგ მისამართზე – ქ. ფოთი, ...ის ქ. ი. წ-ას შეეძინა ორი შვილი: მ. ქ-ი (დაბადებული ...წ.) და მ. ქ-ი (დაბადებული ...წ.). მოსარჩელეთა მითითებით, დაოჯახების შემდგომ, ცალკე ოჯახებს წარმოადგენდნენ, შესაბამისად, ისინი არ მიეკუთვნებოდნენ მამის – ჟ. წ-ას ოჯახს. ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩეულები მიიჩნია კომპენსირებულ პირებად, რადგან 2006 წლის 28 მარტს სასტუმრო „მ...ში“ მოკავებული ფართის სანაცვლოდ მოსარჩეულების დედა – ზ. წ-ა დაკმაყოფილდა ფულადი კომპენსაციით. სახელმწიფოს მი-

ერ კომპენსაციით დაკმაყოფილების პერიოდში ზ. ნ-ას ოჯახის წევრები იყვნენ მხოლოდ მეუღლე – ჟ. ნ-ა და შვილი – ა. ნ-ა. მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით მათი ინფორმირება არ მომხდარა და არც რაიმე სახის დოკუმენტაციაზე მოუწერიათ ხელი. მოსარჩელეთა განმარტებით, სამინისტრომ ყოველგვარი შემონმების გარეშე ჩათვალა ისინი სახელმწიფოსაგან უზრუნველყოფილად, რაც მათი მოსაზრებით, მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან უხეშად დაირღვა მათი უფლებები.

ამდენად, მოსარჩელებმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2018 წლის 29 მაისის №01-02/08/12971 და №01-02/08/12972 წერილების (დევნილთა ფულადი თანხით კომპენსირებულად მიჩნევის შესახებ), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 19 ივლისის №05-01/06/16030 და №05-01/06/16031 წერილების (ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის თაობაზე) ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის მოსარჩელების – ი. შ-ას და ი. ნ-ას დევნილი ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების სტატუსის მოხსნის დავალება და საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნით აპლიკაციის შევსების შესაძლებლობის მიცემა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 20 მაისის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 მაისის განჩინებით №3/5374-18 ადმინისტრაციულ საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირად ჩაება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 მაისის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე №3/5374-18, მოსარჩელები – ი. ნ-ა, ი. შ-ა, მოპასუხე – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, ინდივიდუალური ად-

მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოთი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი. ნ-ასა და ი. შ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ, ი. ნ-ას და ი. შ-ას (სახელ-გვარის შეცვლამდე – დ. ნ-ა) სახელზე გაცემულია დევნილის მოწმობები. აღნიშნული მოწმობებით დგინდება, რომ ისინი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2018 წლის 29 მაისის №01-02/08/12971 და №01-02/08/12972 წერილებით ი. შ-ას და ი. ნ-ას კანონიერ წარმომადგენელს – ჟ. ნ-ას ეცნობათ, რომ სამინისტროს დევნილთა მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის მიხედვით, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ოჯახს, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, მიღებული აქვთ საცხოვრებელი ფართის სანაცვლო ფულადი კომპენსაცია. ამავე წერილებით ეცნობათ, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 თებერვლის N240 განკარგულების შესაბამისად, „დევნილთა ოჯახები, რომლებსაც სახელმწიფოს ან კერძო ინვესტორის მიერ, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე მიღებული აქვს საცხოვრებელი ფართი ან/და საცხოვრებელი ფართის სანაცვლო ფულადი კომპენსაცია, ჩაითვლებიან სახელმწიფოს მიერ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ფარგლებში დაკმაყოფილებულად და მათი ხელახლა დაკმაყოფილების საკითხი სახელმწიფოს მიერ აღარ განიხილება“.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 1 ივლისის №03/11659 წერილით დგინდება, რომ ი. ნ-ას და ი. შ-ას კომპენსირებულად მონიშვნის საფუძველია სამინისტროში/სააგენტოში შესული აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2009 წლის 12 თებერვლის №722 წერილი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

2018 წლის 19 ივლისის №05-01/06/16030 და №05-01/06/16031 წერილებით ი. შ-ას და ი. ნ-ას წარმომადგენელს – ჟ. ნ-ას სამინისტროში 2018 წლის 20 ივნისს წარდგენილი საჩივრის პასუხად ეცნობა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, არ განიხილავდა წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს, ვინაიდან გასული იყო ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 4 ივლისის №01-01/07/17502 წერილით დგინდება, რომ სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციით ჟ. ნ-ას და მისი ოჯახის წევრებზე გაცემულია საკომპენსაციო თანხა, აჭარის ა/რ სასტუმრო „მ...ს“ №... ოთახის განთავისუფლების სანაცვლოდ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2018 წლის 13 მარტის №01-01/07/7763 წერილით დგინდება, რომ სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციით, 2006 წლის მდგომარეობით, ჟ. ნ-ას სარეგისტრაციო ნომერზე (...) ფიქსირდებოდნენ: ზ. ნ-ა, ა. ნ-ა, ი. შ-ა, თ. შ-ა, ი. ნ-ა და დ. ნ-ა (აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 12.02.09 წ. №722 წერილის საფუძველზე).

დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 6 ივლისის №01-01/06-6267 და №01-01/06-6268 წერილებით დგინდება, რომ სამინისტროს მონაცემთა ბაზის მიხედვით ი. ნ-ა და ი. შ-ა 1996 წლიდან დევნილად დამისამართებულნი იყვნენ ქ. ბათუმში მდებარე „სასტ. მ...ში“. 2012 წლის ივნისის თვის ჩათვლით, ი. შ-ა მონაცემთა ბაზაში ფიქსირდებოდა – დ. ნ-ას გვარ-სახელით. აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2009 წლის 12 თებერვლის №722 წერილის საფუძველზე ერთ სარეგისტრაციო ნომერზე მყოფ (...) ზ. ნ-აზე, ა. ნ-აზე, ჟ. ნ-აზე, ი. შ-აზე (დ. ნ-ა), თ. შ-აზე, ი. ნ-აზე და მ. ქ-იზე გაცემულია საკომპენსაციო თანხა, აჭარის ა/რ სასტუმრო „მ...“ ოთახი №...-ის განთავისუფლების სანაცვლოდ.

სს „ა...ის“ დირექტორის 2021 წლის 28 ივლისის წერილით დგინდება, რომ ი. ნ-ა და დ. ნ-ა ფიქსირდებიან სასტუმრო „მ...ში“ საოჯახო ნომრით – ... და ფართის გამოთავისუფლების სანაცვლოდ, მითითებულ საოჯახო ნომერზე თანხა მინდობილობით 2006 წლის 28

მარტს აღებული აქვს ზ. ნ-ას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებულ „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესზე“, რომელიც ადგენს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, მე-4 მუხლის „ლ“, „ნ“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტების, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 თებერვლის №2566 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2017-2018 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ (შემდგომში – სამოქმედო გეგმა) შესაბამისად, დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების წესს.

მითითებული წესის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, დევნილი ოჯახი განიმარტება, როგორც განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი), რომელიც სამოქმედო გეგმის შესაბამისად არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით ან ერთჯერადი ფულადი დახმარებით დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში. ამავე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად კი, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა არის ამ წესის შესაბამისად, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვა; სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებმაც 2018 წლის 1 იანვრამდე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი სახლები/ბინები და აღნიშნული საცხოვრებელი სახლები/ბინები არის მათი ერთადერთი საკუთრება.

სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის მიხედვით, თუ დევნილი ოჯახი უზრუნველყოფილია გრძელვადიანი საცხოვრებლით, სახელმწიფოს ეხსნება დევნილის ან მისი ოჯახის წევრთა პირდაპირი დამავალი შტოს შთამომავლების საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების ვალდებულება, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე. ანალოგიურ დათქმას ითვალისწინებს ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩევეების ოჯახზე გაცემულია საკომპენსაციო თანხა და სახელმწიფოს მხრიდან ერთხელ დაკმაყოფილებულია დევნილი, განმეორებით მათი უზრუნველყოფა ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე, 180-ე, 182-ე მუხლებზე მითითებით კანონიერად მიიჩნია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 19 ივლისის №05-01/06/16030 და №05-01/06/16031 წერილები. სასამართლო მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც სამინისტროს 2017 წლის 4 ივლისის №01-01/07/17502 და 2018 წლის 13 მარტის №01-01/07/7763 წერილებით ი. შ-ასთვის, ი. წ-ასთვის და მათი ოჯახისათვის ცნობილი იყო ინფორმაცია მათი საკომპენსაციო თანხით დაკმაყოფილების შესახებ, მათ მიერ 2018 წლის 20 ივნისის საჩივარი წარდგენილია ზემოაღნიშნული კანონის დარღვევით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ი. შ-ამ და ი. წ-ამ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 აპრილის განჩინებით ი. წ-ას და ი. შ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვე-

ვაში სადავო საკითხის მართებულად გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა იმის დადგენა თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს კომპენსირებულ პირებად მოსარჩელები – ი. ნ-ა და ი. შ-ა, როგორც ზ. ნ-ასთან ერთად აჭარის ა/რ სასტუმრო „მ...ს“ №... ოთახში მცხოვრები დევნილი პირები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, დევნილის რეგისტრაციის ადგილი არის სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში აღნიშნული დევნილის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი დევნილობის პერიოდში დარეგისტრირდა, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა. ამავე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად კი, დევნილის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი არის დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი რეგისტრაციის გარეშე ფაქტობრივად ცხოვრობს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ აპელანტების მიერ ვერ იქნა დაძლეული მტკიცების ტვირთი, კერძოდ ვერ დადასტურდა ის გარემოება, რომ ი. ნ-ა და ი. შ-ა საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტისათვის არ იყვნენ ზ. ნ-ას ოჯახის წევრები და ფაქტობრივად არ ცხოვრობდნენ სასტუმრო „მ...ში“.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელების დედას – ზ. ნ-ას თანხა მიღებული აქვს 2006 წლის 28 მარტს შესაბამისად, ვინაიდან ხელშეკრულების დადების ნება გამოხატულია ოჯახის ერთ-ერთი წევრის, ოჯახის უფროსის მიერ, გულისხმობს, რომ მას ხელშეკრულების გაფორმებისას მიღებული აქვს ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობაც, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება რაიმე უკანონო სახის ზემოქმედება, რაც მას აიძულებდა მისი ნების საწინააღმდეგოდ ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე. შესაბამისად, ოჯახის სხვა წევრებიც ითვლებიან თანხის მიმღებად.

სამართლებრივი ნორმებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, პალატამ მიიჩნია, რომ ი. ნ-ა, ი. შ-ა იყვნენ ზ. ნ-ას ოჯახის წევრები, ისინი ცხოვრობდნენ ერთად და ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, მხოლოდ ის ფაქტი, რომ დევნილობის შემდგომ გარკვეული პერიოდი აღარ აქვთ საერთო საცხოვრებელი ადგილი, არ ქმნის ი. ნ-ას და ი. შ-ას არაკომპენსირებულად მიჩნევის სამართლებრივ საფუძველს. სააპელაციო პალატამ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთე-

ლობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 19 ივლისის №05-01/06/16030 და №05-01/06/16031 წერილების კანონიერებასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს თუ გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა. პალატამ მიიჩნია, რომ სამინისტროს 2017 წლის 4 ივლისის №01-01/07/17502 და 2018 წლის 13 მარტის №01-01/07/7763 წერილებით ი. შ-ა, ი. ნ-ასთვის და მათი ოჯახებისთვის ცნობილი იყო ინფორმაცია მათი საკომპენსაციო თანხით დაკმაყოფილების შესახებ, რაც შესაძლოა გასაჩივრებულყოფიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ერთი თვის ვადაში.

ამდენად, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად გადაწყვიტა დავა, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება არსებითად შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც არ არსებობდა სადავო აქტების ბათილად ცნობის და ახალი აქტის გამოცემის დავალების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ი. ნ-ამ და ი. შ-ამ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორები მიიჩნევენ, რომ გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას. კასატორები მიუთითებენ „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესზე“, რომლის შესაბამისად, პირის დევნილი ოჯახის წევრად მიკუთვნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განცალკევებულ ფართზე მუდმივად ცხოვრების და ერთობლივი შინამეურნეობის ფაქტების დადგენას. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელების მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ისინი კომპენსაციის გაცემის დროისათვის არ ცხოვრობდნენ მშობლებთან ერთად. მოსარჩელები წარმოადგენდნენ ცალკე ოჯახებს სხვა ქალაქებში – როსტოვში და ფოთში. სამინისტრომ ისე განიხილა განცხადება, რომ არ გამოიკვლია ცხოვრობდნენ თუ არა მითითებული პირები ერთ ოჯახად კომპენსაციის გაცემის დროისათვის და არც სასამართლომ იმსჯელა აღნიშ-

ნულ საკითხზე.

კასატორები აცხადებენ, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლო-ებმა არასწორად მიიჩნიეს, რომ ი. ნ-ას და ი. შ-ას დევნილთა ოჯახებს სახელმწიფოსგან მიღებული აქვთ ფულადი კომპენსაცია და ითვლებიან უზრუნველყოფილად. აღნიშნული მსჯელობა ეწინააღმდეგება საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს და რეალურ ფაქტობრივ გარემოებებს. არცერთი მოსარჩელე კომპენსაციის გაცემის დროისთვის არ ცხოვრობდა ერთ ოჯახად კომპენსაციის მიმღებ პირებთან ერთად. ამ დროისათვის მათ უკვე შექმნილი ჰქონდათ დამოუკიდებელი ოჯახები და ცხოვრობდნენ ცალკე. კომპენსაციის თანხა 7 000 დოლარი აღებული აქვს კასატორების დედას – ზ. ნ-ას, რომელთან ერთად ცხოვრობდნენ მხოლოდ მისი მეუღლე – ჟ. ნ-ა და შვილი – ა. ნ-ა.

კასატორები ასევე არ იზიარებენ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას ადმინისტრაციული აქტების კანონიერებასთან დაკავშირებით, ხანდაზმულობიდან გამომდინარე. კასატორები მიიჩნევენ, რომ 2018 წლის 29 მაისის №01-012/08/12971, 01-02/08/12972 წერილების გასაჩივრების ვადა დარღვეული არ ყოფილა, რადგან ისინი გამოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული აქტების გასაჩივრება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შესაძლებელი იყო მათი გამოცემიდან ერთი წლის განმავლობაში. ამდენად, სასამართლომ უსაფუძვლოდ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ვადის დარღვევასთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ი. ნ-ას და ი. შ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 ნოემბრის განჩინებით ი. ნ-ას და ი. შ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწყო მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ნ-ას და ი. შ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმა-

ყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. წ-ასა და ი. შ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო უპირველესად მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა, რომ დაამკვიდრონ, მათ შორის სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა, როგორიცაა უბინაოდ დარჩენილი დევნილი ოჯახის სათანადო საცხოვრებელი უზრუნველყოფა კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ევროპის სოციალური ქართის 31-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს შესაბამისი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას, უბინაობის პრობლემების თავიდან აცილებასა და შერბილებას მისი თან-

დათანობით აღმოფხვრის მიზნით.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტის მე-11 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტილად იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ, რომ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობას, მიიღებენ სათანადო ზომებს ამ უფლების განხორციელების უზრუნველყოფისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოსარჩელეთა სახელმწიფოსგან კომპენსირებულად მიჩნევის და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრია დევნილთა მიმართ, კერძოდ ის სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად, ვალდებულია დევნილი ოჯახი უზრუნველყოს გრძელვადიანი საცხოვრებელით, შექმნას მათი ღირსეული განსახლებისთვის აუცილებელი პირობები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, რომლის მიხედვით, ეს კანონი განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/

და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

მითითებული კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილის რეგისტრაციის ადგილი არის სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში აღნიშნული დევნილის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი დევნილობის პერიოდში დარეგისტრირდა, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა. ამავე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, დევნილის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი არის დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი რეგისტრაციის გარეშე ფაქტობრივად ცხოვრობს. ამავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი კი ასევე ითვალისწინებს დევნილი ოჯახის ცნებას, რომლის მიხედვითაც, დევნილის ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი). ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის ცნებისთვის საჭიროა კუმულატიურად არსებობდეს ორი წინაპირობა – დევნილის სტატუსის მქონე განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე და ერთობლივად შინასამეურნეო საქმიანობის გაწევის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით (ძალადაკარგულია „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-306 ბრძანებით) დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დევნილი ოჯახი განიმარტება, როგორც განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი), რომელიც სამოქმედ-

დო გეგმის შესაბამისად არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით ან ერთჯერადი ფულადი დახმარებით დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ კომპენსაციის გაცემის დროს მოქმედი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 28 ივნისის კანონი და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტები დევნილი ოჯახის (მისი წევრების) ამგვარი სახის დანაწესს არ ითვალისწინებდა. თუმცა კანონის დღევანდელი რედაქცია ითვალისწინებს დევნილი ოჯახის განმარტებას, შესაბამისად იგი მოცემულ ურთიერთობაზეც უნდა გავრცელდეს.

ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა არის ამ წესის შესაბამისად, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვა; სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებმაც 2019 წლის 1 იანვრამდე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი სახლები/ბინები და აღნიშნული საცხოვრებელი სახლები/ბინები არის მათი ერთადერთი საკუთრება.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ დევნილი ოჯახი უზრუნველყოფილია გრძელვადიანი საცხოვრებელით, სახელმწიფოს ეხსნება დევნილის ან მისი ოჯახის წევრთა პირდაპირი დამავალი შტოს შთამომავლების საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების ვალდებულება, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე. ანალოგიური შინაარსის ჩანაწერს შეიცავს ასევე საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2566 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ 2.1.9 პუნქტი, რომლის თანახმად, დევნილი ოჯახები, რომლებსაც სახელმწიფოს ან კერძო ინვესტორის მიერ, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე მიღებული აქვთ საცხოვრებელი ფართი ან/და საცხოვრებელი ფართის სანაცვლო ფუ-

ლადი კომპენსაცია, ჩაითვლებიან როგორც სახელმწიფოს მიერ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ფარგლებში დაკმაყოფილებულად და მათი საცხოვრებელი ფართით ხელახლა დაკმაყოფილების საკითხი სახელმწიფოს მიერ აღარ განიხილება.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, თუ დევნილი ოჯახის ერთ-ერთი წევრი დაკმაყოფილდება საცხოვრებელი სახლით ან საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ კერძო ინვესტორის ან სახელმწიფოს მიერ გაცემული ერთჯერადი ფულადი დახმარებით ან რომელიმე უზრუნველყოფის ალტერნატიული ვარიანტით, იგი ჩაითვლება სახელმწიფოს მხრიდან კომპენსირებულად და მასზე რაიმე სახის დახმარება აღარ გაიცემა, თუმცა მნიშვნელოვანი კომპონენტია ერთ ოჯახად ცხოვრება.

ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს დევნილისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებების განხორციელებას, იღებს ზომებს მისი უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაქმნელად.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2018 წლის 29 მაისის №01-02/08/12971 და №01-02/08/12972 წერილებით, ი. შ.-ას და ი. წ.-ას კანონიერ წარმომადგენელს – ჟ. წ.-ას ეცნობათ, რომ სამინისტროს დევნილთა მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის მიხედვით, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ოჯახს, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, მიღებული აქვთ საცხოვრებელი ფართის სანაცვლო ფულადი კომპენსაცია. მხარეებს განემარტათ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მათი ოჯახის საცხოვრებელი პირობების ხელშეწყობა კანონმდებლობით გათვალისწინებული არ იყო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის მართებული გადაწყვეტისათვის არსებითია დადგინდეს, უნდა ჩაითვალოს თუ არა მოსარჩელები კომპენსირებულად 2006 წელს სასტუმრო „მ...ში“ დაკავებული ფართის გათავისუფლების სანაცვლოდ მიცემული თანხით. აღნიშნულთან დაკავშირებით, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ი. წ.-ას და ი. შ.-ას ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა მოსარჩელეთა დედის – ზ. წ.-ასთვის კომპენსაციის მიცემის მომენტისათვის (2006 წელს).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოება აგებულია შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის პრინციპებზე. მტკიცების ტვირთის უმეტესი ნაწილი სწორედ პროცესის მონაწილე მხარეებს აწევს. შესაბამისად, თავიანთი პოზიციების დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებების მითითება და მათი სათანადო მტკიცებულებებით გამყარება მხარეთა პროცესუალური მოვალეობაა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი უზრუნველყოფს როგორც მოსარჩელის, ასევე, მოპასუხის აქტიურ ჩართულობას და მონაწილეობას სამართალწარმოებაში. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც ეს აქტი გამოსცა. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ამტკიცოს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და მისი გამოცემით მოსარჩელის კანონით დაცული უფლებები არ დარღვეულა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლით გათვალისწინებულია საქმის ყოველმხრივ და სრულყოფილად გამოკვლევის ვალდებულება. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპი პროცესის მხარეებს, მით უფრო ადმინისტრაციულ ორგანოს, არ ათავისუფლებს მის მიერ მითითებული ფაქტების სათანადო მტკიცებულებებით დადასტურების ვალდებულებისაგან.

საკასაციო სასამართლო საგულისხმოდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში განვითარებულ მსჯელობაზე, კერძოდ, სარჩელის დაკმაყოფილების უარის საფუძვლად სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მითითებულ იქნა ის გარემოება, რომ მოსარჩელებების მიერ ვერ

იქნა დაძლეული მტკიცების ტვირთი, უფრო კონკრეტულად, ვერ იქნა დადასტურებული ის სადავო გარემოება, რომ მოსარჩელები არ იყვნენ ზ. ნ-ას ოჯახის წევრები და ფაქტობრივად არ ცხოვრობდნენ სასტუმრო „მ...ში“, საიდანაც ფართის გამოთავისუფლების სანაცვლოდ მიიღეს კომპენსაცია. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ დევნილობის შემდგომ დროის გარკვეულ პერიოდში ი. ნ-ას, ი. შ-ას და ზ. ნ-ას აღარ აქვთ საერთო საცხოვრებელი ადგილი, არ ქმნიდა მოსარჩელების არაკომპენსირებულ პირად მიჩნევის საფუძველს. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელები ვერ ამტკიცებდნენ 2006 წლის მდგომარეობით (კომპენსაციის ზ. ნ-აზე გაცემის მომენტიდან) სასტუმრო „მ...ში“ ფაქტობრივად არ ცხოვრობის ფაქტს. სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ი. ნ-ა, ი. შ-ა და ზ. ნ-ა იყვნენ ოჯახის წევრები, ცხოვრობდნენ ერთად და ეწოდნენ საერთო სამეურნეო საქმიანობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მართალია, ადმინისტრაციული ორგანო გასაჩივრებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2018 წლის 29 მაისის №01-02/08/12971 და №01-02/08/12972 წერილები) კანონიერების დამტკიცებას სწორედ მოსარჩელების სასტუმრო „მ...ში“ ცხოვრების ფაქტის დადასტურების გზით ცდილობდა, თუმცა, თავის მხრივ, წარმოდგენილი სარჩელი ეფუძნებოდა იმ გარემოების მტკიცებას, რომ მიუხედავად მოსარჩელეთა სასტუმრო „მ...ში“ რეგისტრაციისა, ისინი ფაქტობრივად სხვა მისამართზე ცხოვრობდნენ.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2018 წლის 29 მაისის №01-02/08/12971 და №01-02/08/12972 წერილები დაეფუძნა აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2009 წლის 12 თებერვლის №722 წერილს და სს „ა...ის“ დირექტორის 2021 წლის 28 ივლისის წერილს. აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2009 წლის 12 თებერვლის №722 წერილის თანახმად, ... სარეგისტრაციო ნომერზე მყოფ ზ. ნ-აზე, ა. ნ-აზე, ჟ. ნ-აზე, ი. შ-აზე (დ. ნ-ა), თ. შ-აზე, ი. ნ-აზე და მ. ქ-იზე გაცემულია საკომპენსაციო თანხა. სს „ა...ის“ დირექტორის 2021 წლის 28 ივლისის წერილით დგინდება, რომ ი. ნ-ა და დ. ნ-ა ფიქსირდებიან სასტუმრო „მ...ში“ საოჯახო ნომრით – ... და ფართის განთავისუფლების სანაცვლოდ, მითითებულ საოჯახო ნომერზე თანხა

მინდობილობით აღებული აქვს ზ. წ-ას, 2006 წლის 28 მარტს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მხოლოდ სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩათვალა მოსარჩელები სახელმწიფო-საგან კომპენსირებულად. მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დამატებით არ გამოუკვლევია ი. წ-ას, ი. შ-ას და ზ. წ-ას ერთ ოჯახად მიჩნევის საკითხი, მათ მიერ საერთო მეურნეობის წარმართვის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. შეჯიბრებითობა ნიშნავს მოდავე მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას განკარგონ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები, მტკიცებულებებს სასამართლოს მხარეები წარუდგენენ (სსკ-ის 103.1 მუხ.). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსთვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის თაობაზე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მოსარჩელეთა და კომპენსაციის მიმღები პირის – ზ. წ-ას ერთ ოჯახად ცხოვრების შესახებ. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებში არ არის დაცული უტყუარი მტკიცებულება მოსარჩელების კომპენსაციის გაცემის დროისთვის – 2006 წლის 28 მარტისთვის ქ. ბათუმში, „სასტ. მ...ში« ცხოვრების თაობაზე. ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში დაცული ქორწინების მოწმობით დასტურდება, რომ 1998 წლის 28 ნოემბერს, ქ. როსტოვში ი. ჟ.-ის ასული წ-ა დაქორწინდა ვ. შ-აზე. გვარის, სახელის, მამის სახელის შეცვლის შესახებ მოწმობით დგინდება, რომ 1999 წლის 16 ივნისს, ქ. როსტოვში დ. ჟ.-ის ასულმა წ-ამ შეიცვალა გვარ-სახელი და გახდა ი. ჟ.-ის ასული შ-ა. ქ. როსტოვში არსებული ჰოსპიტალის მიერ გაცემული საავადმყოფო ფურცლის ამონაწერის თანახმად, ი. ჟ.-ის ასული იმყოფებოდა სტაციონარულ მკურნალობაზე, ნეიროქირურგიის განყოფილებაში თავის ტვინის შერყევის დიაგნოზით, 2.02.2006 წლიდან – 10.02.2006 წლამდე. ქ. როს-

ტოვის საკონდიტრო საამქროს 23.06.2005 ცნობით, ი. ჟ.-ის ასული შ-ა 2005 წლის 1 იანვრიდან მუშაობდა შემფუთველად. ქ. როსტოვ-ში, ...ის 1 ქუჩის სახლი ...-ში მდებარე სახლის წიგნის ამონაწერით, ი. ჟ.-ის ასული შ-ა აღნიშნულ მისამართზე რეგისტრირებული იყო 06.04.2001წ-დან – 13.10.2006წ-მდე.

მეორე მოსარჩელეს – ი. წ-ას ცალკე ოჯახად მიჩნევისთვის წარმოდგენილი აქვს სსიპ აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ...ის დიპლომი, რომლითაც 2006 წელს ი. წ-ას მიენიჭა ...ბის ...ის აკადემიური ხარისხი. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ...ის უბანში, გაცემული 2017 წლის 4 აპრილის №175 ცნობით ი. წ-ა ცხოვრობს ქ. ფოთში, ...ის ქ. №...-ში, 2003 წლიდან – 2012 წლამდე და მისი ოჯახი შედგება შემდეგი წევრებისგან: შვილები – მ. ქ-ი – დაბ. 2005წ და მ. ქ-ი – დაბ. 2008წ. ცნობას საფუძვლად დაედო ჟ. წ-ას განცხადება და მეზობლების დასტური. საქმეში დაცული ქორწინების მოწმობით დგინდება, რომ ი. წ-ა 2004 წელს დაქორწინდა მა. ქ-იზე. საქმეში დაცული დაბადების მოწმობებით ასევე დგინდება, რომ ქ. ფოთში დაიბადნენ ი. წ-ას შვილები 2005 წელს – მ. ქ-ი, ხოლო მ. ქ-ი 2008 წელს. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. წ-ა დაოჯახების შემდგომ 2004 წლიდან აღარ განეკუთვნებოდა დედის – ზ. წ-ას ოჯახს, რადგან ფაქტობრივად ცხოვრობდა სხვა ქალაქში. რაც შეეხება მეორე მოსარჩელე – ი. შ-ას სახელმწიფოს მიერ კომპენსირების განხორციელებისას, იგი ასევე არ წარმოადგენდა დედის – ზ. წ-ას ოჯახის წევრს და მასთან ერთად ერთობლივი მეურნეობის წარმართველ პირს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელები დაოჯახების შემდგომ აღარ წარმოადგენდნენ ზ. წ-ას ოჯახის წევრებს, არამედ სხვა ქალაქებში საკუთარ მეუღლეებთან და შვილი/შვილებთან ერთად ეწეოდნენ საერთო მეურნეობას. შესაბამისად, 2006 წლის 28 მარტს, სასტუმრო მ...ში მდებარე №... ოთახის თანხის სანაცვლოდ კომპენსაციის მიღების დროისთვის ი. წ-ა და ი. შ-ა ზ. წ-ას ოჯახის წევრებს აღარ წარმოადგენდნენ. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების შედეგად დგინდება, რომ სამინისტროს წერილები მოსარჩელების კომპენსირებულად მიჩნევის შესახებ, ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს, პირდაპირ და უშაუალო ზიანს აყენებს მათ კანონიერ უფლებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ შეესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მოსარჩელებს შეუზღუდა სახელმწიფოსგან საცხოვრებლით დაკმაყოფილების კანონით გარანტირებული უფლება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო აქტებით – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 19 ივლისის №05-01/06/16030 და №05-01/06/16031 წერილებით მოსარჩელებს ეცნობათ, რომ მათ მიერ 2018 წლის 20 ივნისს წარდგენილი საჩივარი სამინისტროს მიერ არ იქნა განხილული, ხანდაზმულობის მოტივით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს მისთვის აქტის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნას. აქტის ოფიციალური გაცნობის სამართლებრივი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მხარე ადასტურებს მისი შინაარსის გაცნობას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს გასაჩივრების ვადის ათვლა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც პირს შეეძლება ობიექტური შესაძლებლობა – მიიღოს ინფორმაცია აქტის შინაარსის შესახებ. აქტის ოფიციალურად გაცნობით პირისთვის ცნობილი ხდება რა გახდა აქტის გამოცემის საფუძველი და შესაბამისად, ექნება თუ არა პერსპექტივა მის საჩივარს, აგრეთვე ის, თუ რა სამართლებრივი საშუალებებით შეძლებს თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს გადაწყვეტილებას (სუსგ 10.10.136. საქმე №ბს-854-836(კ-12) გადაწყვეტილება). საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისთვის ჩაბარებასთან დაკავშირებულ დავაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს. (სუსგ 19.02.2019 №ბს-1478 (კ-18)). საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტება გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ ან ეცნობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სასამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული არ არის ამავე კოდექსის 52.2

მუხლით დადგენილი წესის დარღვევის სამართლებრივი შედეგი, რაც საკანონმდებლო ხარვეზით უნდა აიხსას, რის გამოც საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართლის დოქტრინის საფუძველზე შესაძლებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პროცესზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლით დადგენილი წესის გავრცელება, რომლის მიხედვითაც, თუ მხარეს არ განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, გასაჩივრების ვადა და წესი, ან არასწორად განემარტა იგი, მაშინ გასაჩივრება შეიძლება აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-226-223(კ-14) 23.09.2014, №ბს-1433-1391(კ-08) 17.03.2009, №ბს-168-162(კს-09) 28.04.2009, განჩინებები).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა კომპენსირების თაობაზე მოსარჩელეთა ინფორმირებულობის დამადასტურებლად მიიჩნიეს სამინისტროს 2017 წლის 4 ივლისის №01-01/07/17502 და 2018 წლის 13 მარტის №01-01/07/7763 წერილები. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება ზემოხსენებულ მსჯელობას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით უტყუარად არ დასტურდება კანონმდებლობის იმპერატიული დანაწესის – ადმინისტრაციული აქტების (სამინისტროს წერილების) მოსარჩელეებისთვის ჩაბარება, შესაბამისად, არ დასტურდება მათი ძალაში შესვლა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ 2018 წლის 29 მაისის №01-02/08/12971 და №01-02/08/12972, 2017 წლის 4 ივლისის №01-01/07/17502 და 2018 წლის 13 მარტის №01-01/07/7763 წერილები არ შეიცავენ მითითებას მათი გასაჩივრების წესის თაობაზე. ინდივიდუალური აქტის ერთ-ერთი სავალდებულო რეკვიზიტის – გასაჩივრების წესის მიუთითებლობა, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას ზემოაღნიშნული აქტის გასაჩივრების მიმართ ანალოგიის წესით გავრცელოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ერთწლიანი ვადა. ვინაიდან მოსარჩელების მიერ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილია 2018 წლის 20 ივნისს, ჰიპოთეტურად 2017 წლის 4 ივლისის წერილის ჩაბარებულად ჩათვლის შემთხვევაშიც, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილია 1-წლიანი ვადის დაცვით. ამდენად, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს, ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტის სამინისტროს 2017 წლის 4 ივლისის №01-01/07/17502 და 2018 წლის 13 მარტის №01-01/07/7763 წერილებთან დაკავშირებას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელებს აღნიშნული წერილები სადავოდ არ გაუხდიათ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მას.

ზემოთ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებებიდან, სამართლებრივი ნორმებიდან და მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის გათვალისწინებით, სახეზეა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის წინაპირობები. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული აქტები გამოცემულია „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დავა სწორად არ არის გადაწყვეტილი. შესაბამისად, ი. ნ-ას და ი. შ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 აპრილის განჩინება და მიღებულ

იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ნ-ას და ი. შ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ი. ნ-ასა და ი. შ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ი. ნ-ას და ი. შ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებულთა და ლტოლვილთა სამინისტროს 2018 წლის 29 მაისის №01-02/08/12971 და №01-02/08/12972 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;

5. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 19 ივლისის №05-01/06/16030 და №05-01/06/16031 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;

6. მოპასუხეს – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს ი. ნ-ას და ი. შ-ას დევნილი ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების სტატუსის მოხსნა;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დეკნოლის სტატუსის მინიჭების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-136(კ-22)

9 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ტ-იმა 2020 წლის 30 ოქტომბერს სარჩელით მიმართა თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-
ას მოპასუხის – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყა-
როებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართ და „მოსარჩელისათ-
ვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მი-
ნიჭებაზე უარის თქმის შესახებ“, ამავე სააგენტოს დირექტორის
2020 წლის 28 სექტემბრის №03-2041/ო ბრძანების ბათილად ცნო-
ბა, ასევე მოსარჩელისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების შე-
სახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტის გამოცემის მოპასუხისათვის დავალეზა მოითხოვა.

სარჩელის თანახმად, ო. ტ-ი დაიბადა ... წლის 16 მაისს გორის
მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში. მისი მამა – ნ. ტ-ი 1990 წლამდე
მუდმივად ცხოვრობდა თილვის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში. მას
მინიჭებული ჰქონდა დევნილის სტატუსი. მოსარჩელის მითითე-
ბით, ნ. ტ-ის სურდა მისი არასრულწლოვანი შვილისთვის დევნი-
ლის სტატუსის მინიჭება, თუმცა ვერ მოახერხა. ო. ტ-იმა მხოლოდ
სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ მიმართა სსიპ დევნილთა,
ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენ-
ტოს და მოითხოვა დევნილის სტატუსის მინიჭება, მაგრამ სააგენ-
ტომ უარი უთხრა იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე დაიბადა ქალაქ
გორში და მას სოფელ ...ში არ უცხოვრია. აღნიშნული გარემოება
მოსარჩელემ დაუსაბუთებლად მიიჩნია, რის გამოც მოითხოვა სა-
დავო აქტის ბათილად ცნობა და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2021 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით ო. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „მოსარჩელი-სათვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის №03-2041/ო ბრძანება; მოპასუხეს დაევალა ო. ტ-ისთვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელემ 2020 წლის 17 აგვისტოს განცხადებით მიმართა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს და მოითხოვა მისთვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭება. 2020 წლის 11 სექტემბერს, მოსარჩელეს ჩაუტარდა გასაუბრება და მის მიერ შევსებულ კითხვარში მიუთითა, რომ დაიბადა ... წელს, ქალაქ გორში. 2003-2012 წლებში სწავლობდა გორის რაიონის სოფელ ...ის საჯარო სკოლაში. 2018 წელს დაოჯახდა ქალაქ გორში. დაბადებიდან დღემდე ცხოვრობს სოფელ ...ში მშობლების სახლში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის ამჟამად გარდაცვლილ მამას – ნ. ტ-ის 2016 წელს მიენიჭა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი.

დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღების შედეგად, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა და ეკომიგრანტთა დეპარტამენტის მიერ მომზადებული დასკვნის შესაბამისად, სააგენტომ მიზანშეუწონლად მიიჩნია ო. ტ-ისთვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭება. მითითებული დასკვნის საფუძველზე კი, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 28 სექტემბრის №03-2041/ო ბრძანებით, მოსარჩელე ო. ტ-ის უარი ეთქვა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანი პირი უფლებამოსილია მიიღოს დევნილის სტატუსი, თუ ერთ-

ერთ ან ორივე მშობელს მინიჭებული აქვს ან/და ჰქონდა დევნილის სტატუსი, მხოლოდ მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არასრულწლოვანი პირისათვის დევნილის სტატუსის არმინიჭების შემთხვევაში მას დევნილის სტატუსი მიენიჭება სრულწლოვანების მიღწევისას პირადი განცხადების საფუძველზე. მითითებული ნორმების მიხედვით, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ერთ-ერთი მშობლისათვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭება მისი შვილისთვის იმავე სტატუსის მინიჭების სამართლებრივი პირობაა შვილის სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემთხვევაშიც, თუ ასეთი სტატუსი პირმა რაიმე, ნებისმიერი მიზეზის, მათ შორის, მშობლის მიერ შვილის არასრულწლოვანების დროს ამ სტატუსის ვერ/არ მიღების გამო ვერ/არ მიიღო შვილმა არასრულწლოვანების დროს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მოსარჩელე ო. ტ-ის გარდაცვლილ მამას – ნ. ტ-ის 2016 წელს მიენიჭა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი, ხოლო მოსარჩელეს სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვა იმ პირობებში, როდესაც მისი ერთ-ერთი მშობელი – მამა ამ სტატუსის მფლობელი იყო.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაუცველად და არსებობდა მისი ბათილად ცნობისა და სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 ნოემბრის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მშობლისათვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნი-

ლის სტატუსის მინიჭება მისი შვილისათვის ნებისმიერ შემთხვევაში არის იმავე სტატუსის მინიჭების სამართლებრივი წინაპირობა, როგორც შვილის არასრულწლოვანების, ისე მისი სრულწლოვანების მიღწევის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, როდის გახდა იძულებით გადაადგილებული პირი (მშობელი) დევნილის სტატუსის შემძენი. საქმის მასალებით დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელე ო. ტ-ის მამას – ნ. ტ-ის 2016 წელს მიენიჭა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი. თავის მხრივ, დევნილის სტატუსის მაძიებელი პირი, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მამა, შეზღუდული არ იყო რაიმე ვადით, რომლის განმავლობაშიც სავალდებულოდ უნდა მიეღო ამგვარი სტატუსი. პალატამ დაასკვნა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭება ამგვარი წინაპირობების არსებობისას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 ნოემბრის განჩინება სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საკასაციო საჩივრის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოებისას მოპოვებული მტკიცებულებების თანახმად, დასტურდება, რომ მოსარჩელის მამას – ნ. ტ-ის დევნილის სტატუსი მიენიჭა 2016 წელს მაშინ, როცა მოსარჩელე უკვე სრულწლოვანი იყო (20 წლის). ამასთანავე, საქმის მასალებით დადასტურებულია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ მოსარჩელეს არასოდეს უცხოვრია თირღვის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში. იქ მხოლოდ ბავშვობაში ჩადიოდა სტუმრად, ხოლო მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს გორის რაიონის სოფელ ...ში მდებარე მშობლების საცხოვრებელი სახლი, სადაც მოსარჩელე მეუღლესა და შვილთან ერთად, უფრო მეტიც, დაბადებიდან დღემდე ცხოვრობს.

დასახელებულ გარემოებებზე მითითებით, კასატორი მიიჩნევს, რომ სააგენტომ ადმინისტრაციული წარმოება ჩაატარა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, ზედმინევნით სრულყოფილად გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები და ისე მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო

წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ნოემბრის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- ო. ტ-იმა 2020 წლის 17 აგვისტოს განცხადებით მიმართა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს და მისთვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭება მოითხოვა.

- 2020 წლის 11 სექტემბერს, მოსარჩელე ო. ტ-ის სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში ჩაუტარდა გასაუბრება და მის მიერ შეივსო შესაბამისი კითხვარი, სადაც მიუთითა, რომ დაიბადა ... წელს, ქალაქ გორში. 2003-2012 წლებში სწავლობდა გორის რაიონის სოფელ ...ის საჯარო სკოლაში. 2018 წელს დაოჯახდა ქალაქ გორში. დაბადებიდან დღემდე ცხოვრობს სოფელ ...ში მშობლების სახლში.

- საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელის გარდაცვლილ მამას – ნ. ტ-ის 2016 წელს მიენიჭა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი.

- სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა და ეკომიგრანტთა დეპარტამენტის უფროსმა 2020 წლის 28 სექტემბერს მოხსენებითი ბარათით მიმართა ამავე სააგენტოს დირექტორს და გადაუგზავნა დეპარტამენტის მიერ მომზადებული დასკვნა მოსარჩელე ო. ტ-ისთვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭების მიზანშეუწონლობის თაობაზე. დასახელებულ დასკვნაში აღინიშნა, რომ ვინაიდან ო. ტ-ი დაბადებული იყო ... წელს და არ უცხოვრია სოფელ ...ში, ამასთან, მის მშობელს (მამას) დევნილის სტატუსი მიენიჭა 2016 წელს, როდესაც მოსარჩელე უკვე სრულწლოვანი იყო, არ დასტურდებოდა „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალის-

წინებული გარემოების არსებობა. მითითებული დასკვნის საფუძველზე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორმა 2020 წლის 28 სექტემბერს გამოსცა №03-2041/ო ბრძანება მოსარჩელე ო. ტ-ისთვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს ო. ტ-ისთვის არასრულწლოვანების დროს მშობლისთვის (მშობლებისთვის) დევნილის სტატუსის არქონისა და თირღვის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მუდმივად ცხოვრების ფაქტის დაუდასტურებლობის საფუძველით იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს და ადგენს პირისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების საფუძვლებსა და წესს. დასახელებული საკანონმდებლო აქტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივი საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

მითითებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დევნილის სტატუსის მისანიჭებლად: 1. ზუსტად უნდა განისაზღვროს პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი; 2. შესწავლილ უნდა იქნეს პირის მიერ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვების მიზეზები. სტატუსის მინიჭების წინაპირობას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მხოლოდ კანონით განსაზღვრული საფუძველით დატოვება ქმნის. უფრო მეტიც, დევნილის სამართლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი სპეციალური კანონმდებლობა დევნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენას პირდაპირ და უშუალოდ უკავშირებს მისი დატოვების მიზეზებსა და იმავე მიზეზით უკან დაბრუნების შეუძლებლობას, კერძოდ, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით

ბით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს დევნილის, მისი დევნილი მშობლის (მშობლების) ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც დევნილი, მისი ერთ-ერთი ან ორივე მშობელი ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და სადაც მას არ შეუძლია დაბრუნება ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზის გამო. ამასთან, საცხოვრებელი ადგილის ცნების განსაზღვრისას, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ამდენად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა გულისხმობს არა კონკრეტულ ადგილზე პირის რეგისტრაციის ფაქტის შესწავლას, არამედ პირის მიერ საცხოვრებლად არჩეული, ფაქტობრივი ცხოვრების მისამართის დადგენას, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევისათვის პირის ნებას თან უნდა ახლდეს ცხოვრების ფაქტი („მუდმივი საცხოვრებელი ადგილის“ დეფინიციასთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის განჩინება საქმეზე №ბს-1896-1849(კ-10)). დამატებით, დევნილის სტატუსის მაძიებელი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართის დადგენასთან ერთად, სტატუსის მისანიჭებლად, უნდა შეფასდეს პირის მიერ ამავე ადგილის დატოვების (სხვა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევის) მიზეზები – პირს საცხოვრებელი ადგილი დატოვებული უნდა ჰქონდეს საკუთარი ნების გარეშე, იძულებით, ტერიტორიაზე მიმდინარე იმ მოვლენათა შედეგად, რომლებიც პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას საფრთხეს უქმნიდა. ამრიგად, ხსენებული წინაპირობების გამო ტერიტორიის იძულებით დატოვების საკითხის შესწავლისას, არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის შედეგად პირის ძირითადი უფლებების დარღვევების პერიოდსა და განმცხადებლის მიერ ტერიტორიის დატოვების დროს და უნდა მოხდეს აღნიშნული პერიოდების ურთიერთშედარება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს დევნილის სტატუსის მოპოვების სხვა კანონისმიერ საშუალებაზე, კერძოდ, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგი-

ლებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანი პირი უფლებამოსილია მიიღოს დევნილის სტატუსი, თუ ერთ-ერთ ან ორივე მშობელს მინიჭებული აქვს ან/და ჰქონდა დევნილის სტატუსი, მხოლოდ მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად არასრულწლოვანი პირისათვის დევნილის სტატუსის არმინიჭების შემთხვევაში მას დევნილის სტატუსი მიენიჭება სრულწლოვანების მიღწევისას პირადი განცხადების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო დასახელებული ნორმის ანალიზის შედეგად, მიიჩნევა, რომ ერთ-ერთი მშობლისათვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭება მისი შვილისათვის იმავე სტატუსის მინიჭების სამართლებრივი პირობაა არა მარტო არასრულწლოვანების, არამედ შვილის სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემთხვევაშიც, თუ არასრულწლოვანების დროს ასეთი სტატუსის მიუღებლობა განაპირობა რაიმე მიზეზმა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ო. ტ-იმა 2020 წლის 17 აგვისტოს განცხადებით მიმართა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით იგი დევნილის სტატუსის მინიჭების საფუძველად მიუთითებდა თირღვის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნდისუბნიდან დევნილობის ფაქტზე. ამასთანავე, აღნიშნავდა, რომ მისი მამა – ამჟამად გარდაცვლილი ნ. ტ-ი 1990 წლამდე მუდმივად ცხოვრობდა ამავე სოფელში. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის №03-2041/ო ბრძანებით კი მოსარჩელე ო. ტ-ის უარი ეთქვა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე, ვინაიდან მიჩნეულ იქნა, რომ თირღვის მუნიციპალიტეტის სოფელი ...ი არ წარმოადგენდა ო. ტ-ის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. იგი დაიბადა ... ნელს გორში, სწავლობდა სოფელ ...ის საჯარო სკოლაში, 2018 წელს დაოჯახდა იმავე ქალაქში. ამრიგად, დაბადებიდან დღემდე ცხოვრობს ქალაქ გორში. მოსარჩელის მამას დევნილის სტატუსი მინიჭებული აქვს 2016 წელს მაშინ, როცა ო. ტ-ი იყო სრულწლოვანი, ხოლო არასრულწლოვანების პერიოდში მის მშობლებს დევნილის სტატუსი არ გააჩნდათ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია საქმის მასალებში წარმოდგენილი თირღვის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2020 წლის 1 ივლისის №148 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ო. ტ-ის მამა – ნ. ტ-ი 1990 წლამდე მუდმივად ცხოვრობდა

თირღვის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში თავის დედასთან ერთად. დასახელებული დასკვნა ცალსახად ადასტურებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნ. ტ-ის ცხოვრების ფაქტს 1990 წლამდე. სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებები დაედო საფუძვლად გასაჩივრებულ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს და განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო დასახელებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ურთიერთშეჯერების შედეგად მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ დაასაბუთა ის გარემოება, რაც გამორიცხავდა მოსარჩელისთვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლიანობას, მით უფრო იმ პირობებში, როცა საქმეზე დასტურდება მოსარჩელის მამისთვის დევნილის სტატუსის მინიჭება, რაც ავტომატურად გულისხმობს შვილზეც იმავე სამართლებრივი სტატუსის გავრცელებას. მართალია, მშობელს დევნილის სტატუსი მიენიჭა შვილის სრულწლოვანების პერიოდში, თუმცა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დანაწესები არ გამორიცხავენ სრულწლოვანი პირისთვის სტატუსის მინიჭებას იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო მშობელმა ვერ მიიღო დევნილის სტატუსი შვილის არასრულწლოვანების პერიოდში. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ერთ-ერთი მშობლისათვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭება, ნებისმიერ შემთხვევაში, არის ასეთი პირების შვილისათვის/შვილებისათვის იმავე სტატუსის მინიჭების სამართლებრივი წინაპირობა, როგორც არასრულწლოვანების, ისე მისი სრულწლოვანების მიღწევის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, როდის გახდა იძულებით გადაადგილებული პირი (მშობელი) დევნილის სტატუსის შემძენი. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში სადავოდ არ გამხდარა რომ მოსარჩელე ო. ტ-ის მამას – ნ. ტ-ის 2016 წელს მიენიჭა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელის მამა შეზღუდული არ იყო რაიმე ვადით, რომლის განმავლობაშიც სავალდებულოდ უნდა მიეღო ამგვარი სტატუსი. საკასაციო პალატის მოსაზრებით, იძულებით გადაადგილებულ პირს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭება ამგვარი წინაპირობების არსებობისას. ამრიგად, ვინაიდან დადასტურდა მოსარჩელის მშობლისთვის აღნიშნული სტატუსის მინიჭების კანონიერი საფუძველი, შესაბამისად, არსებობდა მოსარჩელის განცხადების საფუძველზე დასახელებული ნორმების გავრცელებისა და მისთვის დევნილის სტატუსის მინი-

ჭების წინაპირობები.

აღნიშნულის გათვალისწინებით და იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ მოპასუხე მხარის მიერ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად ვერ იქნა წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა სადავო აქტში მითითებული გარემოებები, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მართებულად არ გაიზიარეს მოპასუხის არგუმენტაცია, მოსარჩელისთვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას ო. ტ-ის მიმართ დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო აქტის უკანონობის პირობებში, აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია და მართებულად დაკმაყოფილდა. ამრიგად, მოცემულ საქმეზე მიღებული, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი, დასაბუთებული და მისი გაუქმების საფუძვლები არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს იდენტურ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები გაკეთებული აქვს არაერთ საქმეზე, მათ შორის, იხ. უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 17 დეკემბრის №ბს-833(კ-21), 2022 წლის 10 მარტის №ბს-1015(კ-21), განჩინებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 ნოემბრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დეჰნილის სტატუსის მინიჭების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-437(კ-22)

21 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ოქროპირიძე,
ქ. ცინცაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. ო-იმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპა-
სუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სო-
ციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 25 თებერვლის
№04-423/ო ბრძანება; ბ) დაევალოს მოპასუხეს – სსიპ სოციალური
მომსახურების სააგენტოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი თ. ო-ისათვის იძულებით გა-
დაადგილებული პირის – დეჰნილის სტატუსის მინიჭების თაობა-
ზე.

სარჩელის თანახმად, თ. ო-ი დაიბადა ... წლის ...ს მცხეთის რაიო-
ნის სოფელ ...ში. ვინაიდან მოსარჩელის დედა – ნ. ბ-ე მუშაობდა
...ის სკოლაში, თ. ო-იმაც ზოგადი განათლება ...ის საშუალო სკოლა-
ში მიიღო, თუმცა აღნიშნული ფაქტი მათ არ უშლიდათ ხელს, ეც-
ხოვრათ დაბა ახალგორში, რადგან სოფელი ...ი ტერიტორიულად
ახლოს მდებარეობს დაბა ახალგორთან. ამასთან, სკოლის დამთავ-
რების შემდეგ, მოსარჩელეს, სწავლისა და სამსახურებრივი ვალ-
დებულების გამო, პერიოდულად უწევდა ახალგორის დატოვება,
თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომამდე იგი იყო დაბა ახალგორის მუდ-
მივი მაცხოვრებელი, სადაც ჰქონდა საკუთარი ქონება, საცხოვ-
რებელი სახლი და მიწის ნაკვეთი. მოსარჩელის მამა – გ. ო-ი დასაქ-
მებული იყო ახალგორის რაიონის გამგეობაში და ოჯახთან ერთად
ცხოვრობდა დაბა ახალგორში.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2019 წლის 1 ივლისის საოქმო განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ...ის ადმინისტრაციული ერთეული.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 25 თებერვლის №04-423/ო ბრძანება; დაევალა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი თ. ო-ისათვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ; სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მოსარჩელე თ. ო-ის აუნაზღაუროს საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯი 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

სასამართლომ მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) 2019 წლის 17 იანვარს თ. ო-იმა (პ/ნ ...) №... განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა დევნილის სტატუსის მინიჭება; ბ) ახალგორის მუნიციპალიტეტის დაბა ახალგორის ტერიტორიული ორგანოს 2018 წლის 26 დეკემბრის №247 ცნობის თანახმად, თ. ო-ის (პ/ნ ...) და მისი ოჯახის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო დაბა ახალგორში, ...ის ქ. №...-ში მდებარე ბინა, მაგრამ სწავლისა და სამსახურებრივი ვალდებულების გამო იგი პერიოდულად ტოვებდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. მისი ოჯახი კომპენსირებულია ფულადი თანხით. ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2019 წლის 9 იანვრის №2-0121 ცნობის თანახმად, 2008 წლამდე თ. ო-ისა (პ/ნ ...) და მისი ოჯახის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო დაბა ახალგორში, ...ის ქ. №...-ში მდებარე ბინა, მაგრამ სწავლისა და სამსახურებრივი ვალდებულების გამო იგი პერიოდულად ტოვებდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. მისი ოჯახი კომპენსირებულია ფულადი თანხით; გ) „პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის, დევნილთა რეგისტრაციის და დევნილთა მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის №287 ბრძანების შესაბამისად, დევნილთა საკითხების დეპარტამენტში 2019 წლის 16 იანვარს გასაუბრება ჩატარდა თ. ო-ითან, რომელმაც აღნიშნა, რომ დაიბადა ... ნელს მცხეთაში. 1990 წლიდან

2001 წლამდე სწავლობდა მცხეთის რაიონის სოფ. ...ის საშუალო სკოლაში. ... წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ... წლიდან ... წლამდე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, ...ად. 2009 წლის მაისში დაოჯახდა თბილისში. ..., ... და ... წლებში შვილები შეეძინა თბილისში. დაბა ახალგორში ცხოვრობდა მშობლებსა და ძმებთან ერთად 2008 წლის აგვისტომდე. მამა – გ. ო-ი მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად ახალგორში ...-... წლებში. დედა – ნ. ბ-ე ... წლიდან დღემდე მუშაობს მცხეთის რაიონის სოფ. ...ის საშუალო სკოლაში ...ად. პირადობის მოწმობაში მითითებული მისამართი – მცხეთა, სოფელი ...ი, ...ის ქ. №... არის დედის მშობლების სახლი. ვინაიდან ნ. ბ-ე მუშაობდა სოფელ ...ში ...ად, ამის გამო, თ. ო-იმა და მისმა ძმებმაც სკოლა დაამთავრეს ...ში. სკოლაში სწავლის დროს რჩებოდა ...შიც, ბებიის სახლშიც და მიდიოდა ახალგორშიც (მამას სამსახურებრივად ემსახურებოდა ავტომანქანა, რომლითაც მიდიოდა ახალგორში). სტუდენტობის პერიოდში ქ. თბილისში ცხოვრობდა ბიძებთან, ხოლო დასვენების დღეებში და არდადეგებზე იმყოფებოდა ახალგორში. ამჟამად ცხოვრობს ქ. თბილისში მეუღლესა და შვილებთან ერთად. მის მშობლებს და ძმებს აქვთ დევნილის სტატუსი; დ) აღნიშნული გასაუბრების საფუძველზე, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე გაიცა დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ თე. ო-ის საცხოვრებელ მისამართად უფიქსირდება მცხეთა, სოფელი ...ი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს №21024 წერილის თანახმად, თ. ო-ი 2008 წლამდე მუდმივად ცხოვრობდა მცხეთის რაიონის სოფელ ...ში. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციისა და გარემოებების გათვალისწინებით სამინისტრომ მიიჩნია, რომ თ. ო-ისთვის დაბა ახალგორი არ ყოფილა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. იგი დაიბადა მცხეთაში, სკოლა დაამთავრა მცხეთის რაიონში, უმაღლესი განათლება მიიღო და მუშაობდა ქ. თბილისში 2008 წლის აგვისტომდე. დაბა ახალგორში მისი მუდმივად ცხოვრების ფაქტს არ ადასტურებს არც ერთი მტკიცებულება. შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, რომ სტატუსის მაძიებელი არ აკმაყოფილებდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რის გამოც, თ. ო-ისთვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭება მიზანშეწონილი არ იყო; ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის 2019 წლის 13 თებერვლის №MIA 51900377454 მიმართვაში აღნიშნულია, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის ...ის ადმინისტრაციული ერთეულის წერილის თანახმად, თ. ო-ი (პ/ნ ...), გ. ო-ი, ს. ო-ი, ლ.

ო-ი და ნ. ბ-ე 2008 წლამდე მუდმივად ცხოვრობდნენ მისამართზე: მცხეთა, სოფელი ...ი, ...ის ქუჩა №...; ვ) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 25 თებერვლის №04-423/3 ბრძანებით, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და „პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის, დევნილთა რეგისტრაციის და დევნილთა მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის №287 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის და დევნილთა რეგისტრაციის წესის“ მე-2 მუხლის მე-14 და მე-20 პუნქტების შესაბამისად, დევნილთა და ეკომიგრანტთა პროგრამების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 21 თებერვლის №04-3244 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი დასკვნის საფუძველზე, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვა თ. ო-ის (პ/ნ ...); ზ) 2019 წლის 4 ოქტომბრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწმის სტატუსით დაკითხული პირის – ფ. პ-ის (პ/ნ ...) განმარტებით, იგი არის იძულებით გადაადგილებული პირი და ცხოვრობს ...ის დევნილთა დასახლებაში, 2008 წლის აგვისტოს ომამდე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ახალგორში, ...ის №...-ში. 2003 წლიდან სწავლობდა თბილისში, შემდეგ დაოჯახდა. ... წელს შეეძინა შვილი და 2008 წელს ზაფხულში ბავშვთან ერთად იყო ჩასული ახალგორში. ამ პერიოდში მეუღლესთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა და ძირითადად ცხოვრობდა ახალგორში, საიდანაც დადიოდა უნივერსიტეტში. თ. ო-ი არის მისი მეზობელი, ერთ კორპუსში ცხოვრობდნენ და ერთად გაიზარდნენ. თ. ო-იმა 2001 წელს დაამთავრა ...ის სკოლა. მოსარჩელის მამა გამგეობაში მუშაობდა, ემსახურებოდა მანქანა, რომლითაც თ.-ც დაჰყავდათ ახალგორიდან ...ში, თუმცა ბებიის სახლშიც რჩებოდა ხოლმე. უნივერსიტეტში სწავლობდა თბილისში და დადიოდა ახალგორიდან. ეს ყოველივე ახსოვს, რადგან ამავე პერიოდში ძირითადად ახალგორში ცხოვრობდა. ასევე, იცის, რომ მოსარჩელე მუშაობდა შემოსავლების სამსახურში და ფინანსთა სამინისტროში. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ისინი ერთად წამოვიდნენ ახალგორიდან; თ) 2019 წლის 4 ოქტომბრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწმის სტატუსით დაკითხული პირის – ი. ფ-ის (პ/ნ ...) განმარტებით, იგი არის იძულებით გადაადგილებული პირი და ცხოვრობს მცხეთის რაიონის სო-

ფელ ...ში. მისი რეგისტრაციის მისამართია: ახალგორი, ...ის №.... თ. ო-ი იყო მისი მეზობელი, რომელიც ძმებთან ერთად სწავლობდა ...ში, თუმცა ცხოვრობდნენ ახალგორში, საიდანაც დადიოდნენ სკოლაში. აგვისტოს ომის დროს თ. ო-ი ახალგორში იმყოფებოდა; ი) 2019 წლის 4 ოქტომბრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწმის სტატუსით დაკითხული პირის – ო. გ-ის (პ/ნ ...) განმარტებით, იგი არის იძულებით გადაადგილებული პირი და ცხოვრობს ...ის დევნილთა დასახლებაში, 2008 წლის აგვისტოს ომამდე ცხოვრობდა ახალგორში, ...ის ქუჩა №...-ში (რეგისტრაციის ადგილი). ახალგორში დაიბადა, გაიზარდა და მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. წლებში იყო საკრებულოს თ. ო-ის მამა სოფლის მეურნეობის სამმართველოს ... იყო, შესაბამისად, იცნობს მის ოჯახს, ისინი ცხოვრობდნენ ახალგორში, ...ის ქ. №...-ში. მისი ინფორმაციით, თ. და მისი ძმები სწავლობდნენ ...ში, თუმცა დადიოდნენ ახალგორიდან. პირადად მასაც ...ში წაუყვანია და უკანაც წამოუყვანია თ. ო-ი. მოწმემ დაადასტურა, რომ თ. ო-ის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს 2008 წლის აგვისტოს ომამდე წარმოადგენდა ახალგორი.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე და 32-ე მუხლებზე, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-8 მუხლის პირველ პუნქტსა და ამავე კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლზე, „პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის, დევნილთა რეგისტრაციის და დევნილთა მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის №287 ბრძანების მე-2 მუხლის მე-14 პუნქტზე, საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელმა კონკრეტულად განსაზღვრა და პირდაპირ მიუთითა იმ სავალდებულო პირობებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირი ჩაითვლება იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად, კერძოდ, კანონის დანაწესიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ იძულებით გადაადგილებულად – დევნილად, მას იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ უნდა უზღებოდეს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება, ადგილის, სადაც იგი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრე-

ბას, საქმიანობას ეწევა. შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტისას არსებითი მნიშვნელობა აქვს დადგინდეს მოსარჩელის მიერ კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი.

სასამართლოს განმარტებით, ადამიანის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გამოირიცხავს მისი გადაადგილების თავისუფლებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გულისხმობს ფაქტობრივ და არა იურიდიულ (რეგისტრირებულ) მისამართს. მუდმივ საცხოვრებელ ადგილად უნდა ჩაითვალოს ადგილი, რომელსაც პირი ირჩევს საცხოვრებლად და იგი პირის ცხოვრების საერთო მონაცემების შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს მისი ფაქტობრივად უმეტესი დროით ყოფნის, ნათესაური კავშირებით, საქმიანობისა და სხვა გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად. დევნილის სტატუსის მინიჭებისათვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი. დევნილთან მიმართებაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს. პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი გამოხატულია აღნიშნულ ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დასტურდებოდეს მტკიცებულებებით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარმოადგენს მუდმივ მაცხოვრებელს.

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე თ. ო-ის დაბა ახალგორში 2008 წლამდე მუდმივად ცხოვრების ფაქტი დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით, ხოლო მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს რაიმე საწინააღმდეგო, რომელიც მითითებული მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს გააქარწყლებდა, არ წარმოუდგენია. შესაბამისად, სახეზე არ არის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის არც ერთი საფუძველი.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 ივლისის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2021 წლის 8 ნოემბრის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება; სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალა მოსარჩელე თ. ო-ის აუნაზღაუროს სააპელაციო სასამართლოში საადვოკატო მომსახურებისათვის განეული ხარჯი 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, ამავე კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დევნილის სტატუსის მისანიჭებლად პირი უნდა აკმაყოფილებდეს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, მას კონკრეტული საფუძვლით – უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხის შექმნის მიზეზით, დატოვებული უნდა ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და აღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელი უნდა იყოს მისი მუდმივი საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება. შესაბამისად, დევნილის სტატუსის მისანიჭებლად, აუცილებლად უნდა განისაზღვროს პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რასაც უკავშირდება ტერიტორიის დატოვებისა და უკან დაბრუნების შეუძლებლობის გამომწვევი საფუძვლების დადგენაც.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დევნილის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილსა და რეგისტრაციის ადგილს. ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი და რეგისტრაციის ადგილი, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის და კანონის განმარტებიდან გამომდინარე, უკავშირდება დევნილობის პერიოდს, თუ სად არის პირი სამინისტროს მიერ რეგისტრირებული ან სად ცხოვრობს იგი, რეგისტრაციის გარეშე. რაც შეეხება მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, ერთი მხრივ, იგი პირის მიერ არჩეული უნდა იყოს საცხოვრისად, რაც მოიცავს პირის ნებელობასა და ამ მისამართზე ფაქტობრივ ცხოვრებას, მეორე მხრივ კი, მითითებული ადგილი პირს დატოვებული უნდა ჰქონდეს იძულებით. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილ-

თა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ეხმიანება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით გათვალისწინებული ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის მნიშვნელობას, კერძოდ, მითითებული ნორმის შესაბამისად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებელად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ცხადია, რომ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი ნიშნავს შესაძლებლობას, პირს ჰქონდეს ამ საცხოვრებელ ადგილებთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები. მართალია, კანონმდებლობით პირს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ დევნილის სტატუსის მინიჭებისთვის განმსაზღვრელია ის ძირითადი საცხოვრებელი ადგილი, რომელიც პირს არჩეული აქვს ჩვეულებრივ საცხოვრებელად და სადაც ფაქტობრივად იმყოფება. ამდენად, დროის გარკვეულ პერიოდში პირს მხოლოდ ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი შეიძლება ჰქონდეს. შესაბამისად, დევნილის სტატუსის მინიჭების მიზნებისათვის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის პირის მიერ საცხოვრებელად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და არ შეუძლია დაბრუნება კანონით გათვალისწინებული რომელიმე მიზეზის არსებობის გამო. პირი რამდენიმე საცხოვრებელი ადგილიდან თავად ირჩევს ძირითად, უმთავრეს საცხოვრებელ ადგილს, რომელიც მიიჩნევა მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად. მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევისათვის პირის ნებას თან უნდა ახლდეს ცხოვრების ფაქტი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პირის კონკრეტულ ადგილას ფაქტობრივ ყოფნას, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ამ ადგილის დროებით, ხანმოკლე პერიოდით დატოვებას, კანონი მუდმივი ცხოვრების ფაქტს პირის რეგისტრაციას არ უკავშირებს.

საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მოსარჩელის ახალგორში მუდმივად ცხოვრების ფაქტი 2008 წლის აგვისტოს ომამდე და განმარტა, რომ საქმის მასალების მიხედვით იმ დროისათვის მოსარჩელემ საცხოვრებელ ადგილად აირჩია დაბა ახალგორი და თბილისში მუშაობის მიუხედავად, იქ ცხოვრობდა, თუმცა მას მოუწია იძულებით დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი და არ შეუძლია იქ დაბრუნება. მოსარჩელის განმარტებით, ვინაიდან მოსარჩელის დედა მუშაობდა სოფელ ...ში ...ად, ამის გამო მან და მისმა ძმებმაც სკოლა დაამთავრეს ...ში, თუმცა ცხოვრობდნენ დაბა ახალგორში. მხოლოდ პერიოდულად რჩებოდნენ ...ში, ბებუის სახ-

ლში. მისივე განმარტებით, მართალია, მუშაობდა თბილისში, მაგრამ თბილისში სახლი არ ჰქონდათ და სამსახურში დადიოდა დაბა ახალგორიდან. კვირაში მხოლოდ რამდენიმე დღე თუ დარჩებოდა თბილისში ნათესავებთან, ძირითადად ბრუნდებოდა ახალგორში. მოსარჩელის განმარტებით, სკოლა დაამთავრა 2001 წელს და მას შემდეგ მცხეთის რაიონის სოფელ ...თან შეხება აღარ ჰქონია, მხოლოდ ბებიისა და პაპის სანახავად უწევდა ჩასვლა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, დროებით სხვა ადგილზე ყოფნა არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მოსარჩელემ იმ დროისათვის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად აირჩია დაბა ახალგორი და იქ სურდა მუდმივად ცხოვრება. აღნიშნულ ფაქტს არ გამოირიცხავს ასევე ის გარემოება, რომ მოსარჩელე სწავლობდა სოფელ ...ის სკოლაში, ხოლო შემდეგ სწავლობდა და მუშაობდა ქალაქ თბილისში. ვინაიდან სოფელი ...ი მდებარეობს ახალგორის მუნიციპალიტეტის საზღვრის სიახლოვეს, სრულიად შესაძლებელია, რომ მოსარჩელე ყოველდღიურად გადაადგილდებოდა ახალგორიდან ...ში, სკოლაში სწავლის პერიოდში. შესაბამისად, თ. ო-ის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო ახალგორი და აღნიშნული ფაქტის საწინააღმდეგო დამაჯერებელი მტკიცებულება ადმინისტრაციულ ორგანოს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საკასაციო საჩივრის თანახმად, თ. ო-ის საცხოვრებელ მისამართად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მიხედვით, უფიქსირდება მცხეთა, სოფ. ...ი. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მოსარჩელის მუდმივ საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომლის 2019 წლის 13 თებერვლის № MIA 5 19 00377454 წერილის თანახმად, თ. ო-ი 2008 წლამდე მუდმივად ცხოვრობდა მცხეთის რაიონის სოფელ ...ში, ...ის ქუჩა №...-ში. აღნიშნულს თან ერთვის მცხეთის მუნიციპალიტეტის ...ის ადმინისტრაციული ერთეულის 2019 წლის 29 იანვრის №26 წერილი, რომლის თანახმად, თ. ო-ი 2008 წლამდე მუდმივად ცხოვრობდა მცხეთის რაიონის სოფელ ...ში, ...ის ქუჩა №...-ში. საქმის მასალებიდან გამომდინარე, სააგენტო მივიდა დასკვნამდე, რომ არ დასტურდება მოსარჩელის მუდმივად ცხოვრების ფაქტი დაბა ახალგორში. მოსარჩელე დაიბადა მცხეთაში, სა-

შუალო განათლება მიიღო მცხეთაში, უმაღლესი განათლება მიიღო თბილისში, სამსახურებრივი საქმიანობა დაიწყო და აგრძელებს თბილისში, ცხოვრობს ქ. თბილისში. თ. ო-ის საცხოვრებელ მისამართად (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მიხედვით) უფიქსირდება მხოლოდ მცხეთა, სოფელი ...ი. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საშუალო სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში სასწავლებლად სიარულის ინტენსივობა და სამსახურში (ფინანსთა სამინისტრო, ქ. თბილისი) სიარულის ინტენსივობა შეადგენდა კვირაში 5 დღეს, რაც ნიშნავს, რომ მოსარჩელე თავისი ყოველდღიური ყოფითი ცხოვრებით და საქმიანობით დაკავშირებული იყო არაოკუპირებულ ტერიტორიასთან. თავად მოსარჩელის განმარტება, რომ სკოლაში სწავლის პერიოდში ცხოვრობდა მცხეთაში, ხოლო უმაღლესში სწავლის პერიოდში თბილისში, მიუთითებს მის მუდმივ ცხოვრებას არაოკუპირებულ ტერიტორიაზე. შესაბამისად, მტკიცება იმისა, რომ მოსარჩელის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო ახალგორი – არ შეესაბამება რეალობას და მოგონილია მოსარჩელის მიერ მისთვის სასურველი მიზნის მისაღწევად. რაც შეეხება დაბა ახალგორის ტერიტორიული ორგანოს 2018 წლის 26 დეკემბრის №247 ცნობას და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2019 წლის 9 იანვრის №2-0121 ცნობას, რომელთა თანახმად, 2008 წლის აგვისტოს ომამდე მოსარჩელის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო დაბა ახალგორი ...ის ქ. №...-ში მდებარე ბინა, მაგრამ სწავლისა და სამსახურის გამო პერიოდულად ტოვებდა დაბა ახალგორს, აღნიშნული დოკუმენტების შინაარსი არ შეესაბამება რეალობას, მით უმეტეს, რომ მათში არ არის მითითებული მოსარჩელის მიერ დაბა ახალგორის დატოვების პერიოდულობა.

კასატორის განმარტებით, დევნილის სტატუსის მინიჭებისათვის, უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას და იმის დადგენას, მას იძულების წესით დატოვებული აქვს თუ არა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი უნდა განიმარტოს, როგორც პირის ძირითადი საცხოვრებელი ადგილი, სადაც პირი არა დროებით, არამედ მუდმივად უნდა იმყოფებოდეს. ხსენებულ საცხოვრებელ ადგილთან უნდა იყოს დაკავშირებული ყოველდღიური ყოფით, შრომითი საქმიანობით ან სხვაგვარი ურთიერთობით, რომლის გამოც მას ამ ადგილზე უფრო ხშირად უწევს ყოფნა, ვიდრე სხვაგან, სადაც ასევე შეიძლება ჰქონდეს საცხოვრებელი.

ამდენად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებე-

ბი ცხადყოფს, რომ დაბა ახალგორი არ იყო მოსარჩელის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი 2008 წლის ომამდე.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 აპრილის, განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 22 თებერვლის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მოსარჩელისათვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (უფლებამონაცვლე – სსიპ დევნილთა, ეკო-

მიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო) მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება და მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს (მუხ. 2).

აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

ამავე კანონის 8.1 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზის გამო დატოვებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართავს სამინისტროს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის №287 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის და დევნილთა რეგისტრაციის წესის“ 2.1 მუხლის თანახმად, პირი დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ წერილობითი განცხადებით პირადად მიმართავს სააგენტოს ან მის ტერიტორიულ ორგანოს.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, განცხადებას თან უნდა ერთოდეს: ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი; ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის

ტრაციის შესაბამისი სტრუქტურის ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს და მათი შესაბამისი კომისიების მიერ გაცემული ცნობა/დასკვნა, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის და მისი ოჯახის წევრების იძულებით გადაადგილებამდე მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ცხოვრების ფაქტს და ოჯახის შემადგენლობას (ამ უკანასკნელის შესაძლებლობის შემთხვევაში); გ) დევნილის შეხედულებისამებრ ან/და სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად საჭირო ის საბუთები და მტკიცებულებები, რომლებიც იწვევს საფუძვლიან ვარაუდს იმისა, რომ პირის მოთხოვნა დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ შეესაბამება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულ გარემოებებს.

დადგენილია, რომ 2019 წლის 17 იანვარს თ. ო-იმა განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც ახალგორიდან იძულებით გადაადგილებულმა პირმა და მოითხოვა დევნილის სტატუსის მინიჭება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 25 თებერვლის №04-423/3 ბრძანებით, უარი ეთქვა თ. ო-ის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე იმ საფუძვლით, რომ ადმინისტრაციული წარმოების შედეგად არ დადგინდა მოსარჩელის 2008 წლის ომამდე დაბა ახალგორში მუდმივად ცხოვრების ფაქტი.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დანაწესზე მითითებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებელმა კონკრეტულად განსაზღვრა და პირდაპირ მიუთითა იმ სავალდებულო პირობებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირი ჩაითვლება იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად, კერძოდ, კანონის დანაწესიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ იძულებით გადაადგილებულად – დევნილად, მას იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ უნდა უზდებოდეს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება, ადგილის, სადაც იგი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებას, საქმიანობას ეწევა. შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტისას არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსარჩელის – თ. ო-ის მიერ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის იძულებით დატოვების ფაქტის დადგენას.

რაც შეეხება დევნილი პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დეფინიციას, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დევ-

ნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილია დევნილის, მისი დევნილი მშობლის (მშობლების) ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი, მისი ერთ-ერთი ან ორივე მშობელი ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და სადაც მას არ შეუძლია დაბრუნება ამ კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზის გამო.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლზე, რომლის შესაბამისად, პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, თუმცა ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს.

საცხოვრებელი ადგილი უფრო ფართო მნიშვნელობისაა, რომლის კონკრეტულ სახეებს წარმოადგენს „რეგისტრაციის ადგილი“ და „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“. თუ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ამის საწინააღმდეგოდ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი რეგისტრაციის ადგილი და მხოლოდ ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, თუ რეგისტრაციის ადგილს პირი საკუთარი სურვილით ირჩევს, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევისათვის სავალდებულოა პირის ნებას თან ახლდეს ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტი. ამდენად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს, რომელსაც თან ახლავს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, პირის ნება – დააფუძნოს საცხოვრებელი ადგილი – უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, ე.ი. პირს უნდა ჰქონდეს ბინა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი მოცემულ ადგილზე. პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი გამოხატულია აღნიშნულ ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დასტურდებოდეს, მაგალითად, გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით, საკომლო ჩანაწერით, მუდმივი მაცხოვრებლების აღწერის შედეგებით ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარმოადგენს მუდმივ მაცხოვრებელს („მუდმივი საცხოვრებელი ადგილის“ განმარტებასთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.06.2011წ. №ბს-1896-1849(კ-10) და 01.02.2012წ. №ბს-1227-1213(კ-11) განჩინებები).

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ დევნილთა სა-

კითხვების დეპარტამენტში 2019 წლის 16 იანვარს ჩატარებულ გასაუბრებაზე თ. ო-მა განმარტა, რომ იგი 1990-2001 წლებში სწავლობდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ის საშუალო სკოლაში, ხოლო ... წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ასევე, ... წლიდან ... წლამდე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დევნილის ცნების დეფინიციიდან გამომდინარე, 2001 წლამდე ...ის საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში მოსარჩელის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად დადგინდება თუ არა დაბა ახალგორი, აღნიშნული თავისთავად არ გულისხმობს მეორე გარემოების არსებობას – 2001 წლის შემდეგ თბილისში ცხოვრებისა და მუშაობის წლებში თ. ო-ის დაბა ახალგორის მუდმივ მაცხოვრებლად დადასტურებას ან უარყოფას. აუცილებელია ოკუპირებულ ტერიტორიაზე 2008 წლამდე მოსარჩელის მუდმივად ცხოვრების ფაქტის ამსახველი ჯაჭვი იყოს ერთიანი და გამომდინარეობდეს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან. თუმცა, საბოლოოდ, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ორივე გარემოების ურთიერთშეჯერების, გაანალიზებისა და შეფასების საფუძველზე და არა განცალკევებით. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას თ. ო-ი მუდმივად ცხოვრობდა თუ არა დაბა ახალგორში 2008 წლის ომამდე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (1); ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით (2); საქმის გარემოებები, რომლებიც, კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით (3).

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბა-

მისი მტკიცებულებები (1); თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი (2).

ამდენად, ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მტკიცების ტვირთი მოიცავს აგრეთვე ფაქტების მტკიცების ტვირთსაც. თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს თავის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებებზე და თუ იგი სადავო გახდება, უნდა დაამტკიცოს ამ გარემოების არსებობა. რა თქმა უნდა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა სადავო აქტი, სწორედ ადმინისტრაციული ორგანოა ვალდებული ამტკიცოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და წარუდგინოს სასამართლოს ამის დამადასტურებელი ყველა მტკიცებულება, თუმცა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრება არ უნდა განიმარტოს არასწორად, ისე როგორც მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის – მოსარჩელის გათავისუფლება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისგან. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი არ გულისხმობს მოსარჩელის გათავისუფლებას სარჩელის დასაბუთებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მართალია, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, თუმცა აღნიშნული უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ (სსსკ-ის 105-ე მუხ.). მოცემულ შემთხვევაში საყურადღებოა, რომ საქმეში წარმოდგენილი დაახლოებით ერთი პერიოდის ორი სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ცნობა ერთმანეთისგან განსხვავებულ და საპირისპირო ინფორმაციას იძლევა, კერძოდ, ახალგორის მუნიციპალიტეტის დაბა ახალგორის ტერიტორიული ორგანოს 2018 წლის 26 დეკემბრის №247 ცნობაში და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2019 წლის 9 იანვრის №2-0121 ცნობაში აღნიშნულია, რომ თ. ო-ის ოჯახი 2008 წლის ომამდე ცხოვრობდა დაბა

ახალგორში, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის 2019 წლის 13 თებერვლის №MIA 51900377454 წერილის და მასზე თანდართული მცხეთის მუნიციპალიტეტის ...ის ადმინისტრაციული ერთეულის წერილის თანახმად, თ. ო-ი, გ. ო-ი, ს. ო-ი, ლ. ო-ი და ნ. ბ-ე 2008 წლამდე მუდმივად ცხოვრობდნენ მისამართზე: მცხეთა, სოფელი ..., ...ის ქუჩა №....

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მართალია, ადამიანის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გამოირიცხავს მისი მიმოსვლის თავისუფლებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, რაც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით (ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება (1). ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით (2)), თუმცა 2001 წლამდე დაბა ახალგორი რომც მიეიწინოთ მოსარჩელის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად, იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტში სწავლა და სამსახურში მუშაობა დაკავშირებულია ყოველდღიურ აქტივობებთან, ზემოაღნიშნული დაშვების დადასტურების შემთხვევაში, შესაფასებელი და დასადგენია – ხომ არ განწყობა კავშირი მოსარჩელემ დაბა ახალგორთან ქ. თბილისში სწავლისა და მუშაობის პერიოდში. საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არ დასტურდება, რომ ქალაქ თბილისში სწავლისა და მუშაობის პერიოდში, 2001-2008 წლებში, თ. ო-ის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო დაბა ახალგორი და არა ქალაქი თბილისი. სააპელაციო სასამართლომ კი, მოცემულ პერიოდშიც მოსარჩელის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მიიჩნია დაბა ახალგორი საქმეში წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებების, ასევე, თავად მოსარჩელისა და ახალგორის მაცხოვრებელთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, მაშინ, როდესაც ერთი მოწმის ჩვენებით, „თ. ო-ი უნივერსიტეტში სწავლობდა თბილისში და დადიოდა ახალგორიდან“, მეორე მოწმის ჩვენებით, „თ. სად მუშაობდა და რა გრაფიკით, არ ახსოვს“. მესამე მოწმე კი აღნიშნავს, რომ „როგორც იცის სკოლის დამთავრების შემდეგ თ. ჩაირიცხა ... უნივერსიტეტში, თუმცა ახალგორიდან დადიოდა თუ თბილისში იყო არ იცის. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, რო-

გორც ახსოვს თ.-მა მუშაობა დაიწყო შემოსავლების სამსახურში და ასევე ჩააბარა მაგისტრატურაში. ვინაიდან ხშირად ხედავდა, ფიქრობს, რომ ახალგორიდან დადიოდა, ამასთან, მიუთითა, რომ ახალგორის მაცხოვრებელთა უმეტესობა თბილისში მუშაობდა და ახალგორში ცხოვრობდა“.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების არსი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტების შემოწმებაში მდგომარეობს. სააპელაციო პალატა, ერთი მხრივ, ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებით დარღვევების არსებობას და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ მსჯელობას, ხოლო, მეორე მხრივ, თავად იკვლევს და აფასებს მტკიცებულებებს, რომელიც აუცილებელია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისთვის. სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ – დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ – ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას.

ამდენად, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები და თ. ო-ის მითითება, რომ ვინაიდან ქალაქ თბილისში სახლი არ ჰქონდათ, თბილისში სწავლისა და მუშაობის პერიოდში სამსახურში დადიოდა დაბა ახალგორიდან, ამასთან, ქალაქ თბილისში კვირაში მხოლოდ რამდენიმე დღე თუ დარჩებოდა ნათესავებთან, ძირითადად კი, ბრუნდებოდა ახალგორში, არ არის საკმარისი იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მოცემულ პერიოდში იგი დაბა ახალგორის მუდმივი მაცხოვრებელი იყო. აღნიშნული არ დასტურდება და არ გამომდინარეობს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიდან, რაც საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გაითვალისწინოს სააპელაციო სასამართლო.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ პირის ნება – დააფუძნოს საცხოვრებელი ადგილი – უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, ე.ი. პირს უნდა ჰქონდეს ბინა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი მოცემულ ადგილზე. პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი გამოხატულია აღნიშნულ ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დასტურდებოდეს, მაგალითად, გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით,

საკომლო ჩანაწერით, მუდმივი მაცხოვრებლების აღწერის შედეგებით ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარმოადგენს მუდმივ მაცხოვრებელს.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ახალგორის მუნიციპალიტეტის დაბის ტერიტორიული ორგანოს 2009 წლის 17 დეკემბრის №767 ცნობაზე, რომლის თანახმად, დევნილი გ. ო-ის ოჯახმა, მცხოვრები: დ. ახალგორი, ...ის ქ. №..., მიიღო 10 000 დოლარის ეკვივალენტი ლარში კომპენსაციის სახით. აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ 2008 წლის აგვისტოში მომხდარი მოვლენების შედეგად, საქართველოს მთავრობამ 2008 წლის 25 დეკემბერს გამოსცა №915 განკარგულება „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ“. აღნიშნული განკარგულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ის ოჯახები, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე. ანუ მითითებული განკარგულება გამოიცა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დაკისრებული ვალდებულების – უზრუნველყოს დევნილი საქართველოს ფარგლებში დროებითი საცხოვრებელითა და აუცილებელი პირველადი დახმარებით, შესრულების მიზნით და დამატებითი ღონისძიების სახით გათვალისწინებულ იქნა იძულებით გადაადგილებულ პირთა იმ ოჯახებისათვის თავშესაფრის სანაცვლოდ კომპენსაციის გაცემა, რომლებმაც უარი განაცხადეს საცხოვრებელი ფართის მიღებაზე. მითითებული განკარგულების მე-2 პუნქტის მიხედვით, საკომპენსაციო თანხის ოდენობა განისაზღვრა ერთ ოჯახზე 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. განკარგულების მე-6 პუნქტით სამინისტროსათვის კომპენსაციის მიმღებ პირთა სიების წარდგენა დაევალა შესაბამისი მუნიციპალიტეტების გამგეობებს, ხოლო განკარგულების მე-7 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან ერთად უნდა დაეზუსტებინა გამგეობის მიერ წარ-

დგენილი სიები სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში განსახლებულ და-ზარალებულ პირთა სიასთან. ამავე შინაარსის განკარგულებები იქ-ნა მიღებული საქართველოს მთავრობის მიერ შემდგომ პერიოდებ-შიც, კერძოდ, 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის №856 განკარგულებები.

ზემოდასახელებული ნორმატიული აქტების საფუძველზე სა-კასაციო პალატა განმარტავს, რომ საკომპენსაციო თანხის გაცემა ხდებოდა იძულებით გადაადგილებულ პირებზე, რომელთა სიებს აზუსტებდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან ერ-თად. მიუხედავად იმისა, რომ ახალგორის მუნიციპალიტეტის და-ბის ტერიტორიული ორგანოს 2009 წლის 17 დეკემბრის №767 ცნო-ბაში თ. ო-ი მითითებულია, როგორც ოჯახის წევრი, აღნიშნული არ წარმოადგენს მოსარჩელის გ. ო-ის ოჯახის წევრად მიჩნევისათვის საკმარის მტკიცებულებას, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ-გვარი ცნობა დაზუსტებას საჭიროებდა ადმინისტრაციული ორგა-ნოს მიერ. ვინაიდან, უდავო გარემოებაა, რომ 2009 წლის მდგომა-რობით თ. ო-ი არ წარმოადგენდა იძულებით გადაადგილებული პი-რის სტატუსის მატარებელს და ამავდროულად, საქმის მასალე-ბით არც ის გარემოება არ დგინდება, რომ ასეთი სტატუსის მატა-რებლები 2009 წელს იყვნენ მოსარჩელის მამა – კომპენსაციის მიმ-ღები გ. ო-ი, მისი მეუღლე – ნ. ბ-ე (მოსარჩელის დედა) და შვილები (თ. ო-ის ძმები – ლ. და ს. ო-იები), შესაბამისად, უნდა დადგინდეს დასახელებული პირებისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების თა-რილი, ხოლო აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენის შემ-დეგ, მოსარჩელის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის მიზნით, შეფასება უნდა მიეცეს თ. ო-ი შედიოდა თუ არა გ. ო-ის, ნ. ბ-ეის, ლ. ო-ისა და ს. ო-ის დევნილი ოჯახის შემადგენლობაში.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვე-ტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპე-ლაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორ-მების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შე-დეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. საქმის ხე-ლახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამო-იკვლიოს და დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმე-ზე შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებ-

რივი შეფასება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და სარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე განეული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადანედეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 390-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და სარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დევენილი ოჯახის საცხოვრებელი პირობების ხელახლა
განსილვაზე უარის თქმის კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-1363(კ-22)

6 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

მ., რ. და გ. ს-ებმა 2021 წლის 18 იანვარს სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიას, მოპასუხის – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსე-
ბო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართ და ამავე სა-
აგენტოს 2020 წლის 2 დეკემბრის №03/19021 გადაწყვეტილების
ბათილად ცნობა, ასევე, მოსარჩელების საცხოვრებელი ფართით
უზრუნველყოფის შესახებ მოპასუხისთვის ახალი ინდივიდუალუ-
რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალე-
ბა მოითხოვეს.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელები, 4 წევრის შემადგენლო-
ბით, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები – დევნი-
ლები არიან, რომლებიც განსახლდნენ ...ში, ...ის ქ. №66-ში – დევ-
ნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში – ...ო „...ში“. სსიპ ლე-
ვან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვ-
ნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, შენობას მიენიჭა ნგრევადი
სტატუსი, რის გამოც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიე-
ბიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაც-
ვის სამინისტრომ კრიტერიუმების გარეშე მოახდინა მასში მცხოვ-
რები დევნილების გრძელვადიანი განსახლება და გადასცა ბინები.
ს-ეების ოჯახს კი თანხმობა ეთქვა ოროთახიანი ბინით დაკმაყო-
ფილებაზე, რის გამოც მათ განცხადებით მიმართეს სააგენტოს და
მოითხოვეს მათი განცხადების ხელახლა განხილვა, რადგან ჩათ-
ვალეს, რომ საცხოვრებელი ფართი არასწორად იყო განაწილებუ-

ლი. მოსარჩელეთა მოსაზრებით, კომისიამ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ დევნილ ოჯახში იყო დაქორწინებული წყვილი – გ. ს-ე და თ. ყ-ი, რომელთაც ცალკე უნდა გადასცემოდათ ერთოთახიანი ბინა ან მთელ ოჯახს – სამოთახიანი საცხოვრებელი ფართი. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების მოქმედი რედაქციის შესაბამისად, დევნილი ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართების შეთავაზებისას მხედველობაში მიიღება ის გარემოება, რომ საპირისპირო სქესის დაუქორწინებელი სრულწლოვანი დევნილები არ უნდა განთავსდნენ საერთო ფართში. დასახელებული გარემოება კი უგულებელყოფილ იქნა სააგენტოს მიერ, რომელმაც აღნიშნა, რომ მოსარჩელები უკვე დაკმაყოფილებული იყვნენ ორთოთახიანი საცხოვრებელი ფართით და მათ უარი უნდა ეთქვათ განცხადების ხელახლა განხილვაზე.

ამდენად, მოსარჩელებმა სადავო აქტის ბათილად ცნობა და გრძელვადიანი საცხოვრებელი დაკმაყოფილების შესახებ მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით მ., რ. და გ. ს-ეების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- მოსარჩელები არიან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები;

- დადგენილია, რომ ...ში, ...ის ქ. №66-ში მდებარე შენობა – ...ო „...ი“ წარმოადგენს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს, რომელსაც მიენიჭა ნგრევადი სტატუსი და იქ მცხოვრები დევნილების საკითხი სამინისტრომ განიხილა კრიტერიუმების გარეშე;

- 2020 წლის 15 სექტემბერს შედგენილ აღწერის ფორმის თანახმად, მოსარჩელეთა ოჯახის წევრები არიან: მ. ს-ე (ოჯახის უფროსი); რ. ს-ე (შვილი); გ. ს-ე (შვილი); თ. ყ-ი (რძალი – გ. მეუღლე). აღწერის ფორმაში ასევე მითითებულია, რომ ...ში, ...ის ქ. №66-ში (...ო „...ი“) განხორციელდა აღწერა. სამსახურის წარმომადგენლებს მისამართზე დახვდნენ მ. და რ. ს-ეები. გ. ს-ე იმყოფებოდა სამსახურში, ხოლო მისი მეუღლე თ. ყ-ი – ...ოში მშობლებთან – ნ. ყ-თან და მ. ყ-თან ერთად, რომლებიც დაკმაყოფილებულები იყვნენ ბინით ...ოში. თ. ჰყავდა დაოჯახებული დები. აღწერის ფორმაში დამატებით ინფორმაციად მითითებულია, რომ ოჯახი ...ში, ...ის ქ. №66-ში ცხოვრობს 1993 წლიდან. მ. ს-ის მეუღლე – მ. ს-ე 2010 წელს

გარდაიცვალა;

– საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის“ 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 საოქმო გადაწყვეტილებით, მ., რ. და გ. ს-ები დაკმაყოფილდნენ ოროთახიანი საცხოვრებელი ფართით;

– 2020 წლის 21 ოქტომბერს მ. ს-ემ განცხადებით მიმართა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, რომელშიც მიუთითა, რომ ...ში, ...ის ქ. №66-ში (...ო „...ში“) ცხოვრობდა ორ სრულწლოვან შვილთან ერთად, მათ შორის, ერთი იყო დაოჯახებული. მ. ს-ემ ასევე აღნიშნა, რომ მათ შესთავაზეს ოროთახიანი ბინა, რომლის ფართიც დათვლილი იყო სულადობით, თუმცა არ იყო გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ მისი ერთ-ერთი შვილი არ იყო დაოჯახებული, იყო სრულწლოვანი. ამდენად, მ. ს-ემ მოითხოვა ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინება და ორი ბიოლოგიური ოჯახის ცალ-ცალკე საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება;

– სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 2 დეკემბრის №03/19021 გადაწყვეტილებით მ. ს-ეს განცხადების პასუხად ეცნობა, რომ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის სხდომის №62 ოქმის შესაბამისად, მ. ს-ის ოჯახს თანხმობა ეთქვა ოროთახიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას ხელახლა განეხილა მათი ოჯახის საცხოვრებელი პირობები;

– ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელე გ. ს-ის მეუღლე – თ. ყ-ი ქორწინებამდე ცალკე ოჯახად იყო რეგისტრირებული №... სარეგისტრაციო ნომერზე, მისამართი: იმერეთი, ...ო, ...ის ქუჩა, კორპუსი №1, ბინა №38;

– საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 სექტემბრის №24/09/01 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ნ. ყ-ს შორის (თ. ყ-ის და) დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ოჯახს საკუთრებაში გადაეცა 49.78 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მყიდველმა აიღო ვალდებულება, უზრუნველყო საცხოვრებელი ფართით ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პი-

რები, მათ შორის, თ. ყ-ი.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით (სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქცია) დამტკიცებულ დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესით დადგენილ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმებზე. კერძოდ, მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში). ამგვარი ობიექტების მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს სამინისტროს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით. ამასთან, ამავე წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე, კომისიის მიერ დევნილი ოჯახის საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილებისათვის, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, დევნილ ოჯახს შეეთავაზება საცხოვრებელი ფართი №320 ბრძანების მე-7 პუნქტით დამტკიცებული №8 დანართის („გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები, დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნების გათვალისწინებით“) შესაბამისად. ამავე ნორმის მე-13 პუნქტის თანახმად განისაზღვრა, რომ ამ მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, დევნილი ოჯახ(ებ)ისათვის საცხოვრებელი ფართ(ებ)ის შეთავაზებისას, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: ა) საპირისპირო სქესის დაუქორწინებელი სრულწლოვანი დევნილები (მაგ.: სრულწლოვანი და-ძმა, მარტოხელა მშობელი და სრულწლოვანი შვილი) არ უნდა განსახლდნენ საერთო ოთახში; ბ) არასრულწლოვანი ოჯახის წევრები, მეუღლეები და ერთი სქესის სრულწლოვანი დევნილები შესაძლებელია განსახლდნენ ერთ ოთახში. ამასთან, მნიშვნელოვანია აღნიშნული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, რომ-

ლის თანახმად, ამ წესის შესაბამისად, არ განიხილება იმ დევნილი ოჯახების განაცხადები, რომლებსაც, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი ფართი ან/და ერთჯერადი ფულადი დახმარება გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის“ 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 საოქმო გადაწყვეტილებით, მოსარჩელები დაკმაყოფილდნენ ორთახიანი საცხოვრებელი ფართით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და ამავე ბრძანებით დამტკიცებული №8 დანართის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტებს დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ უსაფუძვლო იყო მ. ს-ის მოთხოვნა მისი ოჯახისთვის, როგორც ორი ბიოლოგიური ოჯახისთვის, ცალ-ცალკე ფართებით დაკმაყოფილების შესახებ, რაზეც მოსარჩელეს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 2 დეკემბრის №03/19021 სადავო გადაწყვეტილებით მართებულად ეთქვა უარი.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის წინაპირობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ., რ. და გ. ს-ების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 2 დეკემ-

ბრის №03/19021 გადაწყვეტილება და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში, სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არ დაეთანხმა მათ სამართლებრივ შეფასებას და განმარტა, რომ მოპასუხე, რომელიც წარმოადგენს დევნილთა განსახლების საკითხზე პასუხისმგებელ უწყებას, ვალდებული იყო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმიერად და სრული პასუხისმგებლობით მიდგომოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს – ზედმინევით ზუსტად განესაზღვრა დევნილი ოჯახის განსახლებასთან დაკავშირებული საკითხები.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ №8 დანართზე, რომლის თანახმად, განსაზღვრულია „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით“. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობა იყო 3-4 მოსახლე, საცხოვრებელ ფართში ოთახების რაოდენობა შესაბამისობაში მოდიოდა ორთახიან ბინასთან, ფართით 45-60 მ², ხოლო 5-6- სულიანი ოჯახის შემთხვევაში – სამოთახიანთან. ამასთან, ამავე წესის მე-6 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი იყო, რომ დევნილი ოჯახ(ებ)ისათვის საცხოვრებელი ფართ(ებ)ის შეთავაზებისას, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული შემდეგი გარემოებები: ა) საპირისპირო სქესის დაუქორწინებელი სრულწლოვანი დევნილები (მაგ.: სრულწლოვანი და-ძმა, მარტოხელა მშობელი და სრულწლოვანი შვილი) არ უნდა განსახლდნენ საერთო ოთახში; ბ) არასრულწლოვანი ოჯახის წევრები, მეუღლეები და ერთი სქესის სრულწლოვანი დევნილები შესაძლებელია განსახლდნენ ერთ ოთახში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო აქტის გამოცემის დროისთვის, 2020 წლის 15 სექტემბერს შედგენილი აღწერის ფორმის მიხედვით, მოსარჩელეთა ოჯახის წევრებად მითითებულნი იყვნენ: მ. ს-ე (ოჯახის უფროსი); რ. ს-ე (სრულწლოვანი შვილი); გ. ს-ე (სრულწლოვანი შვილი); თ. ყ-ი (რძალი – გ. მეუღლე), თუმცა ამჟამად შეცვლილი ფაქტობრივი გარემოების პირობებში, მოსარჩელეთა ოჯახი შედგება 5 სულისგან, კერძოდ, ოჯახის შემადგენლობას დაემატა გ. ს-ისა და თ. ყ-ის შვილი – ლ. ს-ე, რომელსაც ასევე მინიჭებული აქვს იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი. პალატის მოსაზრებით, მოცემულ პირობებში, განმცხა-

დებელს გაზრდილი სულადობის გათვალისწინებით შეუძლია მოითხოვოს საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება მომდევნო ეტაპზე კრიტერიუმების გარეშე, როგორც კომპაქტურად განსახლების ობიექტში მცხოვრებმა ოჯახმა. ამასთანავე, პალატამ მნიშვნელოვნად მიიჩნია იმ გარემოებაზე მითითება, რომ „დევენილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის“ 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 საოქმო გადაწყვეტილებას არ მოჰყოლია რაიმე სამართლებრივი შედეგი (ბრძანების გამოცემა საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ, ხელშეკრულების დადება მხარეთა შორის, ასევე მოსარჩელეთათვის საცხოვრებელი ფართის ფაქტობრივად გადაცემა და სხვ.). შესაბამისად, სახეზეა მოცემულობა, როდესაც მოსარჩელის ოჯახი დგას საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხის ხელახლა განხილვის წინაშე. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გამოსცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომ ობიექტურად არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები, მ. ს-ის განცხადების განხილვისას არ გაითვალისწინა მასში მითითებული ფაქტები ოჯახის წევრთა სულადობის, შვილთა სრულწლოვანებისა და მათ შორის ერთ-ერთის ქორწინების შესახებ.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტთა მოსაზრება, რომ მათი ოჯახი აღმოჩნდა განსხვავებულ მდგომარეობაში იდენტურ სამართლებრივ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ხსენებული საკითხის შეფასების მიზნით, გამოითხოვა ...ო „...ში“ მცხოვრები ვ. და თ. უ-ების, ასევე ბ. გ. და მ. ჩ-ების საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, თუმცა ვერ დადგინდა მათთვის განსხვავებული ოდენობის ფართის გადაცემის ფაქტი, ვინაიდან ერთ შემთხვევაში ოჯახს მიღებული ჰქონდა ერთოთახიანი ბინა, ხოლო ორ შემთხვევაში – ოროთახიანი ბინა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ გამოთხოვილი მასალებით არ დგინდებოდა ფაქტი, რომ აღნიშნული ოჯახები სულადობის გათვალისწინებით იმყოფებოდნენ მოსარჩელის ოჯახის მსგავს მდგომარეობაში. პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ იყო ისეთი გარემოება, იმგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც, რომელიმე ნიშნის გამო, მოსარჩელებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სადავო აქტის სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსთვის, საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკ-

ვლევის შედეგად, ახალი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საკასაციო საჩივრის თანახმად, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (ოქმი №62) მ., რ. და გ. ს-ებს, როგორც ნგრევად ობიექტში ფაქტობრივ მაცხოვრებლებს, თანხმობა ეთქვათ საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და ისინი სულადობის გათვალისწინებით ოროთახიანი ბინის მიღების კანდიდატებად განისაზღვრნენ.

კასატორი მიუთითებს 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე კომისიის მიერ დევნილი ოჯახის საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილებისათვის, დევნილ ოჯახს შეეთავაზება საცხოვრებელი ფართი ამ ბრძანების მე-7 პუნქტით დამტკიცებული „საორიენტაციო სტანდარტების და დევნილი ოჯახის რიცხოვნობის გათვალისწინებით“ დანართი №8 შესაბამისად. ამავე ნორმის მე-13 პუნქტის შესაბამისად კი, ამ მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, დევნილი ოჯახ(ებ)ისათვის საცხოვრებელი ფართების შეთავაზებისას, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: ა) საპირისპირო სქესის დაუქორწინებელი სრულწლოვანი დევნილები (მაგ.: სრულწლოვანი და-ძმა, მარტოხელა მშობელი და სრულწლოვანი შვილი) არ უნდა განსახლდნენ საერთო ოთახში; ბ) არასრულწლოვანი ოჯახის წევრები, მეუღლეები და ერთი სქესის სრულწლოვანი დევნილები შესაძლებელია განსახლდნენ ერთ ოთახში. კასატორის აღნიშვნით, კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული და არა აუცილებლად.

კასატორის მოსაზრებით, ასევე მნიშვნელოვანია დასახელებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, ამ წესის შესაბამისად არ განიხილება იმ დევნილი ოჯახების განაცხადები, რომლებსაც, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი ფართი ან/და ერთჯერადი ფულადი დახმარება გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში. საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელე გ. ს-ის მეუღლე – თ. ყ-ი ქორწინებამდე ცალკე ოჯახად იყო რეგისტრირებული №... სარეგისტრაციო ნომერით, მი-

სამართზე: იმერეთი, ...ო, ...ის ქ. კორპ. №1, ბინა №38. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 სექტემბრის №24/09/01 განკარგულების საფუძველზე კი, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მეორე მხრივ, ნ. ყ-ს შორის (თ. ყ-ის და) დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ოჯახს საკუთრებაში გადაეცა 49.78კვ,მ საცხოვრებელი ფართი. ამავე ხელშეკრულების თანახმად, მყიდველმა აიღო ვალდებულება, უზრუნველყო საცხოვრებელი ფართით ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირები, მათ შორის, თ. ყ-ი. შესაბამისად, დგინდება, რომ თ. ყ-ი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე სახელმწიფოს მხრიდან დაკმაყოფილებულია საცხოვრებელი ფართით და მას კანონდებლობის თანახმად მოთხოვნის უფლება აღარ წარმოეშობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ გ. ს-ისა და თ. ყ-ის შვილი, რომელიც საკითხის განხილვის დროისათვის საერთოდ არ იყო დაბადებული (დაბადების თარიღი: ...ნ.) ადმინისტრაციულმა ორგანომ გაითვალისწინოს სულაღობაში და ოჯახი დააკმაყოფილოს არა კრიტერიუმების საფუძველზე, არამედ კრიტერიუმების გარეშე, როგორც 2020 წელს ნგრევად ობიექტში ფაქტობრივად მაცხოვრებელი. სააგენტოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა დაუსაბუთებელია, ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის განხილვისას, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, სრულყოფილად აქვს გამოკვლეული საქმის გარემოებები. სადავო აქტი მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 9 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 20 მარტის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო სა-

ჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ., რ. და გ. ს-ეების სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

– მ., რ. და გ. ს-ეები არიან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები, რომელთაც მინიჭებული აქვთ დევნილის სტატუსი;

– დადგენილია, რომ ...ში, ...ის ქ. №66-ში მდებარე შენობა – ...ო „...ი“ წარმოადგენს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს, რომელსაც მიენიჭა ნგრევადი სტატუსი და იქ მცხოვრები დევნილების საკითხი განიხილება კრიტერიუმების გარეშე. ასევე დადგენილია, რომ აღნიშნულ ობიექტში 2020 წლის 15 სექტემბერს განხორციელდა ფაქტობრივად მცხოვრები დევნილი ოჯახების აღწერა;

– მოსარჩელეთა აღწერის ფორმაში ოჯახის წევრებად მითითებული არიან: მ. ს-ე (ოჯახის უფროსი), რ. ს-ე (შვილი), გ. ს-ე (შვილი), თ. ყ-ი (რძალი – გ. მეუღლე). აღწერის ფორმაში ასევე მითითებულია, რომ ...ში, ...ის ქ. №66-ში (...ო „...ი“) აღწერისას სამსახურის წარმომადგენლებს მისამართზე დახვდნენ მ. და რ. ს-ეები. გ. ს-ე იმყოფებოდა სამსახურში, ხოლო მისი მეუღლე თ. ყ-ი – ...ოში მშობლებთან – ნ. ყ-თან და მ. ყ-თან ერთად, რომლებიც დაკმაყოფილებული იყვნენ ბინით ...ოში. თამარს ჰყავს დაოჯახებული დები. აღწერის ფორმაში დამატებით ინფორმაციად მითითებულია, რომ დევნილი ოჯახი ...ში, ...ის ქ. №66-ში ცხოვრობს 1993 წლიდან. მ. ს-ის მეუღლე – მ. ს-ე კი გარდაიცვალა 2010 წელს;

– საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის“ 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 საოქმო გადაწყვეტილებით, მ., რ. და გ. ს-ეებს თანხმობა ეთქვათ ოროთახიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე;

– 2020 წლის 21 ოქტომბერს მ. ს-ემ განცხადებით მიმართა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს და მიუთითა, რომ ...ში, ...ის ქ. №66-ში (...ო „...ში“) ცხოვრობდა ორ სრულწლოვან შვილთან ერთად, მათ შორის, ერთი იყო დაოჯახებული. მ. ს-ემ ასევე აღნიშნა, რომ მის ოჯახს შესთავაზეს ოროთახიანი ბინა, რომელიც დათვლილი იყო სულადობით, თუმ-

ცა არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ მისი დაუოჯახებელი შვილი იყო სრულწლოვანი. ამდენად, მ. ს-ემ მოითხოვა ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინება და ორი ბიოლოგიური ოჯახის ცალ-ცალკე საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება

– სისპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 2 დეკემბრის №03/19021 გადაწყვეტილებით მ. ს-ეს განცხადების პასუხად ეცნობა, რომ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის სხდომის №62 ოქმის შესაბამისად, მ. ს-ის დევნილ ოჯახს თანხმობა ეთქვა ოროთახიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას ხელახლა განეხილა მათი ოჯახის საცხოვრებელი პირობები;

– ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელე გ. ს-ის მეუღლე – თ. ყ-ი ქორწინებამდე ცალკე ოჯახად იყო რეგისტრირებული №... სარეგისტრაციო ნომერზე, შემდეგ მისამართზე: იმერეთი, ...ო, ...ის ქუჩა, კორპუსი №1, ბინა №38;

– საქმის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 სექტემბრის №24/09/01 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ნ. ყ-ს შორის (თ. ყ-ის და) დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ოჯახს საკუთრებაში გადაეცა 49.78 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მყიდველმა აიღო ვალდებულება, უზრუნველყო საცხოვრებელი ფართით ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირები, მათ შორის, თ. ყ-ი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს მ. ს-ის დევნილი ოჯახის საცხოვრებელი პირობების ხელახლა განხილვაზე მოპასუხის მიერ უარის თქმის კანონიერება იმ საფუძველით, რომ დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის სხდომის №62 ოქმის შესაბამისად, მისი ოჯახი დაკმაყოფილებული იყო ოროთახიანი საცხოვრებელი ფართით.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონზე (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), რომლის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით, დევნი-

ლის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა არის დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემა ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა, ხოლო იმავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, იძულებითი გადაადგილებისას უსახლკაროდ დარჩენილ დევნილს სამინისტრო სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრებლით. ამასთან, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. გამონაკლისის სახით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიაანიჭოს და კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში). ამგვარი ობიექტების მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს სამინისტროს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის რიგითობის განსაზღვრისთვის, მათი განცხადების დაკმაყოფილებისთვის პირები უნდა აკმაყოფილებდნენ ნორმატიულად განსაზღვრულ წინაპირობებს. ამასთან, დასახელებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ბოლო ეტაპზე განიხილება იმ დევნილი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომლებიც არ საჭიროებენ გრძელვადიან განსახლებას. ამრიგად, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად უპირატესობა მიენიჭება დევნილთა იმ ოჯახებს, რომელთაც ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ.

ამრიგად, ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დევნილთა საცხოვრებლით უზ-

რუნველყოფა ხდება სახელმწიფოს მიერ, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. გამონაკლისია ნგრევად ობიექტში ცხოვრება, რაც შესაბამისი საექსპერტო დასკვნით უნდა დასტურდებოდეს. თუმცა აღნიშნული გამონაკლისიც ექვემდებარება რიგითობის დაცვას, თუ სიცოცხლისთვის საშიშ ობიექტში მცხოვრებ დევნილებს გააჩნიათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი, ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ დევნილებს, რომლებსაც ასეთი საცხოვრებელი არ აქვთ. საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ მოსარჩელეთა ოჯახი ცხოვრობდა ნგრევად ობიექტში და მასში მცხოვრები დევნილების განსახლების საკითხი ექვემდებარებოდა კრიტერიუმების გარეშე განხილვას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში შეფასებას საჭიროებს საკითხი, რამდენად მართებული იყო მოსარჩელეთათვის ოროთახიანი ბინით დაკმაყოფილების შემდეგ, ოჯახის სხვადასხვა სქესის სრულწლოვანი წევრების, მათ შორის, ერთი დაოჯახებული პირის არსებობის პირობებში, ახალი განცხადების განხილვა და დაკმაყოფილება.

დასახელებული გარემოების შეფასებისას, საკასაციო სასამართლო კვლავ მიუთითებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებულ წესზე, რომლის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამავე მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე კომისიის მიერ დევნილი ოჯახის საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილებისათვის, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, დევნილ ოჯახს შეეთავაზება საცხოვრებელი ფართი №320 ბრძანების მე-7 პუნქტით დამტკიცებული №8 დანართის შესაბამისად, რომლითაც განსაზღვრულია „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნების გათვალისწინებით“. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობა შეადგენს 3-4 მოსახლეს, საცხოვრებელ ფართში ოთახების რაოდენობა შესაბამისობაში მოდის ოროთახიან ბინასთან, ფართით 45-60მ², ხოლო 5-6-სულიანი ოჯახის შემთხვევაში – სამოთახიანთან. ამასთანავე, „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, განსაზღვრულია, რომ ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დევნილი ოჯახ(ებ)ისათვის საცხოვრებელი ფართ(ებ)ის შეთავაზებისას, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: ა) საპირისპირო სქესის დაუქორწინებელი სრულწლოვანი დევნილები (მაგ.: სრულწლოვანი და-ძმა, მარტო-

ხელა მშობელი და სრულწლოვანი შვილი) არ უნდა განსახლდნენ საერთო ოთახში; ჰ) არასრულწლოვანი ოჯახის წევრები, მეუღლეები და ერთი სქესის სრულწლოვანი დევნილები შესაძლებელია განსახლდნენ ერთ ოთახში. მნიშვნელოვანია ასევე აღნიშნული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, ამ წესის შესაბამისად არ განიხილება იმ დევნილი ოჯახების განაცხადები, რომლებსაც, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი ფართი ან/და ერთჯერადი ფულადი დახმარება გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილია, რომ სადავო აქტის გამოცემის დროისთვის, 2020 წლის 15 სექტემბერს შედგენილი აღწერის ფორმის მიხედვით, მოსარჩელეთა ოჯახის წევრებად მითითებულნი იყვნენ: მ. ს-ე (ოჯახის უფროსი); რ. ს-ე (სრულწლოვანი შვილი); გ. ს-ე (სრულწლოვანი შვილი); თ. ყ-ი (რძალი – გ. მეუღლე). „დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის“ 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 საოქმო გადაწყვეტილებით, მოსარჩელები დაკმაყოფილდნენ ოროთახიანი საცხოვრებელი ფართით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და ამავე ბრძანებით დამტკიცებული დანართი №8-ის შესაბამისად. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ამჟამად შეცვლილი ფაქტობრივი გარემოების პირობებში, ვინაიდან მოსარჩელეთა ოჯახი შედგება 5 სულისგან, კერძოდ, ოჯახის შემადგენლობას დაემატა გ. ს-ისა და თ. ყ-ის შვილი – ლ. ს-ე, რომელსაც ასევე მინიჭებული აქვს იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი, საკითხი ექვემდებარება დამატებით გამოკვლევას, რადგან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, დევნილთა მიერ განაცხადის გაკეთების, აღწერის ფორმების შევსებისა და სადავო აქტის გამოცემის დროისთვის ოთხსულიან ოჯახებზე საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებისთვის საორიენტაციო სტანდარტს ოროთახიანი ბინა წარმოადგენდა, ამასთან, არარელევანტურია მოსარჩელეთა მითითება „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის მე-13 პუნქტზე, რამდენადაც დასახელებული ნორმის შინაარსი, სხვადასხვა სქესის ოჯახის სრულწლოვანი წევრების არსებობის პირობებში, მათი ორ ბიოლოგიურ ოჯახად განხილვას და ცალ-ცალკე ფართით დაკმაყოფილებას არ ითვალისწინებს. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ დევნილთა საცხოვრებელი ფართის საკითხის განხილვისას სააგენტოს შეძლებისდაგვარად შეუძლია საპირისპირო სქესის დაუქორწინებელი სრულწლო-

ვანი დევნილების გათვალისწინება, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს მის ვალდებულებას. შესაბამისად, უსაფუძვლოა მ. ს-ის მოთხოვნა მისი ოჯახისთვის, როგორც ორი ბიოლოგიური ოჯახისთვის, ცალ-ცალკე ფართებით დაკმაყოფილების შესახებ, რაზეც სადავო აქტით – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 2 დეკემბრის №03/19021 გადაწყვეტილებით მართებულად ეთქვა უარი. ასევე მნიშვნელოვანია იმ გარემოებაზე მითითება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 სექტემბრის №24/09/01 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ნ. ყ-ს შორის (თ. ყ-ის და) დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ოჯახს საკუთრებაში გადაეცა 49.78 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მყიდველმა აიღო ვალდებულება, უზრუნველყო საცხოვრებელი ფართით ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირები, მათ შორის, თ. ყ-ი. დასახელებული გარემოება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გ. ს-ის მეუღლე – თ. ყ-ი, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დაკმაყოფილებულია საცხოვრებელი ფართით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატამ თავადვე აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა მიმართ არ დასტურდებოდა არათანასწორი მიდგომა იდენტურ სამართლებრივ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, რის გამოც დასახელებული საკითხის შეფასების მიზნით, გამოითხოვა ...ო „...ში“ მცხოვრები ვ. და თ. უ-ების, ასევე ბ. გ. და მ. ჩ-ების საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, თუმცა ვერ დაადგინა მათთვის განსხვავებული ოდენობის ფართის გადაცემის ფაქტი, ვინაიდან ერთ შემთხვევაში ოჯახს მიღებული ჰქონდა ერთოთახიანი ბინა, ხოლო ორ შემთხვევაში – ოროთახიანი ბინა. ამდენად, პალატის მოსაზრებით, სახეზე არ იყო ისეთი გარემოება, იმგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც, რომელიმე ნიშნის გამო, მოსარჩელებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა თანასწორობის უფლების უგულებელყოფას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო საქმეზე უდავოდ დადგენილი გარემოებები, ასევე წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საქმი-

სათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად შესწავლასა და მოსარჩელეთა ოროთახიანი ბინით დაკმაყოფილების მართებულობას. საკასაციო სასამართლოს მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს პოზიცია დაუსაბუთებელია, ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის განხილვისას, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, სრულყოფილად აქვს გამოკვლეული საქმის გარემოებები და განმცხადებლის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რის გამოც სადავო – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 2 დეკემბრის №03/19021 გადაწყვეტილება გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. სადავო გადაწყვეტილება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, რის გამოც, არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მ., რ. და გ. ს-ეების სასარჩელო მოთხოვნას არ გააჩნია სათანადო ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, ხოლო სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო პრეტენზია არგუმენტირებული და დასაბუთებულია, შესაბამისად, იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანაცვლებების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ოქტომბრის გადან-

ყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ., რ. და გ. ს-ეების სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ., რ. და გ. ს-ეების სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დავნილთა საცხოვრებელით უზრუნველყოფის წინაპირობები

გ ა დ ა ნ ყ ვ ა ტ ი ლ ა ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ბს-1489(კ-22)

28 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. მ-ემ 2021 წლის 24 ივნისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მო-

პასუხის – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართ და მოსარჩელის ნაწილში ამავე სააგენტოს 2020 წლის 25 დეკემბრის №03-3380/ო ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე მოპასუხისთვის, მოსარჩელის ერთოთახიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

სარჩელის მიხედვით, მოსარჩელე არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი, რომელიც განსახლებულია ქალაქ ქუთაისში, ...ის ქ. №...-ში მდებარე დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში – შპს „...ში“ (...). აღნიშნულ შენობას მიენიჭა ნგრევადი სტატუსი, რის გამოც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ კრიტერიუმების გარეშე მოახდინა მასში მცხოვრები დევნილების გრძელვადიანი განსახლება და გადასცა ბინები. მოსარჩელის ოთხსულიან ოჯახს კი შესთავაზეს ოროთახიანი ბინით დაკმაყოფილება, რომელშიც საძინებლის რაოდენობა მხოლოდ ერთი იყო. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების მოქმედი რედაქციის შესაბამისად, დევნილი ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართების შეთავაზებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ საპირისპირო სქესის დაუქორწინებელი სრულწლოვანი დევნილები არ განთავსდნენ საერთო ფართში. მითითებული ჩანაწერი კი ქმნის იმის საფუძველს, რომ მოსარჩელე უნდა დაკმაყოფილდეს ცალკე ერთოთახიანი ბინით. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ სადავო აქტის ბათილად ცნობა და გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების შესახებ მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით ზ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- მოსარჩელე არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი;

- დადგენილია, რომ ქალაქ ქუთაისში, ...ის ქ. №...-ში მდებარე შენობა – შპს „...“ (...ი) წარმოადგენს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს, რომელსაც მიენიჭა ნგრევადი სტატუსი და იქ მცხოვრები დევნილების საკითხი სამინისტროს მიერ განიხილება

კრიტერიუმების გარეშე;

– 2020 წლის 30 ივნისს შედგენილი აღწერის ფორმის მიხედვით, მოსარჩელეთა ოჯახის წევრები არიან: ნ. ხ-ე (ოჯახის უფროსი); ზ. მ-ე (შვილი); ა. მ-ე (შვილი); თ. ქ-ი (რძალი, არადევნილი პირი). აღწერის ფორმაში ასევე მითითებულია, რომ ქალაქ ქუთაისში, ...ის ქ. №...-ში მდებარე შენობაში (შპს „...ი“) განხორციელდა აღწერა. სამსახურის წარმომადგენლებს მისამართზე დახვდა ოჯახის ყველა წევრი;

– საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის“ 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 საოქმო გადაწყვეტილებით, ნ. ხ-ე, ზ. მ-ე, ა. მ-ე და თ. ქ-ი (არადევნილი პირი) დაკმაყოფილდნენ ოროთახიანი საცხოვრებელი ფართით;

– სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის №03-3380/ო ბრძანებით, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №62), ქალაქ ქუთაისში, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახი დანართის შესაბამისად. აღნიშნულ დანართში მითითებულნი არიან: ნ. ხ-ე, ზ. მ-ე, ა. მ-ე (სარეგისტრაციო ნომერი ...) და თ. ქ-ი (არადევნილი პირი). განსახლების მისამართი – ქალაქი ქუთაისი, ...ის ქ. კორპ. ..., ... ბლოკი, მე-8 სართული, ბინა №..., ოთახების რაოდენობა – 2.

– 2020 წლის 23 ოქტომბერს გაფორმებული საცხოვრებელი ფართის მიღებაზე ოჯახის №196 წერილობითი თანხმობით დასტურდება, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახმა, შემდეგი შემადგენლობით: ნ. ხ-ე, ზ. მ-ე, ა. მ-ე და თ. ქ-ი, თანხმობა განაცხადეს მიიღონ მათზე განაწილებული ოროთახიანი საცხოვრებელი ფართი, შემდეგ მისამართზე: ქალაქი ქუთაისი, ...ის ქუჩა, კორპუსი ..., ... ბლოკი, მე-8 სართული, ბინა №..., რაც ყველამ დაადასტურა ხელმოწერით. 2020 წლის 23 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა №196 მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ასევე ხელმოწერილ იქნა ოჯახის ყველა წევრის მიერ.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით (სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქცია) დამტკიცებულ დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესით დადგე-

ნილ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმებზე. კერძოდ, მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში). ამგვარი ობიექტების მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს სამინისტროს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით. ამასთან, ამავე წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე, კომისიის მიერ დევნილი ოჯახის საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილებისათვის, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, დევნილ ოჯახს შეეთავაზება საცხოვრებელი ფართი №320 ბრძანების მე-7 პუნქტით დამტკიცებული №8 დანართის („გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები, დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნების გათვალისწინებით“) შესაბამისად. ამავე ნორმის მე-13 პუნქტის თანახმად, განისაზღვრა, რომ ამ მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, დევნილი ოჯახ(ებ)ისათვის საცხოვრებელი ფართ(ებ)ის შეთავაზებისას, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: ა) საპირისპირო სქესის დაუქორწინებელი სრულწლოვანი დევნილები (მაგ.: სრულწლოვანი და-ძმა, მარტოხელა მშობელი და სრულწლოვანი შვილი) არ უნდა განსახლდნენ საერთო ოთახში; ბ) არასრულწლოვანი ოჯახის წევრები, მეუღლეები და ერთი სქესის სრულწლოვანი დევნილები შესაძლებელია განსახლდნენ ერთ ოთახში. ამასთან, მნიშვნელოვანია აღნიშნული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, ამ წესის შესაბამისად, არ განიხილება იმ დევნილი ოჯახების განაცხადები, რომლებსაც, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი ფართი ან/და ერთჯერადი ფულადი დახმარება გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტე-

რიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის“ 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 საოქმო გადაწყვეტილებით, მოსარჩელის ოჯახი დაკმაყოფილდა ოროთახიანი საცხოვრებელი ფართით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და ამავე ბრძანებით დამტკიცებული №8 დანართის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტებს დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ უსაფუძვლო იყო ზ. მ-ის მოთხოვნა საცხოვრებელი ფართის გადაცემისას, მოპასუხის მხრიდან აღნიშნული ფართის საორიენტაციო სტანდარტების დარღვევის თაობაზე.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის წინაპირობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება ზ. მ-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ზ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის №03-3380/ო ბრძანება ზ. მ-ის ნაწილში და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში, სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არ დაეთანხმა მათ სამართლებრივ შეფასებას, ამასთან, მიუთითა საქართვე-

ლოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის სადავო პერიოდში მოქმედი 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებულ „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესზე“ და განმარტა, რომ დასახელებული წესის მე-6 მუხლის პირველ პუნქტის მიხედვით, გრძელვადიანი საცხოვრებელ ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-5 მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. ამავე მუხლის მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დევნილი ოჯახ(ებ)ისათვის საცხოვრებელი ფართ(ებ)ის შეთავაზებისას, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: საპირისპირო სქესის დაუქორწინებელი სრულწლოვანი დევნილები (მაგ.: სრულწლოვანი და – ძმა, მარტოხელა მშობელი და სრულწლოვანი შვილი) არ უნდა განსახლდნენ საერთო ოთახში.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში არსებულ 2020 წლის 30 ივნისის აღწერის ფორმაზე, რომლის მიხედვითაც დადასტურებულია, რომ ოჯახი შედგება ოთხი წევრისაგან: ნ. ხ-ე (ოჯახის უფროსი), ზ. მ-ე (შვილი), ა. მ-ე (შვილი) და თ. ქ-ი – რძალი (არადევნილი პირი). აღწერის ფორმაში ასევე მითითებულია, რომ ქალაქ ქუთაისში, ...ის ქ. №...-ში, შპს „...ში“ (...ი) განხორციელდა აღწერა, რა დროსაც სამსახურის წარმომადგენლებს მისამართზე დახვდა ოჯახის ყველა წევრი. დასახელებული გარემოებებისა და საქმეში წარმოდგენილი ფოტომასალის არსებობის პირობებში, სააპელაციო პალატამ არ გამოორიცხა მოსარჩელის უფლება, როგორც დევნილი განსახლებული იქნეს დამოუკიდებლად ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესით მოცემულ ეტაპზე და არა ოჯახის წევრთან, საპირისპირო სქესთან ერთ ოთახში. შესაბამისად, დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია მოსარჩელისათვის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე დედასთან, ძმასთან და რძალთან ერთად საერთო ფართის გადაცემის შესახებ, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ ოჯახი შედგებოდა ოთხი წევრისაგან და მათ გადაეცათ საკუთრე-

ბაში მხოლოდ ოროთახიანი ბინა.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გამოოსცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომ ობიექტურად არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები, არ გაუთვალისწინებია მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები ოჯახის წევრთა სულადობის, მათი სრულწლოვანებისა და საპირისპირო სქესის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სადავო აქტის სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსთვის, საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად, ახალი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საკასაციო საჩივრის მიხედვით, დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ 2020 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (ოქმი №62) იმსჯელა მოსარჩელისა და მისი ოჯახის წევრების საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხზე და გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა დევნილი ოჯახი, კრიტერიუმების გარეშე, სულადობის გათვალისწინებით ქალაქ ქუთაისში, ...ის ქუჩაზე არსებული ოროთახიანი ბინით. 2020 წლის 23 ოქტომბერს დევნილ ოჯახთან გაფორმდა №196 მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ოჯახის ყველა წევრმა, მათ შორის, ზ. მ-მაც მოაწერა ხელი. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, შეესაბამებოდა ნორმატიული აქტით, კერძოდ, მინისტრის №320 ბრძანების დანართი №9-ით დადგენილ საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტებს. ამრიგად, თანხმობის წერილზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დროს მხარეთათვის ცნობილი იყო მათი ერთ ოჯახად დაკმაყოფილების საკითხი და გადასაცემი საცხოვრებელი ფართის ოთახების ოდენობაც, რაც დევნილებს სადავოდ არ გაუხდიათ.

კასატორი მიუთითებს ასევე „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომელიც განმარტავს დევნილი ოჯახის ცნებას. მითითებული ნორმის მიხედვით, დევნილი ოჯახი განიმარტება, როგორც – განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები, ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც

აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი). ამრიგად, კანონის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთი სარეგისტრაციო ნომრის არსებობა, არამედ ნათესაური ან თუნდაც არანათესაური კავშირის მქონე პირების მუდმივად ერთად ცხოვრება და შინასამეურნეო საქმიანობის ერთად განხორციელების ფაქტის არსებობა. ამ ნორმის დანაწესიდან გამომდინარე ოჯახის წევრებად უნდა ჩაითვალოს ის პირები, რომლებიც ერთ ფართში ცხოვრობენ და ერთად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას. ამასთან ეს ორი პირობა უნდა არსებობდეს ერთად. მოცემულ შემთხვევაში მათი ერთ ოჯახად ცხოვრება დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მონიტორინგის ოქმის მიხედვით. ამასთანავე, მხარეები არიან ქმედუნარიანი, სრულწლოვანი პირები და ზემოაღნიშნულ დოკუმენტებზე ხელმოწერის დროს გამოხატეს თავისუფალი ნება და თანხმობა საცხოვრებელი ფართის მიღებაზე შეთავაზებული პირობებით.

სააგენტოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება არის დასაბუთებული და კანონიერი, ხოლო სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება – დაუსაბუთებელი. ადმინისტრაციულ ორგანოს კი საკითხის განხილვისას, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, სრულყოფილად აქვს გამოკვლეული საქმის გარემოებები. სადავო აქტი მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 20 მარტის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების ზეპირი მოსმენის გარეშე შესწავლის შედეგ-

გად, მიიჩნევს, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- მოსარჩელე არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი;

- დადგენილია, რომ ქალაქ ქუთაისში, ...ის ქ. №1-ში მდებარე შენობა – შპს „...“ (...ი) წარმოადგენს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს, რომელსაც მიენიჭა წგრევადი სტატუსი და იქ მცხოვრები დევნილების საკითხი სამინისტროს მიერ განიხილა კრიტერიუმების გარეშე;

- ასევე დადგენილია, რომ 2020 წლის 30 ივნისს შედგენილი აღწერის ფორმის მიხედვით, მოსარჩელეთა ოჯახის წევრები არიან: ნ. ხ-ე (ოჯახის უფროსი); ზ. მ-ე (შვილი); ა. მ-ე (შვილი); თ. ქ-ი (რძალი, არადევნილი პირი). აღწერის ფორმაში ასევე მითითებულია, რომ ქალაქ ქუთაისში, ...ის ქ. №...-ში მდებარე შენობაში (შპს „...ში“) განხორციელდა აღწერა. სამსახურის წარმომადგენლებს მისამართზე დახვდათ ოჯახის ყველა წევრი;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის“ 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 საოქმო გადაწყვეტილებით, ნ. ხ-ე, ზ. მ-ე, ა. მ-ე და თ. ქ-ი (არადევნილი პირი) დაკმაყოფილდნენ ოროთახიანი საცხოვრებელი ფართით;

- სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის №03-3380/ო ბრძანებით, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №62), ქალაქ ქუთაისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახი დანართის შესაბამისად. დანართში მითითებულნი არიან: ნ. ხ-ე, ზ. მ-ე, ა. მ-ე (სარეგისტრაციო ნომერი ...) და თ. ქ-ი (არადევნილი პირი). განსახლების მისამართია – ქალაქ ქუთაისი, ...ის ქ. კორპ. ..., ... ბლოკი, მე-8 სართული, ბინა №..., ოთახების რაოდენობა – 2.

- 2020 წლის 23 ოქტომბერს გაფორმებული საცხოვრებელი ფართის მიღებაზე წერილობითი თანხმობით დასტურდება, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახმა, შემდეგი შემადგენლობით: ნ. ხ-ე, ზ. მ-ე, ა. მ-ე და თ. ქ-ი, თანხმობა განაცხა-

დეს მიიღონ მათზე განაწილებული ოროთახიანი საცხოვრებელი ფართი, შემდეგ მისამართზე: ქალაქი ქუთაისი, ...ის ქუჩა, კორპუსი ..., ... ბლოკი, მე-8 სართული, ბინა №... აღნიშნული შეთავაზება ოჯახის ყველა წევრმა დაადასტურა ხელმოწერით, რის საფუძველზეც 2020 წლის 23 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა №196 მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ასევე ხელმოწერილ იქნა ოჯახის ყველა წევრის მიერ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს ზ. მ-ისთვის ერთოთახიანი ბინით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კანონიერება იმ საფუძველით, რომ დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის სხდომის №62 ოქმის შესაბამისად, მისი ოჯახი დაკმაყოფილებული იყო ოროთახიანი საცხოვრებელი ფართით სულადობის გათვალისწინებით.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონზე (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), რომლის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა არის დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემა ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა, ხოლო იმავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, იძულებითი გადაადგილებისას უსახლკაროდ დარჩენილ დევნილს სამინისტრო სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრებელით. ამასთან, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. გამონაკლისის სახით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ

მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში). ამგვარი ობიექტების მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს სამინისტროს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის რიგითობის განსაზღვრისთვის, მათი განცხადების დაკმაყოფილებისთვის პირები უნდა აკმაყოფილებდნენ ნორმატიულად განსაზღვრულ წინაპირობებს. ამასთან, დასახელებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ბოლო ეტაპზე განიხილება იმ დევნილი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომლებიც არ საჭიროებენ გრძელვადიან განსახლებას. ამრიგად, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად უპირატესობა მიენიჭება დევნილთა იმ ოჯახებს, რომელთაც ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ.

ამრიგად, ზემოაღნიშნულ ნორმათა ურთიერთშეჯერების შედეგად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფოს მიერ, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. გამონაკლისია ნგრევად ობიექტში ცხოვრება, რაც შესაბამისი საექსპერტო დასკვნით უნდა დასტურდებოდეს. თუმცა აღნიშნული გამონაკლისიც ექვემდებარება რიგითობის დაცვას, თუ სიცოცხლისთვის საშიშ ობიექტში მცხოვრებ დევნილებს გააჩნიათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი, ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ დევნილებს, რომლებსაც ასეთი საცხოვრებელი არ აქვთ. საქმის მასალების მიხედვით, უდავოდ დასტურდება, რომ მოსარჩელეთა ოჯახი ცხოვრობდა ნგრევად ობიექტში და მასში მცხოვრები დევნილების განსახლების საკითხი ექვემდებარებოდა კრიტერიუმების გარეშე განხილვას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში შეფასებას საჭიროებს საკითხი, რამდენად შესაძლებელია მოსარჩელის დევნილი ოჯახის ოროთახიანი ბინით დაკმაყოფილების შემდეგ, ოჯახში სხვადასხვა სქესის სრულწლოვანი წევრების არსებობის პირობებში, მოსარჩელის ერთოთახიანი ბინით ცალკე დაკმაყოფილება.

დასახელებული გარემოების შეფასებისას, საკასაციო სასამართლო კვლავ მიუთითებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებულ წესზე, რომლის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამავე მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების სა-

ფუძველზე კომისიის მიერ დევნილი ოჯახის საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილებისათვის, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, დევნილ ოჯახს შეეთავაზება საცხოვრებელი ფართი №320 ბრძანების მე-7 პუნქტით დამტკიცებული №8 დანართის შესაბამისად, რომლითაც განსაზღვრულია „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნების გათვალისწინებით“. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობა შეადგენს 3-4 მოსახლეს, საცხოვრებელ ფართში ოთახების რაოდენობა შესაბამისობაში მოდის ოროთახიან ბინასთან, ფართით 45-60 მ², ხოლო 5-6-სულიანი ოჯახის შემთხვევაში – სამოთახიანთან. ამასთანავე, „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, განსაზღვრულია, რომ ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დევნილი ოჯახ(ებ)ისათვის საცხოვრებელი ფართ(ებ)ის შეთავაზებისას, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: ა) საპირისპირო სქესის დაუქორწინებელი სრულწლოვანი დევნილები (მაგ.: სრულწლოვანი და-ძმა, მარტოხელა მშობელი და სრულწლოვანი შვილი) არ უნდა განსახლდნენ საერთო ოთახში; ბ) არასრულწლოვანი ოჯახის წევრები, მეუღლეები და ერთი სქესის სრულწლოვანი დევნილები შესაძლებელია განსახლდნენ ერთ ოთახში. მნიშვნელოვანია ასევე აღნიშნული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, ამ წესის შესაბამისად არ განიხილება იმ დევნილი ოჯახების განაცხადები, რომლებსაც, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი ფართი ან/და ერთჯერადი ფულადი დახმარება გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილია, რომ სადავო აქტის გამოცემის დროისთვის, 2020 წლის 30 ივნისს შედგენილი აღწერის ფორმის მიხედვით, მოსარჩელეთა ოჯახის წევრებად მითითებულნი იყვნენ: ნ. ხ-ე, ზ. მ-ე, ა. მ-ე და თ. ქ-ი (არადევნილი პირი). „დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის“ 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 საოქმო გადაწყვეტილებით, მოსარჩელები დაკმაყოფილდნენ ოროთახიანი საცხოვრებელი ფართით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და ამავე ბრძანებით დამტკიცებული დანართი №8-ის შესაბამისად. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზ-

რებას, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და საქმეში წარმოდგენილი ფოტომასალის არსებობის პირობებში, შესაძლოა, მოსარჩელე, როგორც დევნილი, ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესით მოცემულ ეტაპზე განსახლდეს დამოუკიდებლად და არა ოჯახის საპირისპირო სქესის წევრთან ერთ ოთახში, რის გამოც საკითხი ექვემდებარება დამატებით გამოკვლევას. აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დევნილთა მიერ განაცხადის გაკეთების, აღწერის ფორმების შევსებისა და სადავო აქტის გამოცემის დროისთვის ოთხსულიან ოჯახებზე საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებისთვის საორიენტაციო სტანდარტს ოროთახიანი ბინა წარმოადგენდა, ამასთან, არარელევანტურია მოსარჩელის მითითება „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის მე-13 პუნქტზე, რამდენადაც დასახელებული ნორმის შინაარსი, სხვადასხვა სქესის ოჯახის სრულწლოვანი წევრების არსებობის პირობებში, მათი ორ ბიოლოგიურ ოჯახად განხილვას და ცალ-ცალკე ფართით დაკმაყოფილებას არ ითვალისწინებს. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ დევნილთა საცხოვრებელი ფართის საკითხის განხილვისას სააგენტოს შეძლებისდაგვარად შეუძლია საპირისპირო სქესის სრულწლოვანი დევნილების გათვალისწინება, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს მის ვალდებულებას. შესაბამისად, უსაფუძვლოა ზ. მ-ის მითითება საცხოვრებელი ფართის გადაცემისას მოპასუხის მხრიდან გამოყოფილი ფართის საორიენტაციო სტანდარტების დარღვევის თაობაზე. ასევე მნიშვნელოვანია იმ გარემოებაზე მითითება, რომ საქმეში წარმოდგენილი 2020 წლის 23 ოქტომბერს გაფორმებული საცხოვრებელი ფართის მიღებაზე ოჯახის წერილობითი თანხმობით ასევე დასტურდება, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახმა – ნ. ხ-ემ, ზ. მ-ემ, ა. მ-ემ და თ. ქ-მა თანხმობა განაცხადეს მიეღოთ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის სხდომის ოქმი №62-ის საფუძველზე განანილებული ოროთახიანი საცხოვრებელი ფართი, შემდეგ მისამართზე: ქალაქი ქუთაისი, ...ის ქ., კორპუსი ..., ... ბლოკი, მე-8 სართული, ბინა №..., რაც ოჯახის ყველა წევრმა დაადასტურა ხელმოწერით. 2020 წლის 23 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა ასევე მიღება-ჩაბარების აქტი №196, რომელიც ასევე ხელმოწერილ იქნა ოჯახის ყველა წევრის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო საქმეზე უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ასევე წარდგენი-

ლი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად შესწავლასა და მოსარჩელეთა ოროთახიანი ბინით დაკმაყოფილების მართებულობას. საკასაციო სასამართლოს მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს პოზიცია დაუსაბუთებელია, ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის განხილვისას, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, სრულყოფილად აქვს გამოკვლეული საქმის გარემოებები და განმცხადებლის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რის გამოც სადავო – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 25 დეკემბრის №03-3380/ო ბრძანება გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. სადავო გადაწყვეტილება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, რის გამოც, არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს იდენტურ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები გაკეთებული აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 6 აპრილის განჩინებით (საქმე №ბს-1363(კ-22).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნას არ გააჩნია სათანადო ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, ხოლო სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო პრეტენზია არგუმენტირებული და დასაბუთებულია, შესაბამისად, იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადან-

ყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. მ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ზ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 298 20 75
www.supremecourt.ge